

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის  
2024 წლის  
საქმიანობის ანგარიში





# სარჩევი

|                                                                                                                                |    |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| გენერალური აუდიტორის მიმართვა .....                                                                                            | 5  |
| 2024 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები .....                                                                                  | 7  |
| სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები .....                                                 | 9  |
| 1. აუდიტორული საქმიანობა .....                                                                                                 | 10 |
| 1.1 აუდიტების ძირითადი შედეგები .....                                                                                          | 11 |
| 1.2 აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა .....                                                                       | 50 |
| 1.3 სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშები .....                                                                        | 53 |
| 2. ძირითად პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება .....                                                                       | 55 |
| 2.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან .....                                                                               | 56 |
| 2.2 თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან და საჯარო უწყებებთან .....                                                          | 56 |
| 2.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან .....                                                                             | 57 |
| 2.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა .....                                                                                           | 57 |
| 2.5 საერთაშორისო თანამშრომლობა .....                                                                                           | 59 |
| 3. შიდა მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება .....                                                          | 62 |
| 4. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა .....                                                                      | 64 |
| 5. სამსახურის ფინანსები .....                                                                                                  | 68 |
| 6. მომავლის ხედვა და არსებული გამოწვევები .....                                                                                | 70 |
| დანართები: .....                                                                                                               | 73 |
| დანართი 1. 2024 წელს ჩატარებული აუდიტები .....                                                                                 | 74 |
| დანართი 2. 2024 წელს პარლამენტის აუდიტის ჯგუფის მიერ განხილული აუდიტები .....                                                  | 76 |
| დანართი 3. სამართალდამცავ ორგანოებში 2024 წელს გადაგზავნილი ანგარიშები/მასალები .....                                          | 77 |
| დანართი 4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტი .....                                                               | 78 |
| დანართი 5. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ..... | 79 |

## გენერალური აუდიტორის მიმართვა

წარმოგიდგენთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშს, რომელიც სამსახურის ხუთწლიანი განვითარების სტრატეგიის მეორე წლის შედეგებს მოიცავს. ამ პერიოდში სამსახურმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ინსტიტუციური, ორგანიზაციული და პროფესიული საერთაშორისო სტანდარტების განმტკიცების მიმართულებით.

სამსახურის 2024 წლის საქმიანობა მიმართული იყო სტრატეგიულ მიზნებთან მიმართებით SAI-PMF-ის მიერ გამოვლენილი გამოწვევების გადასაჭრელად და, ამავდროულად, უკვე არსებული მიღწევების შენარჩუნებისა და განმტკიცებისკენ.

აუდიტის სამსახურის მიზანია მაღალი ხარისხის აუდიტორული საქმიანობით მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნა და კეთილდღეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნით, 2024 წელს სამსახურმა ჩაატარა 58 აუდიტი, მათ შორის, 13 – ფინანსური, 25 – შესაბამისობის, 4 – უწყებათაშორისი შესაბამისობის და 16 ეფექტიანობის აუდიტი.

საჯარო სექტორში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის მიზნით, სამსახურმა 2024 წელს 4 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი განახორციელა, რომელთა ფარგლებშიც დაიფარა 40-ზე მეტი საჯარო უწყება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტი აქტიურადაა ჩართული აუდიტის ანგარიშების განხილვის პროცესში. წინა წლების მსგავსად, 2024 წელსაც სამსახური ინტენსიურად თანამშრომლობდა საქართველოს პარლამენტთან. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულმა აუდიტის ჯგუფმა განიხილა 18 აუდიტის ანგარიში, მათ შორის, 8 – ფინანსური, 3 – შესაბამისობისა და 7 ეფექტიანობის აუდიტი.

აუდიტის სამსახურის ძირითადი პროდუქტია აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულებით მოტანილი სარგებელი, რომელიც გამოიხატება საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებასა და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნაში. სამსახურს მუდმივი კომუნიკაცია გააჩნია შემონეშულ ორგანიზაციებთან რეკომენდაციების შესრულების პროცესში, რითაც ხელს უწყობს მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. აუდიტის სამსახური სრულად გადავიდა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაზე (ARIS), რაც ასევე ქმნის შესაძლებლობას, ხელი შეუწყოს პარლამენტს საპარლამენტო ზედამხედველობის წარმატებით განხორციელებაში. არსებული მდგომარეობით, სისტემაში ჩართულია 13 სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, 58 მუნიციპალიტეტი და ყველა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია. სისტემის საშუალებით რეალურ რეჟიმში მიმდინარეობს მონიტორინგი 2021-2025 წლებში გაცემულ 1,700-ზე მეტ რეკომენდაციაზე.

2024 წელი განსაკუთრებით დინამიკური იყო საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით. აუდიტის სამსახურმა საქართველოში უმასპინძლა 3 მასშტაბურ საერთაშორისო ღონისძიებას, რომლებიც ჩატარდა EUROSAI-ისა და INTOSAI-ის განვითარების ინიციატივის (IDI) ეგიდით. წარმატებით გაგრძელდა პარტნიორობა USAID-თან, ევროკავშირთან, GIZ-სა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან, რამაც ხელი შეუწყო სამსახურის როგორც ინსტიტუციურ გაძლიერებას, ასევე თანამედროვე სტანდარტების დანერგვასა და თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. აღსანიშნავია, სამსახურის როლი EUROSAI-ისა და EU Network-ის ქსელში ჩართულობის კუთხით, რაც კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს აუდიტის სამსახურის საერთაშორისო ინტეგრაციას.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს ინვესტიციას, რომელიც აისახება ჩვენი სამსახურის საქმიანობის ხარისხზე. 2024 წელს თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სამსახურმა შეიმუშავა პროფესიული საჯარო მოხელის განვითარების წლიური გეგმა, რაც ემსახურება თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას. საერთო ჯამში, 2024 წელს 250-ზე მეტმა თანამშრომელმა აიმაღლა კვალიფიკაცია სხვადასხვა მიმართულებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემების დანერგვა, ადაპტირება და ინტეგრირება აუდიტის პროცესში. უკვე დანერგილი უსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის არაერთი სისტემის შედეგად, 2023 წლიდან სამსახურმა დაიწყო ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის – ISO 27001-ის დანერგვის პროცესი, რომელიც 2024 წელსაც გაგრძელდა.

აუდიტის სამსახური მუდმივად ზრუნავს, რათა იყოს სამაგალითო ორგანიზაცია საჯარო სექტორში. ამის დასტურია, რომ სამსახურმა უკვე მეშვიდედ მიიღო უპირობო დასკვნა PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში. 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტს ახორციელებს მსოფლიოს 4 უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი.

აუდიტორული საქმიანობის პარალელურად, სამსახური თავის გამოცდილებასა და რესურსს აქტიურად იყენებს საჯარო სექტორში პრევენციული მექანიზმების დანერგვის მიმართულებით, რასაც წარმატებით ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი. 2024 წელს ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ 41 სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღო 1,600-ზე მეტმა მსმენელმა.

სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების დროულად და ეფექტიანად მისაღწევად, სისტემური გამჭვირვალობის გასაძლიერებლად და უკეთესი მმართველობის ხელშეწყობისთვის.

**ცოტნე ყავლაშვილი**  
გენერალური აუდიტორი

# 2024 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები

## 1. დამოუკიდებლობისა და მენეჯმენტის გაძლიერება

- 2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტს ახორციელებს მსოფლიოს 4 უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი. 2019-2020 წლებში Deloitte-ის, ხოლო 2021-2025 წლებში – PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში უკვე მეშვიდე წელია სამსახური იღებს უპირობო დასკვნას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამსახურის ფინანსური ანგარიშგება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

## 2. აუდიტორული საქმიანობა

- ჩატარდა 58 აუდიტი, მათ შორის, 13 – ფინანსური, 25 – შესაბამისობის, 4 – უწყებათაშორისი შესაბამისობისა და 16 ეფექტიანობის აუდიტი;
- ჩატარებული 13 ფინანსური აუდიტიდან პირობითი მოსაზრება გაიცა 8 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 31% (4 მოსაზრება) იყო უარყოფითი;
- ეფექტიანობის აუდიტების წილმა მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში 28% შეადგინა;
- ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელმა 90.6% შეადგინა;
- სამსახურმა ჩაატარა 4 უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი, 3 ცენტრალური ხელისუფლების და ერთი – მუნიციპალურ დონეზე, რომელთა ფარგლებში თემატურად დაიფარა 40-ზე მეტი საჯარო უწყება, მათ შორის, 15 მუნიციპალიტეტი;
- 2024 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მსოფლიო ბანკის (WB) მიერ დაფინანსებული 2 პროექტის აუდიტი;
- 2020-2024 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების 46% შესრულებულია სრულად, 28% – შესრულებულია ნაწილობრივ, 18% – მიმდინარეა და 8% – შეუსრულებელია;
- არსებული მდგომარეობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში<sup>1</sup> ჩართულია 13 სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, 58 მუნიციპალიტეტი და ყველა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია. სისტემის საშუალებით მონიტორინგი ხორციელდება 2021-2025 წლებში გაცემულ 1,700-ზე მეტ რეკომენდაციაზე.

<sup>1</sup> <https://aris.sao.ge>



### 3. ძირითად პარტნიორებთან თანამშრომლობა

#### თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

- პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულმა აუდიტის ჯგუფმა განიხილა 18 აუდიტის ანგარიში. მათ შორისაა: 8 – ფინანსური, 3 – შესაბამისობისა და 7 ეფექტიანობის აუდიტი;
- მომზადდა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარედგინა აუდიტის რეკომენდაციების შესრულების წლიური ანალიტიკური ანგარიში.

#### თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან

- 2024 წელს გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა 14 აუდიტის ანგარიში/კონკრეტული ინფორმაცია, მათ შორის, 12 შემთხვევა ეხებოდა მუნიციპალიტეტებს;
- საქართველოს პროკურატურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში ცალკე ქვეთავი დაეთმო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ განხორციელებულ რეაგირებასა და მიღწეული შედეგების მიმოხილვას.

#### ჩართულობა და გამჭვირვალობა

- 2024 წელს სამსახურმა მიღებული მომართვების 38% გაითვალისწინა აუდიტორული საქმიანობის გეგმების შედგენის პროცესში;
- სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის უნიკალური მომხმარებლების რაოდენობამ 50 ათასს გადააჭარბა;
- სამსახურის ფეისბუქის გვერდის მომხმარებელთა რაოდენობამ 55 ათასს გადააჭარბა;
- 2024 წელს დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ 766 ერთეული მედია-გამოხმაურება;
- 2024 წელს ეფექტიანობის აუდიტის ბლოგზე გამოქვეყნდა 7 პოსტი.

#### საერთაშორისო და ღონისძიებებთან თანამშრომლობა

- წარმატებით დასრულდა ევროკავშირის (EU) „ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების“ პროგრამის ტექნიკური დახმარების პროექტი;
- თანამშრომლობა განახლდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის პროექტის – „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ – ფარგლებში. სამსახურმა GIZ-ის მხარდაჭერით უმასპინძლა EUROSAI-ის მუნიციპალური აუდიტების სამუშაო ჯგუფის წლიურ შეხვედრას;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით განხორციელდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა აქტივობა;
- 2024 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური გახდა ევროკავშირის კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ქსელის (EU Network) წევრი და ჩაერთო ქსელის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობაში;
- 2024 წელს აუდიტის სამსახურმა უმასპინძლა 3 მაღალი რანგის მასშტაბურ საერთაშორისო ღონისძიებას, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი აუდიტორული, საერთაშორისო საფინანსო და სხვა ორგანიზაციების პირველმა პირებმა მთელი მსოფლიოდან.

## 4. შიდა მმართველობა და ორგანიზაციული კულტურა

- USAID-ის „საჯარო მმართველობის პროგრამის“ მხარდაჭერით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა BDO-ს დახმარებით განახორციელა სხვადასხვა აქტივობა ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის – ISO 27001-ის დანერგვისთვის;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების ტრენინგები უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების როლთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობისა და გენდერული ბიუჯეტირების საკითხებში.

## 5. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

- თანამშრომელთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, სამსახურმა შეიმუშავა პროფესიული საჯარო მოხელის განვითარების წლიური გეგმა, რაც ემსახურება თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას;
- 2024 წელს სხვადასხვა მიმართულებით კვალიფიკაცია აიმაღლა სამსახურის 250-მა თანამშრომელმა;
- სამსახურის აუდიტორთა 50% ფლობს პროფესიული განვითარების დამადასტურებელ სერტიფიკატს;
- არსებული მდგომარეობით, PESA-ს<sup>2</sup> საერთაშორისო სერტიფიკატს ფლობს სამსახურის 14 აუდიტორი და 5 მენტორი;
- 2024 წელს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა 41 ტრენინგკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1,660-მა მსმენელმა. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა გაიარა 33 პირმა;
- ინსტიტუტის ორგანიზებით, „მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული სასწავლო კურსი გაიარა მუნიციპალიტეტების 220-მა წარმომადგენელმა.

<sup>2</sup> IDI-ის პროფესიული განათლების პროგრამა (Professional Education for SAI Auditors – PESA).



# სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მისია, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები

## მისია

დამოუკიდებელი და ხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით შევქმნათ ღირებულება და სარგებელი საზოგადოებისთვის, პარლამენტისა და მთავრობისთვის.

## ხედვა

აღვასრულოთ ჩვენი მოვალეობა კეთილსინდისიერად და ხარისხიანად.

### სამსახურის საქმიანობა დაუშენებელია შემდეგ ღირებულებებზე

#### დამოუკიდებლობა და ობიექტურობა

ჩვენი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის, სამართლიანობის, სანდოობისა და ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

#### პროფესიონალიზმი

ჩვენი თანამშრომლები საქმიანობას წარმართავენ შესაბამისი პროფესიული სტანდარტების საფუძველზე, მაღალი ხარისხითა და პასუხისმგებლობით.

#### კავშირება

ჩვენი თანამშრომლები მოქმედებენ კეთილსინდისიერად, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით.

#### გამჭვირვალობა

ჩვენ ვართ ანგარიშვალდებულნი საზოგადოების წინაშე და ხელს ვუწყობთ შესაბამისი ინფორმაციის საჯაროებას.

### სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული მიზნები

#### მიზანი 1

დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება

#### მიზანი 2

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესება

#### მიზანი 3

ძირითად პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება

#### მიზანი 4

შიდა მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება

#### მიზანი 5

თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა





1.

პუბლიტორული სემინარები

## 1.1 აუდიტის ძირითადი შედეგები

2024 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 58 აუდიტი (იხ. დანართი 1) და ჯამურად დაფარა 23 მლრდ ლარზე მეტი. ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელმა 90.6% შეადგინა. სამსახურმა ჩაატარა 13 – ფინანსური, 29 – შესაბამისობის და 16 ეფექტიანობის აუდიტი.



2024 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევების ჯამურმა მოცულობამ 24.5 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული, ძირითადად, სა-

ბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი, არაეკონომიური და არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევებია და არ მოიცავს აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებებით იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს.

### დარღვევის კატეგორია და თანხა

შესყიდვების მართვა – 7.2 მლნ ლ

პატივების მართვა – 4.2 მლნ ლ

საიუჯატო რესურსების მართვა – 13.2 მლნ ლ

**სულ: 24.5 მლნ ლ**

### ფინანსური აუდიტების შედეგები

ფინანსური აუდიტის ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს და აფასებს საჯარო დაწესებულების ანგარიშსა და ანგარიშგებას, ასევე შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციონირებას. აუდიტის შედეგების საფუძველზე სამსახური გასცემს დასკვნას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეზე.


საჯარო სექტორში ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესი გარკვეული გამოწვევებით მიმდინარეობს. ამ სფეროში არსებულ სისტემურ ნაკლოვანებებზე მიუთითებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ ფინანსურ აუდიტებში გაცემული მოსაზრებების სტატისტიკა, რომელიც აფასებს საჯარო უწყების მიერ წარმოებული ფინანსური ანგარიშგების სისრულესა და სიზუსტეს. 2024 წელს სამსახურის მიერ ჩატარებული 13 ფინანსური აუდიტიდან, უპირობო მოსაზრება გაცა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, პირობითი მოსაზრება – 8 შემთხვევაში, ხოლო მოსაზრებების 31% (4 მოსაზრება) იყო უარყოფითი.

<sup>3</sup> ფინანსურ აუდიტში სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოთქვამს ოთხი ტიპის მოსაზრებას:


- უპირობო მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები;
- პირობითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითია, მაგრამ არა – ყოვლისმომცველი;
- უარყოფითი მოსაზრება – აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი უზუსტობები ფინანსური ანგარიშგებისთვის არსებითიცაა და ყოვლისმომცველიც;
- უარი მოსაზრების გამოთქმაზე – აუდიტორებს არ შეუძლიათ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რომელთაც დაეყრდნობა მათი მოსაზრება.

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით 2020-2024 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 62 ფინანსური აუდიტიდან, 58-ში გაცემულია პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება; მხოლოდ 4 აუდიტის შემთხვევაში გამოითქვა უპირობო მოსაზრება, ანუ აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი უზუსტობები.

**დიაგრამა 3. 2020-2024 წლებში ჩატარებული ფინანსური აუდიტების ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების სტატისტიკა.**



**დიაგრამა 4. 2024 წელს ჩატარებული ფინანსური აუდიტების ფარგლებში გაცემული მოსაზრების ტიპების განაწილება.**



ქვეყნაში მიმდინარე საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ერთ-ერთი მიმართულებაა სახელმწიფო სახსრების მართვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნით 2009 წლიდან დაიწყო საჯარო სექტორის ბუღალტრული აღ-

რიცხვის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) სრულად დანერგვას. მიუხედავად რეფორმის ფარგლებში განხორციელებული მრავალი აქტივობისა, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ფინანსური ინფორმაციის აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით ისევ შეინიშნება სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რომელთა გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია:

- ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ნაკლებ პრიორიტეტულობა საჯარო სექტორში;
- პერსონალის კვალიფიკაცია საჯარო სექტორში, მათ შორის, აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მიმართულებით;
- ფინანსური რესურსის ნაკლებობა, რაც საჭიროა აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესებისათვის.

აუდიტის სამსახურმა გააანალიზა 2024 წელს ჩატარებული ფინანსური აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები და გამოკვეთა ისეთი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რომლებიც მნიშვნელოვანი და აქტუალურია საბიუჯეტო ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის. დარღვევები, გასული წლების მსგავსად, შეიძლება დაჯგუფდეს 4 სისტემურ საკითხად:

- აქტივების მართვა;
- მოთხოვნები და ვალდებულებები;
- აღრიცხვა-ანგარიშგება;
- ზოგადი კონტროლის მექანიზმები.

### აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში აქტივების მართვის კუთხით გამოვლენილი ნაკლოვანებების მაგალითებია:

- ფინანსურ ანგარიშგებაში აღურიცხავი ან ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული აქტივები;
- აქტივები, რომლებსაც არ ფლობს ან არ განკარგავს ორგანიზაცია, გამოუსადეგარია მოხმარებისთვის და აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში;



- აქტივები, რომლებიც აღრიცხულია არასწორი კლასიფიკაციით ან არასწორი ღირებულებით;
- ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია გასულ წლებში ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლებლებისა და კოლეჯების, სამეცნიერო ცენტრებისა და ინსტიტუტების ბალანსზე აღრიცხული აქტივების ნაშთები, ჯამურად – 513 ათასი ლარის ოდენობით. ასახული ნაშთების აქტივად აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენისა და შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით სამინისტროში შექმნილია სამუშაო ჯგუფი და მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით შედეგები პერიოდულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

### საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონებიდან ზოგიერთ ქონებაზე საჭარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული აღნიშნულ ორგანიზაციებზე სარგებლობის ან/და სხვა უფლება. მათი ისტორიული ღირებულება, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2.3 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო საბალანსო ღირებულება – 1.8 მლნ ლარია. ასევე, ვერ ხორციელდება ცენტრალური აპარატის „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ ანგარიშზე აღრიცხული, ჯამურად 268 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების აქტივის იდენტიფიცირება.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ საანგარიშო წელს არ ჩატარებულა მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია. ასევე: სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში ინვენტარიზაცია ჩატარდა 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, თუმცა ინვენტარიზაციის ვადა გაგრძელებულია და არ არის დასრულებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. შესაბამისად, ინვენტარიზაციის შედეგები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

### საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის საწყის და საბოლოო ნაშთებად უცვლელად ირიცხებოდა 238 ათასი ლარის მატერიალური მარაგები, რომელთაგან შემდგომი სარგებლობის მიღება არ არის მოსალოდნელი. ასევე, სააგენტოს დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე ირიცხება 2012-2016 წლებში წარმოშობილი 459 ათასი ლარის ღირებულების პროექტები. სააგენტო აღნიშნულ აქტივებს არ იყენებს და არც მათი სამომავლოდ გამოყენების გეგმა აქვს შემუშავებული. გარდა ამისა, სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სხვადასხვა დასახელების 20 არამატერიალური აქტივი, საბალანსო ღირებულებით – 1.9 მლნ ლარი, რომლებიც არ გამოიყენება.

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 874 ათასი ლარის მარაგები, რომელთა გამოყენება არ იგეგმება და არც მომავალში გამოყენების პოტენციალი გააჩნიათ. ასევე, სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 15 ერთეული 721 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების აქტივი, რომლებიც განხორციელებული ინვენტარიზაციის აქტის მიხედვით, ტექნიკურად გაუმართავი და მოძველებულია.

### საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს აპარატს ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ – აღრიცხული აქვს 3 კომპანიაში, 2010-2014 წლებში განხორციელებული ინვესტიციები, ჯამურად – 3.2 მლნ ლარის ოდენობით. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ აპარატს მართვის უფლებით გადაცემული აქვს დამატებით 5 კომპანიის წილი, მათ შორის, 3 კომპანიის 100%-იანი და 2 კომპანიის – 50%-იანი წილი, რაც მოცემულ მუხლში არ არის აღრიცხული.

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული მიწის ნაკვეთები,

საერთო ფართობით – 36,630 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, რაც საჯარო რეესტრის მონაცემებით, ეკონომიკის სამინისტროს სარგებლობაშია და ექვემდებარება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას. ასევე, სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2023 წელს სარგებლობის უფლებით გადაეცა 16,624 კვ.მ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული აქტივი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

სსიპ – სამღვათ ტრანსპორტის სააგენტოსა და სსიპ – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბალანსზე აღრიცხულია, შესაბამისად, 82.6 ათასი ლარის და 40.9 ათასი ლარის ღირებულების მარაგები, რომელთა გამოყენებაც მომავალში შეუძლებელია და არ აკმაყოფილებს მარაგად აღიარების კრიტერიუმებს.

#### ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

მერიის ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გასაყიდად გამიზნული ქონების შესახებ. თბილისის მუნიციპალიტეტში ქონებას განკარგავს ქონების მართვის სააგენტო. აუდიტის ჯგუფმა სააგენტოსგან მოითხოვა ინფორმაცია მერიის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გააჩნდა გასაყიდად გამიზნული 47.3 მლნ ლარის აქტივი, რაც სსბას 12-ის შესაბამისად, აკმაყოფილებს მატერიალურ მარაგად აღიარების კრიტერიუმებს. მერიის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ქონება აქტივად არ არის აღრიცხული.

ასევე, მერიას ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ მუხლში ერიცხება 37 მლნ ლარის ღირებულების მიწა, რომელზეც არ არის მითითებული ზუსტი ადგილმდებარეობა და საკადასტრო კოდი. მუნიციპალიტეტი ქონებაზე მითითებული მონაცემებით ვერ ახდენს მიწის იდენტიფიცირებას და არსებობის დადასტურებას.

#### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა, სარგებლობაში მათი პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა და არ არის შეფასებული. კერძოდ, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არ ირიცხება და არ არის შეფასებული, არანაკლებ, 1,484 ერთეული მიწის ნაკვეთი და სხვა უძრავი ქონება, რომელიც სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა.

#### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

მუნიციპალიტეტის მერიას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს 2.4 მლნ ლარის ღირებულების 8 დასახელების მარაგი, რომელიც საჭიროებს კლასიფიკაციას „ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე.

ასევე, მერიაში 2023 წლის ინვენტარიზაცია აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის არ იყო დასრულებული, ხოლო ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში – არ ჩატარებულა.

#### მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები მოიცავს ისეთი ტიპის დარღვევებს, როგორებიცაა:

- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს;
- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც აღრიცხულია არასწორი კლასიფიკაციით ან არასწორი ღირებულებით;



- მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა არსებობასა და სისწორეზე რწმუნება ვერ იქნა მიღებული.

### საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2.6 მლნ ლარის ოდენობის სადევნო ვალდებულების წარმოშობის წელი და კრედიტორების ვინაობა არ არის იდენტიფიცირებული. ბიუროს განმარტებით, ვერ ხერხდება ვერც კრედიტორების იდენტიფიცირება და შესაბამისად, ვერც – თანხების დაბრუნება. ასევე, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო, სადევნო ვალდებულებების ბუღალტრულად აღრიცხვა არ წარმოებს ინდივიდუალურად, კრედიტორების მიხედვით. საბუღალტრო ანგარიშზე თანხების ზრდა და შემცირება აისახება ჯამურად.

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნებში ასახულია 2011-2018 წლებში წარმოშობილი 916 ათასი ლარის ოდენობის დავალიანება, რომლის მიღების ალბათობა დაბალია. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი მიმდინარე დებიტორული დავალიანებები“ და „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლი გაზრდილად არის წარმოდგენილი და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

### საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 81 კლინიკის მიმართ, ჯამურად – 4.8 მლნ ლარის მოცულობის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 2014 წელს გაცემული 20-წლიანი სესხებიდან. მათი შესწავლით დადგინდა, რომ სამინისტრო სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სესხის გაცემის პირობების მონიტორინგს, ვინაიდან 23 კლინიკის შემთხვევაში არ დადასტურდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების უწყვეტი განხორციელება; ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული სესხების კლინიკე-

ბის მიერ მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულების ანგარიშზე აღრიცხულია წინა წლებში აღიარებული 8.4 მლნ ლარის მოცულობის 2010 წლამდე წარმოქმნილი გაურკვეველი დავალიანებები. მათი წარმოშობის შესახებ დამადასტურებელი დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა და არ არის იდენტიფიცირებადი კონკრეტული კრედიტორების დონეზე. დავალიანების ნაშთების დასადასტურებლად კრედიტორთა რეესტრიდან შერჩეულ ორგანიზაციებთან, კრედიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის მოტივით, არ არის გაგზავნილი დასტურის წერილები.

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი მოთხოვნები, 534 ათასი ლარის ოდენობით. უნივერსიტეტი ასრულებს მოთხოვნების/ვალდებულებების ურთიერთგადაფარვას, რაც არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი მოთხოვნები – 711 ათასი ლარი, ვალდებულებები – 67 ათასი ლარი, შემოსავლები – 4.5 მლნ ლარი და საეჭვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებულების შემცირების ხარჯები – 218 ათასი ლარი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უნივერსიტეტს საწყისი ნაშთი აქვს არასწორი.

### საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში ასახულია 1996-2006 წლებში წარმო-

შობილი დავალიანებები, ჯამურად – 190 ათასი ლარის ოდენობით, რომელთა მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სააგენტოში არ იძებნება.

### ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

მერიას დებიტორულ დავალიანებად აღიარებული არ აქვს ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად მერიის სხვადასხვა სამსახურის მიერ კონტრაქტორებისათვის დაკისრებული ჯარიმა – 3.4 მლნ ლარის ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგების „მიმდინარე ინვესტიციების“ მუხლის ნაშთში ასახული 553 ათასი ლარი წარმოადგენს 2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტის გამგეობების მიერ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის ამორტიზებული ლიფტების სარეაბილიტაციოდ გაცემულ სესხებს. ხელშეკრულების მიხედვით, სესხის მიმღებს თანხა უნდა დაებრუნებინა რეაბილიტირებული ლიფტის ექსპლუატაციაში შესვლიდან 48 თვეში, თუმცა დავალიანება მიმდინარე პერიოდშიც გადაუხდელობა. გამგეობებს დავალიანების მისაღებად შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებიათ; არ არის შეფასებული ნაშთების რეალურობა და კრედიტორების გადახდისუნარიანობა, შედგენილი არ არის შედარების აქტები. მოთხოვნის წარმოშობიდან გასულია 10 წელზე მეტი, მომავალში თანხის მიღების შესაძლებლობა მცირეა და შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგებით „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით“ ნაწილში, პერიოდის გადანაგარიშებით რიცხული საწყისი ნაშთი შეადგენს 320 მლნ ლარს. აუდიტის პერი-

ოდში დებიტორული დავალიანების ნაშთი, გაუფასურების ტესტით, შემცირებულია 10 მლნ ლარით და ბუღალტრულად აღრიცხულია „საეჭვო მოთხოვნების ანარიცხების“ მუხლში, საიდანაც რიგ შემთხვევებში გაუფასურების ინდიკატორები სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ არის შეფასებული. შესაბამისად, ვერ იქნა მოპოვებული რწმუნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით“ ნაშთის სისწორეზე, შეფასებასა და მიკუთვნებაზე.

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი დებიტორული დავალიანების“ მუხლი 62 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი, ასევე ვერ იქნა მიღებული რწმუნება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 17 მლნ ლარის დებიტორული დავალიანების სისრულეზე, არსებობასა და სისწორეზე.

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს მიერ სხვადასხვა დაგეგმილი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერის მიზნით სისტემაში შემავალ ორგანიზაციებს „სუბსიდიის“ მუხლით გადაერიცხათ, ჯამურად – 11 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ მიმღები ორგანიზაციების მიერ საანგარიშგებო პერიოდში არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, აღნიშნული თანხა აღიარებულია ხარჯად. შედეგად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულია „დებიტორული დავალიანების“ და გაზრდილია „ხარჯების“ მუხლი 11 ათასი ლარის ოდენობით.

### აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით არსებულ ხარვეზებს, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ უწყებების უმრავლესობაში არ არის შემუშავებული და დანერგილი აღრიცხვის ინსტრუქციით მოთხოვნილი სააღრიცხვო პოლიტიკა; ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების არსებობა ან/და მათი სწორი მოხმარება. ეს უკანასკნელი იწვევს მთელ რიგ უზუსტობებს აქტივებზე დარიცხული ცვთვის გაანგარიშებაში, ნაშთებისა და ოპერაციების არასწორ კლასიფიკაციასა და/ან დროში გამიჯვნაში, ასევე უზუსტობებს – სააღრიცხვო მონაცემებში.

#### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო გამორიცხული (ელიმინირებული) 19.4 მლნ ლარის შიდაჯვრის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ორგანიზაციებს შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებისთვის გამოიყენება პროგრამა MS Excel, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასა და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს, მონაცემების დამუშავება კი მოითხოვს დიდ დროით და ადამიანურ რესურსს.

#### საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს საკუთრებაში არსებულ შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ აუდიტირებული მონაცემებით, ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში 54.3 მლნ ლარს შეადგენს, მაშინ როდესაც სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მაჩვენებელი 75.9 მლნ ლარითაა ასახული, რაც 21.6 მლნ ლარით აღემატება აუდიტირებულ მონაცემებს.

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტოს მოვალეობაში შედის სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის, თევზჭერის ლიცენზიის, ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა და სხვ., რაც სახელმწიფოს სახელით ფლობილი შემოსავლებია. მსგავსი ტიპის 3.7 მლნ ლარის შემოსავლები სააგენტოს ასახული აქვს მუხლში – „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“, ნაცვლად მუხლისა – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“. ამასთანავე, მითითებული თანხა არ მოიცავს 765 ათასი ლარის გაცემული ლიცენზიებიდან/ნებართვებიდან მიღებულ შემოსავალს.

#### საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

2023 წლის ბოლოს სამინისტროში შემუშავებულია, თუმცა დამტკიცებული და დანერგილი არ არის ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, რომლის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობით არის გამოწვეული დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის გამოყენება.

#### საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

ა(ა)იპ – ოუფენ ნეტი დარიცხულ ჯარიმებს აღრიცხავს საკასო მეთოდით, რაც არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს. აღრიცხვის არასათანადოდ წარმოების გამო, ოუფენ ნეტის ფინანსურ ანგარიშგებაში, დარიცხული ჯარიმებით წარმოშობილი მოკლევადიანი

(მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემცირებულია 389 ათასი ლარით, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 600 ათასი ლარით.

სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“ – აღრიცხულია 7.7 მლნ ლარი. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული თანხიდან 7.5 მლნ ლარი, ნაცვლად დარიცხული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლისა, წარმოადგენს სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზიების საფასურიდან მიღებულ შემოსავალს.

### საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სამინისტროს აპარატს 2023 წელს არ გააჩნდა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა. სააღრიცხვო ინფორმაციის დასამუშავებლად ჩანაწერების წარმოება ხორციელდებოდა პროგრამა MS Excel-ის გამოყენებით, რაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული კონტროლის ნაკლოვანებაა და ზრდის ადამიანური შეცდომით გამოწვეული უზუსტობის რისკს.

სსიპ – საჯარო რეესტრის სააგენტოს მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ბუღალტრულად ჩამოინერგება სინთეზურად, ანალიზური აღრიცხვა სპეციალიზებული აღრიცხვის სისტემის ნაცვლად, წარმოებს MS Excel-ის გამოყენებით. სააგენტოს არ აქვს ლოჯისტიკური აღრიცხვის შესაბამისი პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სრულყოფილ აღრიცხვას, იდენტიფიცირებასა და კონტროლს.

### ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

მუნიციპალიტეტის 9 კონტროლირებულ სანარმოს უფიქსირდება აკუმულირებული ზარალი 747 მლნ ლარის ოდენობით. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ორგანიზაციებზე ინვესტიციები ასა-

ხულია საბალანსო ღირებულებით – 1.1 მლრდ ლარი, რომელიც არ არის შეცვლილი წლების განმავლობაში მიღებული 747 მლნ ლარის ზარალის მაჩვენებლის შესაბამისად.

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 10 მლნ ლარის ღირებულების შიდა ჯგუფური ოპერაციები არ არის ელიმინირებული. ამასთანავე, ერთგვაროვანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა იწვევს არათანმიმდევრულ აღრიცხვიანობას და ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობების რისკს.

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის ასახული მუნიციპალიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნების შესაბამისი სრული ინფორმაცია. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი უნდა იყოს სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია ან საჭიროების შემთხვევაში უნდა აღი-რიცხოს შესაბამისი მუხლში.

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში 28.5 ათასი ლარის ღირებულების შიდა ჯგუფური ოპერაციები არ არის ელიმინირებული.



## ზოგადი კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს შორის აღსანიშნავია საბიუჯეტო ორგანიზაციებში შიდა კონტროლის მექანიზმების სისუსტე და ამ მიმართულებით, ეფექტიანი კონტროლის გარემოს უზრუნველყოფა, კერძოდ:

- დეტალური პროცესებისა და პროცედურების არარსებობა;
- ეფექტიანი მონიტორინგის სისტემების არქონა ან/და გაუმართაობა;
- ფინანსური ოპერაციების სათანადო დოკუმენტირებასა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციაში არსებული ხარვეზები.

### საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი

„სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, სპეციალური პენიტენციური სამსახური და სსიპ – დანაშაულის და პრობაციის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტებს. „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2023 წლის მდგომარეობით, უწყებებში არ არის შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა.

სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2023 წელს მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა 115 მლნ ლარი შეადგინა. სააგენტოში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება ინფორმაცია მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფდა შემოსავლების დარიცხვის მეტოდით აღრიცხვას და შექმნიდა კონტროლის მექანიზმს იმ მიზნით, რომ სააგენტო დარწმუნ-

დეს მიღებული შემოსავლებისა და ავანსების სისრულეში.

### საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული სტუდენტების მიერ ზედმეტად ჩარიცხული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო პროცედურები. კერძოდ, რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს დაინტერესებულმა პირმა და რა დოკუმენტაცია/ინფორმაცია უნდა შემოწმდეს საზღვაო აკადემიის მიერ თანხის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით, მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება უნაზღაურდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას (აბონენტებს)<sup>4</sup> აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ ერთ პირზე რეგისტრირებულია ორი ან მეტი ბუნებრივი აირის აბონენტის ნომერი, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში ერთ მაცხოვრებელზე ბიუჯეტის კანონით დადგენილ ლიმიტზე მეტი ოდენობის ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება გამოიწვია. სათანადო კონტროლის მექანიზმების არარსებობის პირობებში, ერთ პირზე ერთზე მეტი ბუნებრივი აირის აბონენტის ნომრის არსებობა ზრდის საბიუჯეტო თანხების არაეფექტიანი და არაეკონომიური განკარგვის რისკებს.

### საგადასახადო შემოსავლების ფინანსური აუდიტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხების მიმართვის პროცესისათვის არ არის დამტკიცებული პროცედურული სახელმძღვანელო, შესაბამისად, არ არის ჩამოყალიბებული კრიტერიუმები და მაჩვენებლები, რო-

<sup>4</sup> 2022 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2023 წლის 15 ოქტომბრიდან 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში, წლიურად, 4,900 კუბ. მ-ის ოდენობით.

მელთა მიხედვით განისაზღვრება დაბრუნების ქვეანგარიშზე სახსრების მიმართვის აუცილებლობა; ასევე არ არის განსაზღვრული დაბრუნების ქვეანგარიშზე სახსრების მიმართვის პროცესში ჩართული პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების როლები. 2023 წელს გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართულია 2.3 მლრდ ლარი. აუდიტის ფარგლებში ვერ იქნა მიღებული შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა, რა პრინციპს ეყრდნობოდა 2023 წელს დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხების გადატანა.

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

2023 წელს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დანესებულებებში ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ჯამში დახარჯულია – 590 ათასი ლარის საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 93 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე – 467 ათასი ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 56 ერთეულ ავტოსატრანსპორტზე – 124 ათასი ლარის საწვავი. ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასათანადო კონტროლია დანესებული მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის მიზნობრივად ხარჯვის სრული დოკუმენტური დადასტურება.

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგება

განათლების სამინისტროს მიერ 2023 წელს ხორციელდებოდა „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა“ (06 09), რომლის ფარგლებში დაიხარჯა 435 ათასი ლარი. ბენეფიციარების უზრუნველყოფა წარმოებდა ყოველთვიური/ყოველკვარტალური ფინანსური

დახმარებით, რომლის ოდენობაც განსაზღვრული იყო პროგრამით. ბენეფიციართა სია დადგინდა განათლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ბენეფიციართა სიაში ან/და გასაცემი სახსრების ოდენობაში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდებოდა ასევე გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წერილობით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სამინისტრო ბენეფიციართა დახმარებას ახორციელებდა გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (რომლის შემდგომ შესწავლასა და გადამოწმებას სამინისტრო ვერ ახერხებდა). ვინაიდან განათლების სამინისტროს მხრიდან არ არის შემუშავებული კონტროლის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ბენეფიციარების იდენტიფიცირებასა და გაცემული თანხების ფაქტობრივად დადასტურებას, იქმნება საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად გახარჯვის რისკები.

### შესაბამისობის აუდიტის შედეგები

შესაბამისობის აუდიტის მიზანია დაადგინოს აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ ნორმებთან, სახელშეკრულებო მოთხოვნებსა და ორგანიზაციულ პოლიტიკასთან მიმართებით.

2024 წელს ჩატარებული 29 შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები შესაძლებელია დაჯგუფდეს 4 ძირითადი სისტემური მიმართულებით:

### შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

შესყიდვების მართვის პროცესში ნაკლოვანებებით ხასიათდება თითქმის ყველა ეტაპი და მოიცავს ხარვეზებს როგორც საწყის – საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბაზრის კვლევის, ასევე სატენდერო პროცედურების, ხელშეკრულებების მართვის, სამუშაოების ზედამხედველობისა და



მიღება-ჩაბარების განხორციელების ეტაპებზე. აღნიშნული ნაკლოვანებები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური, არაპროდუქტიული და არაეფექტიანი განკარგვის რისკებს.

### შპს „ენგურჰესის“ შესაბამისობის აუდიტი

რიგ შემთხვევებში, შპს „ენგურჰესის“ მიერ ბაზრის კვლევა განხორციელებულია არასრულყოფილად. კერძოდ, სრული სურათი არ იყო შექმნილი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების, მათ შორის, პოტენციურ მიმწოდებელთა შერჩევის, მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების პირობებისა და ვადების, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე. შედეგად, ფიქსირდებოდა მნიშვნელოვანი სხვაობები ცალკეულ შემთხვევებში სახელშეკრულებო ფასებსა და სატენდერო წინადადების ღირებულებებს შორის. კერძოდ, 2022-2023 წლებში, ჯამურად – 13 შემთხვევაში, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 2.6 მლნ ლარით. შესყიდვის პროცედურების შედეგად პრეტენდენტების მიერ სავარაუდო ღირებულება შემცირდა 823.8 ათასი ლარით და 1.7 მლნ ლარი შეადგინა (13 შემთხვევაში ფასთა კლება შეადგენდა 24%-დან 68%-მდე).

ასევე, 2022-2023 წლებში გამოცხადებულ 13 ელექტრონულ ტენდერში, სახელშეკრულებო ღირებულებით – 5.4 მლნ ლარი, სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტთა მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შედგენილია არასრულყოფილად, რის გამოც პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ ემსახურებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისთვის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზნებს. კერძოდ, შპს „ენგურჰესის“ სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა გამოცდილების შესახებ მოთხოვნებოდა მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაცია ცხრილის სახით, რომელიც მოიცავდა პრეტენდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს და შემსყიდველის დასახელებებს, ხელშეკრულების ღირებულებას და პერიოდს. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ კი მოითხოვებოდა მხოლოდ ცხრილის სახით, დასაბუთების გარეშე. კომისიის მიერ არ მო-

ითხოვებოდა შესრულებული ანალოგიური სამუშაოების (პროექტების) ჯამური ღირებულების მინიმალური ოდენობა, არც ასეთი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები.

### სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაბამისობის აუდიტი

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 394 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების ვადა გახანგრძლივდა 60 დღით, რასთან დაკავშირებითაც აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა მოწოდებული სამუშაოების შესრულების ვადების გაგრძელებასთან დაკავშირებით შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების შესწავლისა და ობიექტურობის განსაზღვრის დოკუმენტური მტკიცებულებები. ამასთანავე, წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის მოქმედების პერიოდი არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნას.

ცენტრის მიერ ჰიდროპონიკური მოწყობილობების შესყიდვაზე ჩატარებული 2 ტენდერი, ღირებულებით – 207 ათასი ლარი, არ შედგა, მესამე კი შეწყდა, შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით შედგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო. აღნიშნული ცენტრის მხრიდან შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

### პროგრამის – „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ შესაბამისობის აუდიტი

რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების სკოლების რეაბილიტაციაზე ახალი კონტრაქტორების მიერ შედგენილი შესრულებული სამუშაოების ანგარიშებში, ზოგიერთ შემთხვევაში ასახული მოცულობები და მათზე ბიუჯეტიდან ანაზღაურებული თანხები მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ერთხელ უკვე დადასტურებული და ანაზღაურებული იყო პირველი კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სა-

მუშაოების ანგარიშების საფუძველზე. შედეგად, შეწყვეტილი კონტრაქტების ფარგლებში, ქალაქ რუსთავის N25 და N26, სოფლების: ნორიოს და გამარტკვების სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ხელმოწერა განხორციელებულ 89 სახის სამუშაოზე ბიუჯეტიდან ანაზღაურებულია 847 ათასი ლარი.

რუსთავის N25 და N26 სკოლების სამუშაოებისთვის კონტრაქტორზე გაცემული საავანსო თანხების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი საბანკო გარანტიების ვალდებულებების დაუსაბუთებელი შემცირების შედეგად ფონდმა საბანკო დაწესებულებიდან ვერ გამოითხოვა 335 ათასი ლარის ლიკვიდური აქტივი და შესაბამისად, არ მიმართა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის ანგარიშზე. აღნიშნული თანხიდან 280 ათასი ლარი გამოიქვითა ფონდის მიერ დაკავებული და კონტრაქტორისთვის გადასახდელი სარეზერვო თანხების კატეგორიიდან, ხოლო 55 ათასი ლარი დღემდე ირიცხება დებიტორული დავალიანების ნაშთად და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდის მიერ მისი ამოღებისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები გატარებული არ იყო.

### შპს „საქართველოს მელიორაციის“ შესაბამისობის აუდიტი

კომპანიის მიერ 285 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების ტუმბოების შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული პროცედურით დადგენილია გარკვეულწილად შემზღუდავი მოთხოვნა. ასეთი სახის მოთხოვნების დაწესებამ შესაძლებელია განაპირობოს კონკურენციის შეზღუდვა, რაც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვის ღირებულებას.

ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიის მიერ დაგვიანებით და/ან საერთოდ არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებით განსაზღვრული დოკუმენტაცია, რაც მიუთითებს ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე.

### საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი

2022-2023 წლებში მონეტარული ზღვრების ფარგლებში განხორციელებულ 34.6 ათასი ლარის გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებით, ბანკმა ვერ წარმოადგინა შესყიდვის განხორციელებამდე ობიექტის მახასიათებლებისა და ღირებულების დადგენის მიზნით ჩატარებული სამუშაოების დოკუმენტაცია.

### ონის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევის პროცედურები ზოგ შემთხვევაში მიმდინარეობდა ხარვეზებით. კერძოდ, 10 სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა ბაზრის კვლევაზე გაგზავნილია მხოლოდ ერთი კომპანიისთვის; 7 სახელმწიფო შესყიდვისათვის ბაზრის კვლევა ჩატარებული აქვს მერიის სხვადასხვა სამსახურს, თუმცა კვლევის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი; 25 სახელმწიფო შესყიდვისთვის ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა.

2020 წელს მუნიციპალიტეტმა 2 ხელშეკრულების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის გზით შეიძინა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, ღირებულებით – 2.2 მლნ ლარი და 1.7 მლნ ლარი. აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ არცერთ მიმწოდებელს სათანადო გამოცდილება არ გააჩნდა. მიმწოდებელმა სამუშაოები ვერ დაასრულეს ხელშეკრულებით დადგენილ პერიოდში, რაც შედეგადაც მიწოდების ვადები გაიზარდა, შესაბამისად, 113 და 20 დღით. კომპანიებმა სამუშაოების დასრულება ვერც გაზრდილ ვადებში შეძლეს, რის გამოც ხელშეკრულების მოქმედების ვადა სისტემატურად გრძელდებოდა. საბოლოოდ მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულეს თავდაპირველად განსაზღვრული მიწოდების ვადიდან მნიშვნელოვანი დაგვიანებით, 220 და 244 დღის შემდეგ.



### ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2021 წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა სოფელ დიშში ჭაბურღილის და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოებზე, ღირებულებით – 136.7 ათასი ლარი. ჭაბურღილის მოწყობის დროს პროექტით გათვალისწინებულ სიღრმეზე წყალი არ ამოვიდა, რის გამოც ხელშეკრულება შეწყდა. მიმწოდებელს აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება – 55.6 ათასი ლარი. პროექტის შემჭიდროებულ ვადებში შესყიდვის საფუძველი სოფელ დიშში არსებული წყლის მწვავე დეფიციტი იყო. მუნიციპალიტეტს დამატებითი ღონისძიებები საკითხის მოგვარებისთვის არ განუხორციელებია. შედეგად, მოსახლეობას წყალი ისევ არ მიეწოდება და 55.6 ათასი ლარი დახარჯულია არაეფექტიანად.

### აბაშის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტს აუდიტის მიმდინარეობისას გამოუყენებელი ჰქონდა 2021-2023 წლებში შესყიდული 122.9 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებდა 15.1 მლნ ლარის 40 ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაციას.

### კასპის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა 5 შემთხვევაში, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებლებს არ დაარიცხა საჯარიმო სანქცია – 37.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2 შემთხვევაში – გეგმა-გრაფიკისა და მიწოდების ვადის დარღვევისთვის – 128.7 ათასი ლარი. გარდა ამისა, 2 შემთხვევაში მერიამ არ გაატარა სათანადო ღონისძიებები – 55.4 ათასი ლარის ჭარბის ამოღების მიზნით. მუნიციპალიტეტი საჯარიმო თანხების მისაღებად იყენებდა მხოლოდ წერილობით მიმართვას, რაც ვერ უზრუნველყოფდა სათანადო შედეგის მიღებას.

სატენდერო კომისიამ დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია მისცა კანონმდებ-

ლობის დარღვევით, შედეგად, სამუშაოები შესყიდულ იქნა უფრო მაღალი ღირებულებით და ბიუჯეტიდან გაიწია, მინიმუმ, 46.2 ათასი ლარის არაეკონომიური ხარჯი.

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა 2022 წელს შეისყიდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის. აქედან, 231.2 ათასი ლარის ღირებულების დოკუმენტაციით განსაზღვრული ობიექტებისათვის მერიას შესყიდვები არ დაუგეგმავს. აღნიშნული პროექტებით გათვალისწინებული იყო 12.8 მლნ ლარის სავარაუდო ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

მერიის მიერ განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების დათვალიერების შედეგად ხარვეზები გამოვლინდა 8 ხელშეკრულებით შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 8.2 მლნ ლარია. კერძოდ, დაზიანებულია კულტურული და დასვენების პარკები, საჩოგბურთო კორტი, საფეხბურთო მოედანი, საავტომობილო გზა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, რომლის ფარგლებში უნდა გამოსწორებულიყო არსებული ნაკლოვანებები. ობიექტებზე არსებული დაზიანებების აღმოფხვრის მიზნით მერიას მიმწოდებლებისათვის არ მიუმართავს.

### შუახევის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს შესყიდვის პროცედურების სათანადო მართვას, რის გამოც მაღალია შეწყვეტილი ტენდერებისა და ხელშეკრულებების რაოდენობა, რამაც 745 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შეფერხება განაპირობა. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში შესყიდული საპროექტო-სახარჯ-

თაღრიცხვო დოკუმენტაცია არ არის გამოყენებული გონივრულ ვადაში ან/და შეიცავს ხარვეზებს. ამასთანავე, ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ მერიამ ვერ მიიღო 77.7 ათასი ლარის ოდენობის საგარანტიო და საჯარიმო თანხები.

### ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა 2024 წლის 25 იანვრიდან 29 თებერვლამდე პერიოდში სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების მომსახურება შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 155.8 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტს შესყიდვის პროცესი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არ შეუთანხმებია, რითაც დაირღვა შესყიდვების გამარტივებული გზით განხორციელების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნა.

### ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტს 2024 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით გამოუყენებელი ჰქონდა 2020-2023 წლებში შეძენილი 271 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებდა 43.5 მლნ ლარის ღირებულების 38 ობიექტის მშენებლობას/რეაბილიტაციას. გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და შესაბამისად, ერთეული ფასების ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს მოქმედ ფასებთან შეუსაბამო და მისი კორექტირებისათვის დამატებითი საბიუჯეტო თანხების გამოყოფა გახდეს საჭირო.

### ხულოს მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ტექნიკისათვის შეძენილი სათადარიგო ნაწილების და მომ-

სახურების, ასევე სანავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურად დადასტურებას. კერძოდ, ა(ა)იპ – ხულოს სოციალური სერვისების ცენტრის მიერ 2022-2023 წლებში ავტოტექნიკური მომსახურების მიზნით გაფორმებულია 5 ხელშეკრულება, რისთვისაც გადახდილია 55.9 ათასი ლარი, საიდანაც 4 ხელშეკრულების მიხედვით, 45.5 ათასი ლარის ღირებულების მომსახურება გაუნია ერთმა მიმწოდებელმა. აუდიტის ფარგლებში მიმწოდებელმა ვერ წარმოადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეცვლილი სათადარიგო ნაწილების შეძენის დოკუმენტაცია. მიღებული განმარტებით, შესყიდვა ხორციელდებოდა ნაღდი ანგარიშსწორებით და ცენტრს არ გააჩნია გადახდის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია.

### ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 16 ხელშეკრულება გააფორმა შპს „რგანთან“, საერთო ღირებულებით – 467.3 ათასი ლარი, მათ შორის, გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენილია 307.3 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო. ყველა სატენდერო შესყიდვის შემთხვევაში კომისიის წევრები წერილობით ადასტურებდნენ, რომ პრეტენდენტთან არ იმყოფებოდნენ ინტერესთა კონფლიქტში. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, შპს „რგანის“ დირექტორი და 100%-იანი წილის მესაკუთრე არის პირი, რომელიც ამავე დროს იკავებდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსის თანამდებობას.

### წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ა(ა)იპ – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ წალენჯიხის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს 2022-2023 წლებში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის გვერდის ავლით, ინფრასტრუქტურული და სხვადასხვა მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ჰქონდა 200 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით – 134.1



ათასი ლარი. განხორციელებულ სამუშაოებსა და მომსახურებებზე არ იყო შედგენილი ხარჯთაღრიცხვები და შესრულებული სამუშაოს აქტები, აგრეთვე არ იყო დასაბუთებული სახელშეკრულებო ღირებულებების გაანგარიშებები. შესაბამისად, გაურკვეველია სამუშაოების შემადგენელი კომპონენტების (მასალა, ტრანსპორტი, შრომის ანაზღაურება და სხვ.) ღირებულებები.

ასევე, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 39.1 ათასი ლარის ღირებულების ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია. გარდა ამისა, არ განხორციელდა არსებითი ღირებულების სამშენებლო სამუშაოები.

### ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის დათვალიერების შედეგად ხარვეზები გამოვლინდა 6 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 650.4 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. ობიექტების ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დაზიანებები, ძირითადად, რეაბილიტაციის მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომლის გამოვლენაც ტექნიკური ზედამხედველისა და საექსპერტო დაწესებულებების ვალდებულება იყო. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული დაწესებულებების პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

შესამოწმებელ პერიოდში მუნიციპალიტეტმა „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან, სტუმრების მასპინძლობისა და სხვადასხვა საბანკეტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გასწია 102.4 ათასი ლარის ხარჯი. მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შემუშავებული შიდა ინსტრუქცია/წესი, რომელიც უზრუნველყოფდა „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლიდან კვე-

ბით მომსახურებაზე თანხების რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ ხარჯვას. შესამოწმებელ პერიოდში მუნიციპალიტეტი წარმომადგენლობით ხარჯებს განკარგავდა მერის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე. საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ აღნიშნულ პერიოდში თანხები გახარჯულია 53 ღონისძიებაზე, თუმცა დოკუმენტებში არ არის მითითებული იმ პირთა რაოდენობა, რომელთაც მომსახურება მიიღეს.

### აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

აქტივების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები მოიცავს აქტივების არაეფექტიან გამოყენებას, ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცედურებთან დაკავშირებულ დარღვევებს, ბიუჯეტში მიუმართავ სახსრებსა და სხვ.

### სსიპ – ეკონომიკური პროგრამების სააგენტოში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი

სააგენტო, ბალანსზე რიცხულ იმ უძრავ ქონებას, რომელსაც არ იყენებდა საკუთარი საქმიანობის ფარგლებში, 2022-2023 წლებში გასცემდა იჯარით, აუქციონის წესით, გამარჯვებულ პრეტენდენტებთან დადებული საიჯარო ხელშეკრულებების შესაბამისად. ფაქტობრივი გარემოების შესწავლით დადგინდა, რომ 2 მოიჯარის მიერ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, აღნიშნული ქონებები გადაცემული იყო სხვადასხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირებზე (ქვეიჯარით).

2023 წელს ქვეპროგრამების ფარგლებში გამარჯვებული ბენეფიციარებიდან 5 შემთხვევაში ვერ დასტურდება, ჯამურად – 26.9 ათასი ლარის ღირებულების გადაცემული აქტივების გამოყენება, პროგრამით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად.

### შპს „ენგურჰესის“ შესაბამისობის აუდიტი

2022-2023 წლებში შპს „ენგურჰესის“ აგრეგატების სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა სათანადო ნაწილები

ბისა და სარემონტო მასალების ჩამოწერის აქტები, ღირებულებით – 1.3 მლნ ლარი. აქტებში არ იყო მითითებული, კონკრეტულად რომელი აგრეგატის მიმდინარე შეკეთებაზე ან გვერდურ სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა მასალები, ხოლო წარმოდგენილ მიმდინარე მიღება-ჩაბარების აქტებში არ ფიქსირდება აგრეგატზე გახარჯული სარემონტო მასალებისა და სათადარიგო ნაწილების ჩამონათვალი, დასახელება და ფასი. საგულისხმოა, რომ სანყობიდან მატერიალური ფასეულობების გაცემისას სათანადოდ არ იყო შედგენილი დოკუმენტაცია, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა მათი გაცემის მიზნობრიობა. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სარემონტო მასალების და სათადარიგო ნაწილების ჩამოწერის აქტები შედგენილი იყო სამუშაოების დასრულებიდან 5 თვის შემდეგ. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს მარაგების ხარჯვისა და სარემონტო სამუშაოების პროცესთან დაკავშირებულ კონტროლის ნაკლოვანებებზე.

აუდიტის პერიოდში შერჩევით შემოწმდა ხარჯებში ჩამოწერილი 48.7 ათასი ლარის ღირებულების სპეცტანსაცმლის და ფეხსაცმელების დოკუმენტაცია. გამოვლინდა, რომ მათი გაცემის დროს არ ხდებოდა უწყისების შედგენა მიმღები პირების ხელმოწერებით, რაც წარმოშობს აღნიშნული მატერიალური ფასეულობების არამიზნობრივად გაცემის რისკს.

#### **პროგრამის – „საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ შესაბამისობის აუდიტი**

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები არ ითვალისწინებს სკოლების რეაბილიტაციის პროცესში დემონტირებული, ვარგისი მასალების აღრიცხვას, დასაწყობებას და ბენეფიციარზე გადაცემას, რაც წარმოქმნის დემონტირებული, ვარგისი მასალების, დადგენილი ნორმების შეუსაბამოდ განკარგვის რისკს.

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხელშეკრულებების შეწყვეტის დროს, ფონდის მიერ სათანადო ინვენტარიზაციები არ ჩატარებულა; ასევე, ახალ კონტრაქტორებთან ხელშეკრულებების გაფორმებამდე პერიოდში, აქტივების მოვლა-შენახვაზე მატე-

რიალურად პასუხისმგებელი პირები არ განისაზღვრებოდა. აღნიშნული გარემოებები წარმოქმნის აქტივების დაზიანებისა და მითვისების რისკებს.

#### **ონის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი**

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ არის ჩაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საკუთრებაში არსებული აქტივების მოძრაობაზე. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი, ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებული ერთ-ერთი მიწის ნაკვეთი იჯარით ჰქონდა გაცემული 2021 წლის მაისამდე. იჯარის ვადის გასვლის მიუხედავად, მეიჯარე აღნიშნულ ფართს ისევ იყენებს და ქონებით სარგებლობის საფასურს არ იხდის. მერიას არ აქვს გატარებული საკმარისი ღონისძიებები, საკუთარი ქონების დაბრუნების მიზნით. ასევე, 2022 წლის თებერვალში მუნიციპალიტეტმა 25 წლის ვადით, პირობიანი იჯარით გასცა მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობით. საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს შენობაში უნდა მოეწყო საგაზაფხულო და საშემოდგომო სკოლები მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ შენობაში შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არის მოწყობილი. ხელშეკრულების შესაბამისად, საიჯარო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მერია უფლებამოსილი იყო შეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება და ქონებით მოსარგებლე პირის მიმართ გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

#### **ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი**

მუნიციპალიტეტს 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გამოუყენებელი ჰქონდა 2020-2023 წლებში შეძენილი 100.2 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებდა 14 მლნ



ლარის ღირებულების 32 ობიექტის მშენებლობას/რეაბილიტაციას.

2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად შეიძინა სამშენებლო მასალები. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით საჭირო სამუშაოები მოსახლეობას საკუთარი ძალებით უნდა ჩაეტარებინა, რის გამოც მასალები გადაეცათ მერიის წარმომადგენლებს, ადმინისტრაციულ ერთეულებში. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული მასალებიდან გამოუყენებელია 57.8 ათასი ლარის ღირებულების მასალა, რომელიც დასაწყობებულია სოფლებში.

#### აბაშის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

გარკვეულ შემთხვევებში მერია სრულად ვერ იღებდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ საიჯარო თანხებს. კერძოდ, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 8 ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტს არ მიუღია, ჯამურად – 16 ათასი ლარის საიჯარო ქირა. გარდა ამისა, ხელშეკრულებების უმეტესობა მოიცავდა საჯარიმო სანქციას საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, რომელიც მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია, ჯამურად – 11.7 ათასი ლარი. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ მიუღებელმა შემოსავალმა 27.7 ათასი ლარი შეადგინა.

ასევე, 2022-2023 წლებში მოქმედი 26 ხელშეკრულებიდან 20 შემთხვევაში მერიის მიერ ქონება გაცემულია პირდაპირი განკარგვის წესით. მათ შორის, 3 ერთეული ქონების იჯარით გაცემა არ არის საკმარისად დასაბუთებული. მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ელექტრონული აუქციონის ფორმა, რომლის დროსაც იზრდება ინფორმირებულ პირთა წრე და ვაჭრობის კონკურენტულ/გამჭვირვალე გარემოში წარმართვის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს ქონებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას.

#### კასპის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტმა 2015 წელს აღნაგობის ფორმით 59 წლის ვადით გასცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 3 მიწის ნაკვეთი, საერთო

ფართობით – 22,428 კვ. მ, წლიური ქირა განისაზღვრა 6 ათასი ლარის ოდენობით. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მოაღწაგეს ქონებით სარგებლობის საფასური ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საერთოდ არ გადაუხდია. შესაბამისად, დავალიანებამ – 50.0 ათასი ლარი, ხოლო დარიცხულმა საურავმა 17.5 ათასი ლარი შეადგინა. მერიამ კუთვნილი საიჯარო შემოსავლების მისაღებად მოქმედება დაიწყო მხოლოდ საკითხით აუდიტის ჯგუფის დაინტერესების შემდეგ. კერძოდ, 2024 წლის აპრილში წერილობით მიმართა ქონებით მოსარგებლეს დავალიანების გადახდასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც შპს-მ სრულად დაფარა დავალიანება.

მუნიციპალიტეტს 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიუღებელი ჰქონდა ორი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო შემოსავალი, ჯამურად – 26.4 ათასი ლარი, ასევე დარიცხული საურავი, ჯამში – 4.3 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ მოიჯარეებს საიჯარო ღირებულება ხანგრძლივი ვადის განმავლობაში არ გადაუხდიათ, მერიას არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები კუთვნილი შემოსავლების მისაღებად.

#### შუახევის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2023 წელს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 53.7 მლნ ლარის აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მერიის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარით გაცემის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, საიჯარო გადასახადისა და პირგასამტეხლოს სახით გადაუხდელია 181 ათასი ლარი, რომელიც ბუღალტრულად არ არის აღრიცხული. დიდი ოდენობით გადაუხდელი საიჯარო გადასახადის აღურიცხველი თანხები კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს და წარმოშობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი გამოყენების რისკებს.

### ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2023 წელს მუნიციპალიტეტმა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შეიძინა 86.9 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები. მასალები გადაეცა 35 მოსახლეს, რომელთაც საკუთარი ძალებით უნდა აღმოეფხვრათ საცხოვრებელ სახლებზე არსებული დაზიანებები. მუნიციპალიტეტმა სამშენებლო მასალების მოსახლეობისათვის დარიგება გადაწყვიტა ისე, რომ არ გაითვალისწინა მათი ცოდნა-გამოცდილება და ფინანსური შესაძლებლობა მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით. შედეგად, გადაცემული სამშენებლო მასალის უმეტესი ნაწილი გამოუყენებელია (დასაწყობებულია 68.4 ათასი ლარის ღირებულების მასალა).

შესამოწმებელ პერიოდში მუნიციპალიტეტში მოქმედებდა 20 საიჯარო ხელშეკრულება. ყველა ქონება გაცემულია პირდაპირი განკარგვის წესით, რომელიც სათანადოდ არ არის დასაბუთებული. მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ელექტრონული აუქციონის ფორმა, რომლის დროსაც იზრდება ინფორმირებულ პირთა წრე და ვაჭრობის კონკურენტულ/გამჭვირვალე გარემოში წარმართვის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს ქონებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას.

### ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შესამოწმებელ პერიოდში მუნიციპალიტეტში მოქმედებდა სულ 26 საიჯარო ხელშეკრულება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ 24 შემთხვევაში მერია სრულად ვერ იღებდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემოსავლებს. კერძოდ, 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს არ მიუღია ჯამურად 121.7 ათასი ლარის საიჯარო შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ ქონებით მოსარგებლეების ნაწილი საფასურს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ იხდიდა. მიუხედავად ამისა, მერიას სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები დროულად არ გაუტარებია.

### ხულოს მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების ნაწილში, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია. აქტივებზე სათანადო კონტროლის არარსებობა, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ – ხულოს მუნიციპალურ სერვისზე თხოვნის ფორმით გადაცემულ 97.6 ათასი ლარის ღირებულების აქტივებზე, წარმოშობს მათი დაკარგვის და ვარგისიანი აქტივების ჩამოწმების რისკებს.

### ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შესამოწმებელ პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა 249-მდე დასახელების სხვადასხვა დანიშნულების უძრავ ქონებას. ქონების განკარგვისა და მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა ხარვეზები, რის გამოც მუნიციპალიტეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. კერძოდ, შესამოწმებელ პერიოდში მუნიციპალიტეტში მოქმედებდა ქონების სარგებლობით გაცემის 13 ხელშეკრულება. განკარგული ობიექტებიდან 12 შემთხვევაში ქონება გაცემულია პირდაპირი განკარგვის წესით და არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონის ფორმა, რომლის დროსაც იზრდება ინფორმირებულ პირთა წრე და ვაჭრობის კონკურენტულ/გამჭვირვალე გარემოში წარმართვის შესაძლებლობა. აღნიშნული ხელს უწყობს ქონებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას.

მოქმედი ხელშეკრულებებიდან, 2 შემთხვევაში, ქონება გაცემულია 2017 წელს, 25 წლის ვადით. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტების გაცემიდან გასულია 7 წელზე მეტი, მუნიციპალიტეტს არ უმსჯელია იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვისა და საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

### შპს „სამედიცინო ცენტრ „დიომედში“ შემოსავლების, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის, მიღება-ხარჯვისა და გამოყენების შესაბამისობის აუდიტი

ვარკეთილის ფილიალისთვის სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული შენობის ფართის ნაწილი შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავებული ჰქონდა შპს „აფხაზეთის ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერს“ და ა(ა)იპ – ზემო აფხაზეთის საავადმყოფოს. საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა გამოყენებული უზუფრუქტის ხელშეკრულებით დადგენილი უზუფრუქტუარის უფლება მესაკუთრის წინასწარი თანხმობის საფუძველზე იჯარის ან ქირავნობის უფლებით ქონების, ან მისი ნაწილის გაცემაზე და არ იქნა მოთხოვნილი საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმება დაკავებული ფართის დაწესებულებებთან. აღნიშნული ქმედებით, საზოგადოებამ დაკარგა 43.2 ათასი ლარის ოდენობის შესაბამისი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

### საბიუჯეტო რესურსის მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი საბიუჯეტო რესურსების მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები უკავშირდება საჯარო უწყებების მიერ ბიუჯეტის არარაციონალურად და არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევებს.

### სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო)“ შესაბამისობის აუდიტი

ესკო თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოს გაცემისას არ ეყრდნობა მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს შედეგებს, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდიდა წახალისების სისტემას. შედეგად, ასეთი სახით ჯამურად გაცემულია ჯილდოს 81% (1.6 მლნ ლარი), რაც არაერთგვაროვან პრაქტიკაზე მიუთითებს.

ესკოს შვილობილი კომპანია სენბი, დაარსების

დღიდან აუდიტის პერიოდის ჩათვლით, ფუნქციონირებდა ისე, რომ ვერ ასრულებდა იმ ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს, რისთვისაც იგი იყო შექმნილი. 2022-2023 წლებში სენბის ხარჯებმა 2.9 მლნ ლარი შეადგინა.

### შპს „ენგურჰესის“ შესაბამისობის აუდიტი

2022-2023 წლებში კომპანიის ბალანსზე რიცხულ ხუთი დასახელების სპეცტეფნიკაზე გახარჯულია 58.8 ათასი ლარის საწვავი, რაც კომპანიის განმარტებით ხარჯებში ჩამოწერილი იყო GPS მოწყობის საფუძველზე დაფიქსირებული ნამუშევარი ძრავ/საათების მიხედვით. კომპანიაში არ ხდებოდა სპეცტეფნიკით შესრულებული სამუშაოების სათანადო დოკუმენტური დადასტურება. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება გამოყენებული საწვავის მიზნობრიობის შესახებ.

2022-2023 წლებში კომპანიის მიერ გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯებმა 173.3 ათასი ლარი შეადგინა. ზოგ შემთხვევაში, არ ხდებოდა მოხსენებითი ბარათების შედგენა ღონისძიებების დასახელებისა და მასში მონაწილე პირების მითითებით, ხოლო გარკვეული სახის ხარჯები გაწეული იყო სათანადო დასაბუთების გარეშე.

### სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაბამისობის აუდიტი

ცენტრის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში ასიგნებების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 718 ათასი ლარი, მათ შორის, მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარზე – 648 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შესაძენად დამტკიცებული ბიუჯეტიდან მითითებული მიზნობრიობით გამოყენებულია მხოლოდ 32.9 ათასი ლარი (გეგმის 5.1%).

### მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტი

2022-2023 წლებში, სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე, მუნიციპალიტეტებმა<sup>5</sup>

<sup>5</sup> ქუთაისის, საჩხერის, ხარაგაულის, ფოთის, სენაკის, ამბროლაურის, ხონის და ხაშურის მუნიციპალიტეტები.

ერთი მლნ ლარი გადაიხადეს გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების დარღვევის, შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებაზე უარის თქმისა და პირგასამტეხლოს შემცირების გამო. აქედან, 25.6 ათასი ლარი შეადგენდა სასამართლო ბაჟისა და საადვოკატო მომსახურების ხარჯს. ასევე, 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტებმა<sup>6</sup> სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე აანაზღაურეს სამსახურიდან განთავისუფლებული პირების იძულებით განაცდურთან დაკავშირებული ხარჯები, ჯამურად – 166.5 ათასი ლარის ოდენობით.

რუსთავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – რუსთავის მუნიციპალური არქივი, რომლის მიერ მიღებულმა დაფინანსებამ 2022-2023 წლებში 240.6 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები, თუ რატომ არის საჭირო ამ ორგანიზაციის არსებობა ცალკე ა(ა)იპ-ად, როდესაც სხვა მუნიციპალიტეტებში არქივის წარმოებას ახორციელებენ მერიის ადმინისტრაციული სამსახურები.

დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი ა(ა)იპ – ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრში 22 სპეციალისტის, ა(ა)იპ – ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებაში – 12 სპეციალისტის, ა(ა)იპ – სენაკის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრში – 10 სპეციალისტის, ა(ა)იპ – ხაშურის მუნიციპალიტეტის წყლისა და გამწვანების კომპანიაში – 1 სპეციალისტის; ა(ა)იპ – ხაშურ-სერვისში – 3 სპეციალისტის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ. 2022-2023 წლებში აღნიშნულ თანამშრომლებზე დაიხარჯა 339.3 ათასი ლარი.

#### ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

ბაღდათის მუნიციპალიტეტმა პროექტის – „გაძლიერებული ადგილობრივი თემები კატასტროფის ზეგავლენის შემსუბუქების უსაფრთხო

გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის“ – განსახორციელებლად, 2022-2023 წლებში ხელშეკრულებები გააფორმა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან, ჯამური ღირებულებით – 36.5 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა შესაფერისი და საკმარისი დოკუმენტური მტკიცებულებები მომსახურე ორგანიზაციის მიერ, რამდენად იყო განხორციელებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიას პროგრამის ფარგლებში გახარჯულ თანხებზე არ განუხორციელებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონიტორინგი.

#### აბაშის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტს დელეგირებული ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებების ნაწილი და მუნიციპალიტეტმა მიზნობრივად მიიღო 1.3 მლნ ლარის ოდენობის ტრანსფერი. გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით დამატებით დახარჯა 20.4 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ძირითადად გამოყენებულია შრომის ანაზღაურების, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით, რომლის დაგეგმვა და გათვალისწინებაც მუნიციპალიტეტს წინასწარ შეეძლო.

მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს მერიის მუნიციპალური ქონებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილება. წარმოდგენილი ინფორმაციით, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გადაუხდელი დასუფთავების მოსაკრებლის სახით ირიცხება 23.2 ათასი ლარის ნაშთი. მერიას არ აქვს შედგენილი მოსაკრებლის გადამხდელთა სრული ბაზა და შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით არ გეგმავს წლის განმავლობაში სრულად მისაღებ შემოსავლებს.

<sup>6</sup> რუსთავის, ზუგდიდის, სენაკის და მესტიის მუნიციპალიტეტები.



**კასპის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი**

2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის გადასახდელების მუხლი. კერძოდ, მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები (ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა წყლის სისტემების, საგზაო ინფრასტრუქტურის, საბავშვო ბაღების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები).

2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტმა იურიდიული და ფიზიკური პირებისგან დასუფთავების მოსაკრებლის სახით ვერ მიიღო 453.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები კუთვნილი მოსაკრებლის მიღების მიზნით. ამასთანავე, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი იურიდიული პირი მოსაკრებელს იხდიდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ის ანგარიშზე, რომელიც აღარ ფუნქციონირებს 2018 წლის შემდეგ.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი**

მუნიციპალიტეტის და მისი დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ წარმოებული სასამართლო დავები უარყოფითი შედეგით დასრულდა 3 შემთხვევაში. კერძოდ, 2022-2023 წლებში მერიამ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე აანაზღაურა სამსახურიდან განთავისუფლებული პირების იძულებით განაცდურთან დაკავშირებული ხარჯები, ჯამურად – 101.3 ათასი ლარის ოდენობით.

**ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი**

ქედის მუნიციპალიტეტს 2022-2023 წლებში აუთვისებელი დარჩა 3 მლნ ლარის საბიუჯეტო რესურსი, რაც, ძირითადად, ინფრასტრუქტურული

პროექტების დაგეგმვა-განხორციელების ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან მართვაზე მიუთითებს.

ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ დამატებული ღირებულების გადამხდელად არარეგისტრირებულ პირებზე, შესაბამისი დასაბუთების გარეშე, 17 შემთხვევაში ზედმეტადაა გადახდილი 26.9 ათასი ლარი.

**ჩხორონწყის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი**

ა(ა)იპ – ჩხორონწყის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გაერთიანებაში სულ გაცემულია 50 ათას ლარზე მეტი სახელფასო დანამატი. გადაწყვეტილებები დანამატის გაცემის შესახებ არ არის დასაბუთებული. კერძოდ, ბრძანებებში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა დამატებითი სამუშაოს განხორციელებისთვის გაიცა დანამატი.

2022-2023 წლებში მუნიციპალიტეტმა 42.5 ათასი ლარით დააფინანსა ა(ა)იპ – სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, თუ რა სარგებელი მიიღო ორგანიზაციისაგან ტურიზმისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით. იურიდიული პირის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ფორმალური ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს შედეგების მიმოხილვასა და ანალიზს.

**ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები****სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაბამისობის აუდიტი**

ცენტრის შრომითი ხელშეკრულებით, დასაქმებულ პირებზე 2022-2023 წლებში ფულადი ჯილდოების გაცემა ხორციელდებოდა ზემდგომი თანამდებობის პირების წარდგინებების გარეშე, რაც არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას.

### სსიპ – ეკონომიკური პროგრამების სააგენტოში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი

სააგენტოში 2022-2023 წლებში თანამშრომელთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში, უმეტეს შემთხვევაში თანამშრომლის სამუშაო ადგილზე გამოცხადების/გასვლის დროს დაფიქსირებულია არა მათი ფაქტობრივი მოსვლა-ნასვლის დრო, არამედ შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ასევე 2022-2023 წლებში არ იწარმოებოდა ნამუშევარი საათების აღრიცხვის ტაბელი, რაც გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის საფუძველია.

### სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო)“ შესაბამისობის აუდიტი

2022-2023 წლებში ესკოს არ შეუდგენია აღრიცხვის კვანძების შემოწმების გეგმა-გრაფიკები; ასევე არ განხორციელებულა ანგარიშსწორებაში გამოყენებული აღრიცხვის კვანძების პერიოდული შემოწმება, რაც არ შეესაბამება „ქსელის წესებით“, „ბაზრის წესებით“ და ესკოს დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და აღრიცხვის კვანძების მოწოდებლობების შემოწმების/ინსპექტირების პროცესში კონტროლის მექანიზმების არასრულყოფილად ფუნქციონირებაზე მიუთითებს.

### შპს „საქართველოს მელიორაციის“ შესაბამისობის აუდიტი

კომპანიას არ აქვს შემუშავებული სამელიორაციო სისტემიდან სანარმოო დანიშნულების წყლის მიწოდების სერვისის საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგია. ამასთანავე, ერთ შემთხვევაში წყლის მიწოდება ხორციელდება დადგენილ მინიმალურ საფასურზე ნაკლები ოდენობის ღირებულებით.

ჰიდროელექტროსადგურებისათვის წყლის მიწოდების მომსახურების ღირებულების გაანგარიშება, სხვადასხვა მომხმარებელთან მიმართებით, ხორციელდება განსხვავებული მიდგომით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიაში არ არის

დამტკიცებული ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია, აუდიტის სამსახურმა ვერ მიიღო რწმუნება განსხვავებული მეთოდების გამოყენებისა და მიზანშეწონილობის თაობაზე.

### ონის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შპს „ონის სერვის-ჯგუფს“ შესამოწმებელ პერიოდში შეძენილი და გამოყენებული აქვს 79.5 ტონა სანავაი. ორგანიზაციას არ აქვს დანერგილი შესაბამისი კონტროლის მექანიზმები სანავაის ხარჯვაზე.

### ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს სასმელ წყალზე მოსახლეობის ნაწილის ყოველდღიური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. კერძოდ, 28 სოფელში მცხოვრები 8,886 ოჯახიდან 2,789-ს წყალი მიეწოდება სათავე ნაგებობიდან (მათ შორის, 565 ოჯახს წყალი მიეწოდება გრაფიკით), ხოლო 6,097 ოჯახი სარგებლობს ჭებით და წყაროებით. მოსახლეობის უმრავლესობა ზაფხულში განიცდის წყლის დეფიციტს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი არ ახორციელებდა მოსახლეობაზე მიწოდებული წყლის სისტემატურ ლაბორატორიულ შემოწმებას. სოფლებში მოწყობილი სათავე ნაგებობები არ არის აღჭურვილი გამწმენდი ნაგებობებით და წყლის დაქლორვის საშუალებებით. ცალკეული ლაბორატორიული კვლევით დადგენილია, რომ სასმელი წყალი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტს საკმარისი ღონისძიებები არ გაუტარებია.

### კასპის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები მერიაში არ წარადგენენ წლიური საქმიანობის ანგარიშებს. შესაბამისად, მერიას არ განუხილავს და არ შეუფასებია მათი წლიური შედეგები. აღნიშნული ხარვეზი მიუთითებს, რომ

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული შესაბამისი კონტროლის მექანიზმები იურიდიული პირების საქმიანობაზე.

### ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების წილის მფლობელი ქედის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამის ზედამხედველობას არ უწევს შპსების საქმიანობას, არ ატარებს სათანადო მმართველობით ღონისძიებებს. 3 შპს-ს ფინანსური წელი დასრულებული აქვს 647.9 ათასი ლარის ბარალით, რაც წარმოშობს მეწარმე სუბიექტების გადახდისუნარობის და გაკოტრების რისკებს.

### შუახევის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა და გადასახდელი თანხები. შედეგად, არ ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირება. ასევე, მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობისა და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

### ხულოს მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

მუნიციპალიტეტში სათანადოდ არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა, რაც ხელფასის დაანგარიშების არსებითი საფუძველია. აღნიშნული გარემოებები, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან მიმართებით, არსებული კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს.

### წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

მუნიციპალიტეტში დაფუძნებულია 2 საერთო მიზნების და ამოცანების მქონე ერთი და იმავე პროფილის ა(ა)იპ, რომლებიც მოსახლეობას სთავაზობს ერთნაირ დარგობრივ მომსახურებას. კერძოდ, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ წალენჯიხის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური და ა(ა)იპ – წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური. 2022-2023 წლებში აღნიშნულ ა(ა)იპ-ებში ადმინისტრაციის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 243 ათას ლარზე მეტი.

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემური პრობლემები: სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებენ არალიცენზირებული სუბიექტები; მოსახლეობას მიწოდება დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამო სასმელი წყალი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოსახლეობის წყალმომარაგების მიმართულებით – არასაკმარისია.

### ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი

შესამოწმებელ პერიოდში მუნიციპალიტეტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იყენებდა ბალანსზე არსებულ 3 განპიროვნებულ და 2 სამორიგეო ავტომანქანას. გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტი ასევე სარგებლობდა და საწვავს ყოველთვიურად გაცემდა საჯარო მოსამსახურეების სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე. მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება დადგენილებით განსაზღვრულ ოდენობას. აღნიშნულ პერიოდში ტყიბულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ დახარჯულმა საწვავმა 122.9 ათასი ლიტრი შეადგინა.

## საქმიანობის პოლიტიკის შედეგები

აუდიტის სამსახურის პრიორიტეტული მიმართულებაა ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია საჯარო უწყებების მიერ განხორციელებული პროგრამებით/დონისძიებებით მიღწეული შედეგებისა და ამ პროცესში საბიუჯეტო რესურსის გამოყენების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის შესაფასებლად. ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება ხელს უწყობს საჯარო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებას.

აუდიტის სამსახურმა 2024 წელს ჩაატარა 16 ეფექტიანობის აუდიტი, რის ფარგლებშიც დაიფარა ისეთი სფეროები, როგორებიცაა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, ეკონომიკური საქმიანობა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.

2024 წელს ჩატარებული ზოგიერთი ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი შედეგებია:

|                     |                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|---------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის დასახელება: | მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური მონაცემების ადრეული გაფრთხილებებისთვის გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი                                                                                                                                                                     |
| სახელმწიფო სექტორი: | გარემოს დაცვა                                                                                                                                                                                                                                                                         |
| აუდიტის პერიოდი:    | 2022-2023 წლები                                                                                                                                                                                                                                                                       |
| აუდიტის ობიექტი:    | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო; ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი; ხულოს, თეთრიწყაროს, ხარაგაულის, მესტიის, წალენჯიხის, ხაშურის, ბორჯომისა და ონის მუნიციპალიტეტები |

აუდიტის ფარგლებში განხორციელდა ადრეული გაფრთხილების სისტემების ეფექტიანობის შესწავლა ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად; ასევე – ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მონაცემების გამოყენების შესწავლა, საქართველოს პირობებში ხშირი კატასტროფების (ზვავი, მენყერი, წყალდიდობა, სეტყვა) პრევენციისთვის.

### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

**მიგნება:** აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვეყანაში არ არის შემუშავებული/განახლებული ეროვნული დონის ისეთი კონცეპტუალური დოკუმენტები, როგორებიცაა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიები. განახლებას საჭიროებს ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მოქმედი ვერსია. სხვადასხვა სამართლებრივი აქტების, რეგულაციების შესწავლის და უწყებების ფუნქციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა უწყებების ფუნქციონირების ურთიერთგადაფარვა. ამასთანავე, არ არსებობს ბუნებრივი კატასტროფების, საფრთხეებისა და რისკების შეფასების საინფორმაციო ბაზა.

ადრეული გაფრთხილების მიზნებისთვის არ არსებობს სამეცნიერო და ტექნიკურ ექსპერტებთან მუნიციპალიტეტების, სააგენტოსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლობის, ინფორმაციის მიმოცვლის პროცესების მომწესრიგებელი დოკუმენტები, კომუნიკაციის სტრატეგიები, პროტოკოლები და მემორანდუმები. მუნიციპალიტეტების მიერ ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მონაცემები ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად არასაკმარისად გამოიყენება.

გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემა (ICT), საგანგებო სიტუაციების ეროვნული სატელეკომუნიკაციო გეგმა



და მასთან დაკავშირებული გამართული პროცესები, რათა დაინტერესებულ პირებამდე და ბუნებრივი კატასტროფის რისკის ქვეშ მყოფ საზოგადოებამდე გაფრთხილების შეტყობინებებმა მიაღწიოს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით.


**რეკომენდაცია:** საქართველოში მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატმა დააორგანიზოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და კოორდინაცია, ასევე ინციდენტის/მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემის დებულების პროექტის, როგორც ადრეული გაფრთხილების სისტემის ინტეგრირებული და ყოვლისმომცველი ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება, რომელიც, მათ შორის, განსაზღვრავს სისტემის მონაწილე სუბიექტების როლებს, პასუხისმგებლობებს, უწყებებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინირების მექანიზმებს.

|                     |                                                                                                                                                                                                                                                                 |
|---------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის დასახელება: | ციფრული ჯანდაცვის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                                                                                                                                                           |
| სახელმწიფო სპობორი: | ჯანმრთელობის დაცვა                                                                                                                                                                                                                                              |
| აუდიტის პერიოდი:    | 2020-2023 წლები                                                                                                                                                                                                                                                 |
| აუდიტის ობიექტი:    | სსიპ – ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო; ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო |

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ციფრული ჯანდაცვის ელემენტების დანერგვისა და ფუნქციონირების მექანიზმების ეფექტიანობა. ასევე – საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით პანდემიის გავლენით.


### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

**მიგნება:** ჯანმრთელობის ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში არ არის ჩართული მაღალი რისკის დაწესებულებების 57%, სტაციონარების – 4%, აფთიაქების – 32% და ექიმების – 24%. 2022-2023 წლებში 400,681 შემთხვევიდან 50%, არ არის ასახული EHR-ში.




**რეკომენდაცია:** ელექტრონული ჩანაწერების სისტემაში ჩართული მომხმარებლებისათვის მუდმივად განახლებად და სრულ მონაცემებზე წვდომის მიზნით, შემუშავდეს ეფექტიანი ზედამხედველობის მექანიზმი, რომელიც გაზრდის ექიმებისა და სამედიცინო დანესებულებების ჩართულობას, რითაც გააუმჯობესებს პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ არსებული ინფორმაციის დროულად და სრულად ასახვის მაჩვენებელს.

**მიგნება:** ელექტრონული რეცეპტების სისტემის გარეშე გაიცა 498,739,288 ერთეული მედიკამენტის 67%. 2021-2024 წლებში 38 ექიმმა 56 გარდაცვლილ პაციენტზე გასცა რეცეპტს დაქვემდებარებული, ძირითადად, პირველი ჯგუფის მედიკამენტები.



**რეკომენდაცია:** ელექტრონული რეცეპტის სისტემის ეფექტიანად ამოქმედების მიზნით, შემუშავდეს ისეთი ზედამხედველობის მექანიზმი, რომელიც შეამცირებს რეცეპტს დაქვემდებარებული მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემის შესაძლებლობას.

**მიგნება:** ტელემედიცინის სერვისით 97,381 პოტენციური ბენეფიციარიდან მხოლოდ 4% (3,883) სარგებლობს; 6 სოფლის ექიმს არ გამოუყენებია სერვისი; ამასთანავე, შერჩეული 5 სოფლიდან, სადაც არ ფიქსირდება ტელემედიცინის სერვისით სარგებლობა ან გამოყენებულია მინიმალურად, სამ სოფელში ამბულატორიას ასევე არ ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან.




**რეკომენდაცია:** ტელემედიცინის სერვისების დანერგვისა და მისი ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს იმგვარი ადმინისტრირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ტელემედიცინის აპარატურის პროდუქტიულ გამოყენებას, რაც გულისხმობს: აპარატების სოფლების მიხედვით განაწილებისას გეოგრაფიული და დემოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებას; აპარატურის გამართული და უწყვეტი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას; სოფლის ექიმებისათვის ტელემედიცინის სერვისის გამოყენების მიზნით მოტივაციის ზრდას; სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ტელემედიცინის სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას.

|                        |                                                                                                                                                                           |
|------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის დასახელება:    | სამედიცინო დაწესებულებების ზედამხედველობის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                                            |
| სახელმწიფო სპეციალური: | ჯანმრთელობის დაცვა                                                                                                                                                        |
| აუდიტის პერიოდი:       | 2022-2023 წლები                                                                                                                                                           |
| აუდიტის ობიექტი:       | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო |

აუდიტის ფარგლებში შეფასდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ ამბულატორიული/დღის სტაციონარისა და სტაციონარული ტიპის სამედიცინო დაწესებულებების ზედამხედველობის მიმართულებით შემუშავებული და დანერგილი მექანიზმების ეფექტიანობა და გამოყენებული რესურსების პროდუქტიულობა და ეკონომიურობა.

### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა


**მიგნება:** 2022-2023 წლებში მოქალაქეთა მიერ წარდგენილი 682 სამედიცინო საჩივრიდან, 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით მხოლოდ 33%-ია შესწავლილი, 67% კი – კვლავ მიმდინარეობს. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ არ არის დანერგილი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების კლასიფიცირებასა და პრიორიტეტულობის განსაზღვრას, მათი მნიშვნელობის მიხედვით.



**რეკომენდაცია:** სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტებისათვის განეული სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდეს და დაინერგოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს: მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების პრიორიტეტიზაციასა და კლასიფიკაციას; მნიშვნელოვანი კატეგორიის განცხადებებზე დროულ და პრიორიტეტულ რეაგირებას.

**მიგნება:** ზედამხედველობის მიზნით, სამედიცინო დაწესებულებების შერჩევის პროცესში არსებული კრიტერიუმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ რისკზე დაფუძნებულ მიდგომას და მაღალი რისკის შემცველი საქმიანობის განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებების გათვალისწინებას. არსებულ პირობებში განხორციელებული კონტროლი არ ახდენს სამედიცინო დაწესებულებებში არსებული რისკების სათანადო შეფასებასა და ანალიზს, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს დაგეგმვის ეფექტიანი პროცესის არსებობას.

## არსებული მექანიზმები არ არის საკმარისი სამედიცინო დაწესებულებების სრულყოფილი ზედამხედველობისთვის



**რეკომენდაცია:** სამედიცინო დაწესებულებების ზედამხედველობის პროცესში სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფს: დაწესებულებების შერჩევას რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით; მოქმედი მაღალრისკიანი სამედიცინო დაწესებულებების სათანადოდ მოცვას.

|                     |                                                                                                                                                                                                               |
|---------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის დასახელება: | ჰანდემის შემდგომ პერიოდში ინფექციების მართვის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                                                                             |
| სახელმწიფო სექტორი: | ჯანმრთელობის დაცვა                                                                                                                                                                                            |
| აუდიტის პერიოდი:    | 2022-2023 წლები                                                                                                                                                                                               |
| აუდიტის ობიექტი:    | სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ინფექციური დაავადებების, მათ შორის გრიპის, ზედამხედველობისა და მართვის ღონისძიებების ეფექტიანობის, ასევე – ეპიდზედამხედველობის სისტემის გაძლიერების ღონისძიებების, ელექტრონული სისტემების განვითარებისა და საინფორმაციო სისტემების თავსებადობის საკითხები.

### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

**მიგნება:** რისკჯგუფებში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის მოცვის მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალია. ამასთანავე, ზოგიერთ რისკჯგუფში შემცირებულია 2023 წლის მოცვის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი, ვისთვისაც ვაქცინაცია სავალდებულოა, 79%-დან შემცირდა 51%-მდე. ამასთანავე, აცრილი დიაბეტის მქონე პირების რაოდენობამ 2023 წლისთვის შეადგინა 19%, 60 წელზე ხანდაზმულ პირებთან რაოდენობამ – 7% და ორსულების რაოდენობამ – 2%.



არ არის  
განსაზღვრული  
ვაქცინაციით დაფარვის  
სამიზნე მაჩვენებელი



დაბალია მოსახლეობის  
ინფორმირებულობა  
ვაქცინაციის  
სარგებლიანობაზე

შემცირებულია ვაქცინის ათვისების მაჩვენებელი

2021-2022

99%

2022-2023

99%

2023-2024

85%

აცრილია სავალდებულო ვაქცინაციას  
დაქვემდებარებული სამედიცინო პერსონალის  
ნაწილი

2021-2022

79%

2022-2023

59%


2023-2024

51%

**რეკომენდაცია:** გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის მოცვის მაჩვენებლის ზრდის მიზნით დაინერგოს შე-  
საბამისი მექანიზმები, როგორც მოსახლეობის, ასევე სავალდებულო ვაქცინაციას დაქვემდებარებუ-  
ლი სეგმენტისა და რისკ-ჯგუფებისათვის; ამასთანავე, გაზრდილი მოთხოვნის პირობებში გათვალის-  
წინებულ იქნეს ვაქცინის სათანადო რაოდენობით უზრუნველყოფა.


**მიგნება:** სასწრაფო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებებისა და მდგომარეობების ფარგ-  
ლებში დაფიქსირებულ მონაცემთა შედარებით აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ნოზოლოგიის შემთხვე-  
ვაში, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის პროგრამის მონაცემებით ფიქსირდება მეტი  
შემთხვევა, ცენტრის მონაცემებთან შედარებით. შერჩეული დაავადების/მდგომარეობის 2022-2023  
წლებში დადასტურებულ 654 შემთხვევაზე ჩატარებული ეპიდკვლევების შესწავლის შედეგად გა-  
მოვლინდა, რომ დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული  
ინფორმაცია ჩატარებულ ეპიდკვლევებთან დაკავშირებით შემთხვევათა 53%-თან მიმართებით,  
არასრულყოფილია.

სისტემაში დაფიქსირებული ინფორმაცია ჩატარებულ  
ეპიდკვლევებთან დაკავშირებით



**რეკომენდაცია:** გადამდები დაავადებების შესახებ ქვეყნის დონეზე ზუსტი და სრული ინფორმაციის მო-  
პოვების მიზნით, დაინერგოს სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარდგენილი, როგორც აგრეგირე-  
ბული, ისე ინდივიდუალური შემთხვევების შესახებ მონაცემების ზედამხედველობის ეფექტიანი მექა-  
ნიზმი და გაუმჯობესდეს დაავადებებზე ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა.

**მიგნება:** საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების 46%-ს დასაქმებული ჰყავს იმაზე ნაკლები შრომითი რესურსი, რაც მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციითაა განსაზღვრული. საშტატო ერთეულები მხოლოდ 32%-ში შეესაბამება ნორმას.



**რეკომენდაცია:** საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს საკმარისი და კვალიფიციური ადამიანური რესურსის უზრუნველსაყოფად, შეფასდეს არსებული მდგომარეობა და შემუშავდეს, დაინერგოს და ზედამხედველობა გაეწიოს არსებულ საჭიროებებზე მორგებულ ადამიანური რესურსის განვითარების გეგმას, რომელიც შესაძლებელს გახდის გაუმჯობესდეს არსებულ და მომავალ გამოწვევებს ინფექციების მართვის მიმართულებით.


|                        |                                                           |
|------------------------|-----------------------------------------------------------|
| კუდიტის დასახელება:    | შრომის უსაფრთხო პირობების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი |
| სახელმწიფო სპეციალური: | ჯანმრთელობის დაცვა                                        |
| კუდიტის პერიოდი:       | 2021-2023 წლები                                           |
| კუდიტის ობიექტი:       | სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური                        |

აუდიტის ფარგლებში შეფასდა შრომის უსაფრთხოების სისტემის განვითარების პროცესში ჩართული მექანიზმების ეფექტიანობა, არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები. ამასთანავე, შესწავლილ იქნა: რამდენად არსებობს წინაპირობები შრომის უსაფრთხოების ნორმების სათანადო ინსპექტირებისთვის; პრიორიტეტული სექტორების გამოვლენისა და კომპანიების რისკზე დაფუძნებული შერჩევის საკითხი; ინსპექტირების პროცესის გავლენა კომპანიებში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.

## აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა


**მიგნება:** საქართველოში რეგისტრირებული პოტენციურად შესამოწმებელი ბიზნესსუბიექტების რაოდენობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში შეადგენს, შესაბამისად, 105,726 და 65,407 ერთეულს. აღნიშნულთან მიმართებით, ინსპექტორთა რაოდენობის განაწილება რეგიონების მიხედვით არაპროპორციულია. კერძოდ, 2022 წელს ცენტრალურ ოფისში ფაქტობრივად დასაქმებული იყო – 54, ხოლო რეგიონებში – 12 ინსპექტორი. აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის ოფისი დიდი მოცულობით ამოწმებს რეგიონების ობიექტებს.

**რეგიონებში გადანაწილებულ ბიზნესსუბიექტებთან შრომის ინსპექციის სტრუქტურულ ერთეულებთან დასაქმებულთა ურთიერთმიმართება - 2022 წ.**



**რეკომენდაცია:** ინსპექტირების პროცესის მოთხოვნებთან ადამიანური რესურსების რაოდენობისა და განაწილების უკეთ მისადაგების მიზნით, სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახურმა უზრუნველყოს ინსპექტორთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის პარალელურად ახალი თანამშრომლების რეგიონალურ სამმართველოებში გადანაწილება შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობის პროპორციულად, მათი სექტორული და რეგიონული სპეციფიკის გათვალისწინებით.

**მიგნება:** შრომის ინსპექციის მიერ გეგმურად ინსპექტირებულია კომპანიების 1%, ხოლო სულ ინსპექტირებულ კომპანიებში (როგორც გეგმურ, ასევე არაგეგმურ და სხვა სახით ინსპექტირებული) დასაქმებულთა 7%. სექტორულ დონეზე ინსპექტირებას დაქვემდებარებული კომპანიების მინიმალური რაოდენობები ზოგ შემთხვევაში მცირეა, იმავე სექტორში ქვეყანაში არსებული კომპანიების საერთო რაოდენობასთან შეფარდებით. კომპანიები არ არიან შერჩეულნი რისკის დონის პროპორციულად, შესაბამისად, მესამე დონის რისკის მქონე სექტორებიდან მეტი კომპანია აირჩევა, ვიდრე უპირატესი მეოთხე ან მეხუთე დონის რისკის სექტორებიდან.



**რეკომენდაცია:** შრომის უსაფრთხოების პრევენციული პოლიტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახურმა განსაზღვროს გეგმური ინსპექტირების დაფარვის მიზნობრივი მაჩვენებლები და უზრუნველყოს მათი ინიცირება სამინისტროს სტრატეგიაში.

|                        |                                                                                                                                                 |
|------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| პუბლიკის დასახელება:   | „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის მართვის (შემდგომი რეაგირება) ეფექტიანობის აუდიტი                                                           |
| სახელმწიფო სპეციალური: | ჯანმრთელობის დაცვა                                                                                                                              |
| პუბლიკის პერიოდი:      | 2023 წელი და 2024 წლის 6 თვე                                                                                                                    |
| პუბლიკის ობიექტი:      | ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

აუდიტის ფარგლებში შეფასდა „სოფლის ექიმის“ პროგრამის ეფექტიანობა და პროგრამის გაუმჯობესება 2015 წლის აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულებით შედეგად.

### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

**მიგნება:** სოფლად მცხოვრები მოსახლეობა არათანაბარ პირობებშია პირველად ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის კუთხით: 783 ტერიტორიული ერთეულიდან 45 მათგანში (6%-ში) არ არის დაცული საერთაშორისო კრიტერიუმით – ერთ ექიმზე მიმაგრებული მოსახლეობის რაოდენობის რეკომენდებული ზედა ზღვარი და ერთ ექიმზე – 2000-ზე მეტი მოსახლე მოდის, ასევე – სოფლის ექიმების განაწილებისას არ არის გათვალისწინებული ტერიტორიული ერთეულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებები. მაგალითად, ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 2000-ზე ნაკლებია და 2 სოფელს შორის მანძილი მცირეა, არის 2 საექიმო პუნქტი, როდესაც მსგავსი მოსახლეობის რაოდენობის მქონე მაღალმთიან ტერიტორიულ ერთეულში ერთი საექიმო პუნქტია, ბევრი დასახლებული პუნქტისა და სოფლებს შორის დიდი დაშორების მიუხედავად.

**რეკომენდაცია:** სოფლად პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სამედიცინო პერსონალის ოპტიმალურად განაწილების მიზნით: – სამინისტრომ დაადგინოს დემოგრაფიული და გეოგრაფიული კრიტერიუმები ტერიტორიული ერთეულებისთვის (მათ შორის, მაღალმთიანი და მეჩხერად დასახლებული ტერიტორიული ერთეულებისთვის); აღნიშნულის გათვალისწინებით შეაფასოს ადამიანური რესურსები და განსაზღვროს სოფლის ექიმების საკმარისი რაოდენობა თითოეული ტერიტორიული ერთეულისათვის; სხვა დაინტერესებულ უწყებებთან კოორდინაციით შეიმუშაოს სოფლად საკმარისი რაოდენობის და შესაბამისი კვალიფიკაციის სოფლის ექიმების მოძიების საშუალოვადიანი/გრძელვადიანი ხედვა და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

**მიგნება:** ტერიტორიულ ერთეულებში ექიმების დატვირთვა განსხვავებულია. კერძოდ, შერჩეული ტერიტორიული ერთეულების 28%-ში ერთი ექიმი მეორეზე, სულ მცირე, 70%-ით მეტ პაციენტს იღებს, რაც შესაძლოა მიაწინებდეს ექიმების განსხვავებულ პროდუქტიულობაზე. ასევე: აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული სოფლის ექიმების უდიდესი ნაწილი მხოლოდ სამიზნე მოსახლეობის 0%-დან 19%-მდე გადამისამართებას ახორციელებს სკრინინგის პროგრამებში. სოფლის ექიმებს სამიზნე მოსახლეობის შედარებით მაღალი მოცვა აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სხვა მომსახურებების ფარგლებში, თუმცა გამოწვევად მაინც რჩება ექიმების მხრიდან სამიზნე მოსახლეობის სრული მოცვა.

**რეკომენდაცია:** სოფლის ექიმების მოტივაციის ამაღლებისა და დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულების სტიმულირების მიზნით, პირველადი ჯანდაცვის რეფორმის სრულად ამოქმედებამდე, შეიმუშაოს სოფლის ექიმების ანაზღაურების სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება წინასწარ განსაზღვრულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებზე (მაგალითად, პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებებით სამიზნე მოსახლეობის მოცვა და სხვ.).



|                     |                                                                            |
|---------------------|----------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის დასახელება: | სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს სააღსრულებო პროცესის ეფექტიანობის აუდიტი |
| სახელმწიფო სექტორი: | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება                                      |
| აუდიტის პერიოდი:    | 2021-2023 წლები და 2024 წლის 6 თვე                                         |
| აუდიტის ობიექტი:    | სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო                                           |

აუდიტის ფარგლებში შეფასდა, რამდენად უზრუნველყოფს სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ეფექტიანი აღსრულების წინაპირობების შექმნას. ამასთანავე, შესწავლილ იქნა სისტემაში არსებული გამოწვევები.

### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

**მიგნება:** მოვალის ქონების მოძიებასთან დაკავშირებით არსებობს რიგი გამოწვევები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიუროს საქმიანობის ეფექტიანობაზე. კერძოდ, ბიურო ეროვნული ბანკიდან ავტომატურად ვერ იღებს ინფორმაციას ბანკის ლიცენზირების შესახებ, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს ბანკებთან მათი ლიცენზირებისთანავე ხელშეკრულების გაფორმებასა და მოვალის შესახებ დაცული ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიმოცვლას; ბიუროს ყველა საბანკო დანესხებულებასთან არ აქვს ხელშეკრულება დადებული; ბიურომ ვერ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოებთან ინფორმაციის მიმოცვლის შესახებ დადებული ხელშეკრულებები; ყადაღისგან უსაფუძვლოდ თავისუფლდება ის თანხა, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო პენსიასა და სოციალურ დახმარებას და ირიცხება ამ მიზნით გამოყენებულ ანგარიშებზე; დასაკავებლად გადაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძიების პროცესში, ბიურო ვერ იყენებს ყველა შესაძლო ადმინისტრაციული ორგანოს რესურსს; ბიურო ვერ ახერხებს ინფორმაციის მოძიებას კრიპტოაქტივებზე, ფასიან ქალაქებსა და სათამაშო ბიზნესში თანხის ვირტუალურად შენახვის საშუალებებზე.

**რეკომენდაცია:** ბიურომ, ქონების ყველა სახეობაზე აღსრულების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს: – ავტოსატრანსპორტის მოძიების პროცესში ყველა შესაძლო ადმინისტრაციული ორგანოს რესურსის გამოყენება; – ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებთან, ფასიანი ქალაქების ბაზრის შუამავლებთან, სათამაშო ბიზნესის სუბიექტებთან ელექტრონული საკომუნიკაციო გზების შემუშავება და მოვალის ქონების მოძიება.

**მიგნება:** ბიუროს პროგრამაში გამოყენებული ტექნოლოგია მოძველებულია და დგას სისტემის გადანერის აუცილებლობა, რაც გაზრდის სისტემის მოქნილობას, ხელს შეუწყობს ცვლილებების უფრო მარტივად განხორციელებას და შეუფერხებელ მუშაობას. პროგრამაში არსებული კონტროლის სხვადასხვა ნაკლოვანება ზრდის არავტორიზებული წვდომის რისკს. ზოგიერთ ტერიტორიულ ბიუროში საქმის განაწილების ალგორითმი განსხვავდება დანარჩენი ბიუროებისგან.


**რეკომენდაცია:** სააღსრულებო წარმოების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, ბიურომ უზრუნველყოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, ასევე ტერიტორიულ ბიუროებში საქმეთა განაწილება პროგრამული ალგორითმის გამოყენებით.

|                     |                                                                                                                                |
|---------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| პოლიტის დასახელება: | გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ზოგადი განათლების სფეროში                                                                  |
| სახელმწიფო სპორტი:  | განათლება                                                                                                                      |
| პოლიტის პერიოდი:    | 2018-2023 წლები                                                                                                                |
| პოლიტის ობიექტი:    | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი |

აუდიტის ფარგლებში განხორციელდა ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება.

### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა


**მიგნება:** მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგებში არ არის შემუშავებული გენდერული თანასწორობის შესახებ მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლების ან/და გენდერულად მგრძნობიარე პედაგოგიკის/სწავლების დამოუკიდებელი ტრენინგმოდული, რომლის ფარგლებშიც დაიფარებოდა საერთაშორისო კარგი პრაქტიკით გათვალისწინებული ყველა საკითხი და განხორციელდებოდა მასწავლებელთა სისტემური გადამზადება. არსებული ტრენინგები მხოლოდ ფრაგმენტულად მოიცავს აღნიშნულ საკითხებს, მიდგომა არ არის სისტემატური, მასშტაბური და არ ფარავს ყველა მასწავლებელს. ამასთანავე, მოსწავლეთა გამოკითხვითაც დადასტურდა, რომ მასწავლებელთა გადამზადება გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით კვლავ რჩება აუცილებელ ამოცანად.



**რეკომენდაცია:** მასწავლებელთა გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განხორციელების მიზნით, გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად და თანასწორი განათლების პირობების შესაქმნელად, მიზანშეწონილია: მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის გადასინჯვა, რათა მასწავლებელთა მიმართ მოთხოვნებში გათვალისწინებულ იქნეს გენდერულად პასუხისმგებლიანი სწავლება; შეიქმნას სათანადო ტრენინგმოდული, რომლითაც მოცული იქნება საერთაშორისო პრაქტიკით არსებული ყველა საჭირო ინფორმაცია გენდერულად პასუხისმგებლიანი პედაგოგიკის განსახორციელებლად და აღნიშნულის საფუძველზე სისტემურად გადამზადდნენ მოქმედი მასწავლებლები.



**მიგნება:** სამინისტრომ გენდერული თანასწორობის პრობლემები განსაზღვრა მხოლოდ სხვა ორგანიზაციების კვლევებით, რაც გენდერულ ჭრილში დამატებითი ანალიზების გარეშე, არ მოიცავს პრობლემეტიკის სრულ სპექტრს და არ ადგენს მათ გამომწვევ ფაქტორებს, რაზეც შემდგომ მიმართული უნდა იყოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ღონისძიებები. აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული მოსწავლეთა გამოკითხვების ანალიზით გამოვლინდა სკოლის დონეზე გენდერული თანასწორობის ის საკითხები, რომლებიც სამინისტროს მხრიდან საჭიროებს დამატებითი ღონისძიებების გატარებას მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, როგორცაა, მაგალითად, სკოლის დონეზე STEM საგნებში გოგოების მოტივაციების/ინტერესების გაზრდა.



**რეკომენდაცია:** სამინისტრომ განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის საკითხების უკეთ ინტეგრირების მიზნით გააუმჯობესოს განათლების სტრატეგიული ამოცანების დასახვისა და ღონისძიებების დაგეგმვის მოქმედი პროცესი, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად: – განსაზღვროს გენდერული თანასწორობის საკითხების სათანადოდ გამოვლენისთვის განსახორციელებელი აქტივობები; – გენდერული თანასწორობის ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნეს ზოგადი განათლების დონეზე ინიციატივები STEM საგნებში გოგოების მოტივაციის/ინტერესის გაზრდის მიზნით.

|                     |                                                                                                                             |
|---------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის დასახელება: | სეტყვასანინაალმდეგო სისტემების ეფექტიანობის აუდიტი                                                                          |
| სახელმწიფო სექტორი: | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება                                                                                  |
| აუდიტის პერიოდი:    | 2022-2023 წლები                                                                                                             |
| აუდიტის ობიექტი:    | სსიპ – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო |

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ქვეყანაში არსებული სეტყვასანინაალმდეგო სისტემები და მათი მართვის პროცესი, მოხდა ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და მათი გამომწვევი მიზეზების გაანალიზება.

## აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

**მიგნება:** სეტყვასანინააღმდევო სარაკეტო სისტემის ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მეტეოროლოგიური რადიოლოკაციური სადგური „რადარი“. მისი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, სისტემა ხდება უფუნქციო. დღეის მდგომარეობით, ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი რადარი, რომელიც სისტემის ფუნქციონირების დაწყების დღიდან მუშაობს სრული დატვირთვით. ამ ეტაპზე მისი საგარანტიო ვადა ამოწურულია და იმყოფება პოსტგარანტიულ მომსახურებაზე. რადარის ტექნიკური მომსახურება ხორციელდება გერმანელი სპეციალისტების მიერ. მათ ყოველწლიურ მოხსენებებში მითითებულია რეკომენდაციები, რადარის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო აქტივობების შესახებ. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სპეციალისტების მიერ გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მეორდება სხვადასხვა წლის მოხსენებებში და მათი აღმოფხვრა ხორციელდება დაგვიანებით.

**რეკომენდაცია:** სეტყვასანინააღმდევო სარაკეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, მნიშვნელოვანია განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები: უზრუნველყოფილ იქნეს სეზონის განმავლობაში მეტეოროლოგიური რადარის გამართული ფუნქციონირება, ე.წ. „მკვდარი ზონის“ არეალის დაფარვა და რადარის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, სხვა ალტერნატიული ქმედებები, რათა სისტემა არ გახდეს უფუნქციო.

**მიგნება:** არსებული საცეცხლე დანადგარების რაოდენობა და განლაგება, სრულყოფილად ვერ ფარავს დასაცავ არეალს. დანადგარების სიმცირესთან ერთად, მათ ნაწილს გააჩნიათ ე.წ. აკრძალული აზიმუტები, რაც გულისხმობს, რომ ღრუბელზე ზემოქმედება ვერ განხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით. დანადგარები არ არის განლაგებული წინა დამცავ (ბუფერულ) ზონებში, შესაბამისად, ვერ ხდება სეტყვის მარცვლის მატარებელი ღრუბლის დასაცავ ტერიტორიაზე შემოსვლამდე წინასწარ დამუშავება. არსებული 92 დანადგარი გასროლას ახდენს, მაქსიმუმ, 7 კმ-ის სიმაღლეზე, რაც არაეფექტურია.

**რეკომენდაცია:** სეტყვასანინააღმდევო სარაკეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, მნიშვნელოვანია განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები: დასაცავი არეალის ფართობის, სპეციფიკის და „აკრძალული აზიმუტების“ გათვალისწინებით, განხორციელდეს დამატებითი საცეცხლე დანადგარების განთავსება შესაბამის წერტილებში, მათ შორის, ე.წ. „ბუფერულ ზონებში“. ამასთანავე, განხორციელდეს შესაბამისი სამუშაოები საცეცხლე დანადგარების და რაკეტების უფრო შორ მანძილსა და სიმაღლეზე ზემოქმედების არეალის გაზრდის მიზნით.

### აუდიტის დასასრულება:

ფერმათა/ფერმერთა რეესტრის ფორმირებისა და ადმინისტრირების პროცესის ეფექტიანობის აუდიტი

### სახელმწიფო სექტორი:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

### აუდიტის პერიოდი:

2021-2024 წლები

### აუდიტის ობიექტი:

ა(ა)იპ — სოფლის განვითარების სააგენტო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აუდიტმა შეაფასა ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვების, გამოყენებისა და შენახვის პროცესის მართვის ეფექტიანობა და პროდუქტიულობა.



### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

**მიგნება:** მხარეებს (ABACO, სააგენტო, სამინისტრო) შორის არ არსებობს უფლება-მოვალეობების გამომწვევის ფორმალური დოკუმენტი. ხელშეკრულებების „მხარეთა ვალდებულებების“ მუხლი ზოგადია, მოიცავს მხოლოდ კონტრაქტორის ვალდებულებებს, არ განსაზღვრავს მომხმარებლების უფლებებს.

**რეკომენდაცია:** პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტიანი მართვისა და ადმინისტრირების მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით (მათ შორის, ცვლილებების მართვისა და მხარდაჭერის კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესებისა და მომსახურების ხარისხის განმსაზღვრელი ძირითადი ინდიკატორების დადგენის გზით), სამინისტრომ უზრუნველყოს სერვისის დონის შეთანხმების დოკუმენტის შემუშავება და დანერგვა.

**მიგნება:** ფერმერთა/ფერმათა რეესტრში რეგისტრაცია ხდება მხოლოდ სატელეფონო ინტერვიუთი, რომლის დროსაც ოპერატორი მანუალურად ავსებს მონაცემებს, რომლებიც არ გადამოწმდება ოფიციალური წყაროებით. ინფორმაცია სტატიკურია, არ ხდება მისი განახლება რეალურ დროში ან პერიოდულად.

**რეკომენდაცია:** სოფლის მეურნეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვებისა და ცენტრალიზაციის, ასევე დარგის განვითარების ხელშეწყობი პროგრამების/პროექტების მიზანმიმართულად დასაგეგმად და განსახორციელებლად, ფერმათა/ფერმერთა შესახებ სრული, ზუსტი და განახლებადი მონაცემების მოგროვების მიზნით, სააგენტომ განიხილოს რეგისტრაციის და რეესტრში შესატან მონაცემთა ვალიდაციის პროცესის ავტომატიზაციის შესაძლებლობა.

|                     |                                                                                                                                                                 |
|---------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის დასაბუთება: | მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი                                                                |
| სახელმწიფო სექტორი: | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება                                                                                                                      |
| აუდიტის პერიოდი:    | 2022-2023 წლები და 2024 წლის 6 თვე                                                                                                                              |
| აუდიტის ობიექტი:    | სიღნაღის, წყალტუბოს, ნალკის, ყვარლის, საგარეჯოს, სამტრედიის, მცხეთის, ჩოხატაურის, მარტვილის, მარნეულის, ლაგოდეხის, ასპინძისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები |

აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა მუნიციპალური უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის პროცესების ეფექტიანობის, ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის საკითხები.

### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

**მიგნება:** მუნიციპალიტეტებში უძრავი ქონების ფორმირების, მართვისა და განკარგვის პროცესი არასისტემური და არათანმიმდევრულია – მუნიციპალიტეტებს ქონების მართვის სტრატეგია შემუშავებული არ აქვთ. შესაბამისად, ქონების ფორმირების, მართვისა და განკარგვის მიმართულებით მისაღწევი მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები ნათლად ჩამოყალიბებული და დოკუმენტირებული არ არის. მუნიციპალიტეტებში არ ტარდება მოსახლეობის საჭიროებების, ინფრასტრუქტურის მდგომარეობის ან/და ბიზნესისთვის საინტერესო ქონების იდენტიფიცირება და მიღებული გადაწყვეტილებები არ ეყრდნობა ხარჯთსარგებლიანობის ანალიზს.

**რეკომენდაცია:** უძრავი ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებისთვის, მუნიციპალიტეტებმა საკუთარი სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეიმუშაონ უძრავი ქონების

მართვის სტრატეგია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მიზნების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების ერთობლიობას ქონებრივი უფლებამოსილებების განხორციელების ყველა ეტაპზე; ქონების ფორმირების, მართვისა და განკარგვის მიმართულებით შემუშავდეს საშუალოვადიანი/გრძელვადიანი გეგმა, რომელიც ნათლად, ზუსტად და კონკრეტულად განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს; ქონების ფორმირების პროცესში ჩაატარონ შესაბამისი კვლევა/შესწავლა და გამოავლინონ უძრავი ქონება, რომელიც საჭიროა მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარების, მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენისა და დაკმაყოფილების, ბიზნესგარემოს განვითარებისა და ადგილობრივი შემოსავლების ზრდის მიზნით.

**მიგნება:** მუნიციპალიტეტები ქონების მართვისა და განკარგვის პროცესში ინფორმაციის სათანადოდ გასავრცელებლად არ იყენებენ ყველა შესაძლო ინსტრუმენტს. სათანადოდ არ აქვთ შესწავლილი არსებული ბიზნესგარემო და ინვესტიციების მოზიდვის რესურსი, არ არის იდენტიფიცირებული ბიზნესისთვის საინტერესო მუნიციპალური უძრავი ქონება და არ არის შემუშავებული პოტენციურ დაინტერესებულ ინვესტორებთან/მხარეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის მექანიზმები. შესაბამისად, ვერ ხდება დაინტერესებული მხარეების სათანადოდ ინფორმირება, იზღუდება კონკურენცია, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მუნიციპალიტეტები კარგავენ მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობას.

**რეკომენდაცია:** უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდის, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისა და მეტი შემოსავლების მიღების მიზნით მუნიციპალიტეტებმა: – მაქსიმალურად გამოიყენონ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა პლატფორმა და რეგულარულად განაახლონ ინფორმაცია ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში; – დანერგონ დამატებითი პროცედურები, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების/მხარეების სათანადოდ ინფორმირებას და აქტიურ ჩართულობას უძრავი ქონების განკარგვის პროცესში. მათ შორის, ინფორმაციის გასავრცელებლად, აქტიურად გამოიყენონ საინფორმაციო დაფა; – გამოიყენონ ქონების განკარგვის ისეთი ფორმები, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტული და გამჭვირვალე გარემოს შექმნას.

**მიგნება:** მუნიციპალიტეტებში ქონების განკარგვის პროცესი არაოპტიმალურია – საწყისი საპრივატიზებო/საიჯარო საფასურის დასადგენად გამოყენებულ აუდიტორულ დასკვნებში მითითებული არ არის იმ ანალოგების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრა შესაფასებელი ქონების ფასი; გრძელვადიანი იჯარების შემთხვევებში მუნიციპალიტეტები არ იყენებენ ფასების გადახედვის პრაქტიკას და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების ფასი არ არის დაზუსტებული საბაზრო ფასების შესაბამისად; გადაუხდელი საიჯარო ქირის მისაღებად დროულად არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები; გამოყენებული არ არის ქონების პირობებით განკარგვის მექანიზმები; მუნიციპალიტეტებში არ არის გაწერილი ან/და პრაქტიკაში დანერგილი უძრავი ქონების მონიტორინგის განხორციელების სათანადო მეთოდები, რაც იწვევს მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ განკარგვას.

**რეკომენდაცია:** უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და მიღებული სარგებლის ზრდის მიზნით მუნიციპალიტეტებმა: – ყურადღება გაამახვილონ განსაკარგი ქონების ღირებულების კვალიფიციურ შეფასებაზე, რაც საშუალებას მისცემთ, თავიდან აირიდონ ქონების არასაბაზრო ფასით განკარგვა; – გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებისას, ჩამოაყალიბონ ერთიანი მიდგომა ქონების ღირებულების პერიოდულად გადაფასებასთან დაკავშირებით; – ქონების განკარგვაზე გადაწყვეტილებების მიღებისას, მუნიციპალიტეტებმა აქტიურად განიხილონ ქონების პირობებით განკარგვის შესაძლებლობა; – საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემოსავლების ადმინისტრირების პროცესის გასაუმჯობესებლად, დანერგონ დამატებითი კონტროლის მექანიზმები. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის და მოსახლეობის ინტერესების დაცვას, ასევე მისაღები შემოსავლების ადგილობრივ ბიუჯეტში მაქსიმალურად მობილიზებას.



|                     |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
|---------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| აუდიტის დასახელება: | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                                                                                    |
| სახელმწიფო სექტორი: | განათლება                                                                                                                                                                                                                                                                           |
| აუდიტის პერიოდი:    | 2021-2023 წლები                                                                                                                                                                                                                                                                     |
| აუდიტის ობიექტი:    | ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება; ა(ა)იპ – ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანება; ა(ა)იპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება; ა(ა)იპ – შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანება; ა(ა)იპ – ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება; ა(ა)იპ – ხულოს საბავშვო ბაღების გაერთიანება |


აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა, რამდენად ხორციელდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სისტემური და მიზანმიმართული რეფორმები, რათა საბავშვო ბაღებმა დააკმაყოფილონ „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტით“ განსაზღვრული პირობები და მოთხოვნები.

### აუდიტის შედეგად გამოვლენილი მთავარი პრობლემების მოკლე აღწერა

**მიგნება:** ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურა მოძველებულია, არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, საჭიროებს რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ სა-მოქმედო გეგმა. ამასთანავე, ბაღებში არასათანადო ყურადღება ეთმობა საგანმანათლებლო რესურსების არსებობას და მდგომარეობას.

**რეკომენდაცია:** ბათუმის, ქობულეთის და ხულოს მუნიციპალიტეტებმა შეიმუშაონ საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტში ასახული უნდა იყოს ის აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭარო ბაღების საყოველთაო ხელმისაწვდომობას და არსებული ინფრასტრუქტურული, ასევე საგანმანათლებლო რესურსის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**მიგნება:** სკოლამდელ დაწესებულებებში საკადრო პოლიტიკა არაეფექტიანია, არ არის საკმარისი რაოდენობის სათანადო კვალიფიციური პერსონალი. აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგმოდული მხოლოდ 20-42%-მა გაიარა. მუნიციპალიტეტებში პროფესიული განვითარების ღონისძიებები არასაკმარისია. არ არის სათანადო ინტენსივობით დაგეგმილი აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები.



**რეკომენდაცია:** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა, სტანდარტების შესაბამისად შეიმუშაონ აღმზრდელ-პედაგოგთა უწყვეტი განათლების უზრუნველყოფის სისტემა და ორგანიზება გაუწიონ მათ გადამზადებას, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების ავტორიზაციის პროცესს.

## დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტები

2018 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონარტვის საფუძველზე, ყოველწლიურად ატარებს მათ მიერ საქართველოში დაფინანსებული პროექტების აუდიტებს, რაც სამსახურის დამოუკიდებელი აუდიტორული საქმიანობის მაღალ ხარისხსა და ნდობაზე მიუთითებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ნდობა გამოუცხადეს ისეთმა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა, მსოფლიო ბანკი (WB) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2018 წლიდან ყოველწლიურად ატარებს მსოფლიო ბანკის (WB) პროექტის – „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვა (SRAMP)“ დამოუკიდებელ ეფექტიანობის აუდიტს.<sup>7</sup> სწორედ აუდიტის სამსახურის დასკვნის საფუძველზე მიიღებოდა გადაწყვეტილება პროექტის შემდგომი ტრანშის გამოყოფის შესახებ. პროექტი დასრულდა 2024 წელს. სამსახურის მიერ, საერთო ჯამში ჩატარდა – 6 ეფექტიანობის აუდიტი, რომელთა ფარგლებში დაიფარა პროექტის 2016-2024 წლების საქმიანობა.

2023 წლიდან აუდიტის სამსახური მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი მსხვილი პროექტის – „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ფინანსურ აუდიტს ატარებს და პროგრამის ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგებისა და ინდიკატორების მიღწევის დამოუკიდებელ ვერიფიკაციას ახორციელებს. 2024 წელს აუდიტის სამსახურმა მოამზადა მეორე ვერიფიკაციის ანგარიში,<sup>8</sup> რომელიც თან დაერთო აუდიტის სამსახურის მოხსენებას „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ სწორედ აუდიტის სამსახურის ვერიფიკაციის ანგარიშის სა-

ფუძველზე მსოფლიო ბანკის მხრიდან მიიღება გადაწყვეტილება პროექტით გათვალისწინებული ტრანშების გამოყოფის შესახებ. ასევე: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა პროექტის ფინანსური მხარე და ანგარიშგების პროცესი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა<sup>9</sup> და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს<sup>10</sup> 2023 წლის ფინანსური აუდიტების ფარგლებში.

## 1.2 აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანოს, მთავარი მიზანია მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნა. ეს მიზანი უშუალოდ უკავშირდება აუდიტების შედეგად გაცემული რეკომენდაციების ეფექტიან დანერგვას. შესაბამისად, სამსახურისთვის პრიორიტეტულია რეკომენდაციების დროული შესრულება პარლამენტსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და პროაქტიური კომუნიკაციით.

2020-2024 წლებში სამსახურმა გასცა 3000-ზე მეტი რეკომენდაცია, საიდანაც 20% ასახულია 2024 წელს ჩატარებული აუდიტების ანგარიშებში.<sup>11</sup> სტატისტიკური ანალიზით, სრულად შესრულებულია რეკომენდაციების 46%, ნაწილობრივ შესრულებულია – 28%. რეკომენდაციების 18% მიმდინარეა და ორგანიზაციების მიერ მათი საბოლოო შესრულებისთვის დაგეგმილი თარიღი ჯერ არ დამდგარა.

რაც შეეხება ხელისუფლების ცენტრალურ დონეს, 2020-2024 წლებში აუდიტის სამსახურმა გასცა 1,200-ზე მეტი რეკომენდაცია, რაც ჯამური რეკომენდაციების 41%-ია. აღსანიშნავია, რომ სრულად შესრულებული რეკომენდაციების მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ცენტრალური ხელისუფლების დონეზე; იგი 58%-ს შეადგენს და 12 პ.პ.-ით აღემატება რეკომენდაციების შესრულების ჯამურ მაჩვენებელს.

<sup>7</sup> შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP).


<sup>8</sup> „საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის“ ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგებისა და ინდიკატორების მიღწევის დამოუკიდებელი ვერიფიკაციის ანგარიში.

<sup>9</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში.


<sup>10</sup> განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში.

<sup>11</sup> წინამდებარე ანგარიშში 2024 წლის რეკომენდაციების მაჩვენებელი მოიცავს 2024 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით განსაზღვრული იმ აუდიტების რეკომენდაციებსაც, რომლებიც დამტკიცდა 2025 წლის დასაწყისში.




დიაგრამა 5. გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა.<sup>12</sup>


დიაგრამა 6. 2020-2024 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.



დიაგრამა 7. ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა.



დიაგრამა 8. 2020-2024 წლებში ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.




სახელმწიფო აუდიტის სამსახური გასცემს ორი ტიპის რეკომენდაციას: მნიშვნელოვანსა და სტანდარტულს. მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ეხება ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებებს და მათ შესრულებას შეუძლია არსებითი ზეგავლენის მოხდენა საჯარო ფინანსების მართვის სისტემაზე. მათი შეუსრულებლობა ზრდის თაღლითობის, კორუფციისა და რესურსების არამიზნობრივი გამოყენების რისკებს. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულება საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს, მიღებული სარგებელი ბევრად აღემატება დანახარჯს.


2020-2024 წლებში გაცემული 1,300-ზე მეტი მნიშვნელოვანი რეკომენდაციის 52% სრულად არის შესრულებული. შედარებით დაბალია სტანდარტული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი, რომელიც 42%-ია. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე გაცემული რეკომენდაციები შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, მათ შორის, მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულება 64%-ს შეადგენს, ხოლო სტანდარტული რეკომენდაციების – 53%-ს.

<sup>12</sup> წინამდებარე ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების სტატისტიკა შესაძლებელია განსხვავდებოდეს გასული წლების საქმიანობის ანგარიშებში წარმოდგენილი მონაცემებისგან. კერძოდ, რელევანტურობის შესანარჩუნებლად, სამსახური ყოველწლიურად ატარებს გასულ წლებში გაცემული რეკომენდაციების ინვენტარიზაციას და არავალიდური რეკომენდაციების იდენტიფიცირების შემთხვევაში, ჩამოწმებს მათ.


დიაგრამა 9. 2020-2024 წლებში გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.




დიაგრამა 10. 2020-2024 წლებში გაცემული სტანდარტული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.



დიაგრამა 11. 2020-2024 წლებში ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.




დიაგრამა 12. 2020-2024 წლებში ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე გაცემული სტანდარტული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.




აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, ძირითადად, ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გაიცემა. შესაბამისად, ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების მხოლოდ 25%-ია სრულად შესრულებული, ხოლო ნაწილობრივ შესრულებულია – 33%. შედარებით მაღალია შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება, რომელიც 54%-ს აღწევს. შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ფინანსური აუდიტის რეკომენდაციები, რომელთა შესრულება 56%-ია.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე გაცემული რეკომენდაციებიდან შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები გამოირჩევა და 79%-ს შეადგენს. საერთო მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია ცენტრალურ დონეზე გაცემული ეფექტიანობის აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი, რომელიც 41%-ია.

**დიაგრამა 13. 2020-2024 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით.**



**დიაგრამა 14. 2020-2024 წლებში ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე გაცემული რეკომენდაციების შესრულება აუდიტის სახეობების მიხედვით.**



რეკომენდაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათი მართვის ეფექტიანი მექანიზმები. ამ მიზნით აუდიტის სამსახური მუდმივად აუმჯობესებს შიდა პროცესების ეფექტიანობას. შედეგების გაუმჯობესებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების უკეთესი მონიტორინგის მიზნით, სამსახური ჩატარებული აუდიტების შედეგად გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგს ელექტრონული სისტემის ([www.aris.sao.ge](http://www.aris.sao.ge)) საშუალებით ახორციელებს. სისტემას მონიტორინგის პროცესი სრულად გადაჰყავს ელექტრონულ სივრცეში, რაც პროცესების ავტომატიზაციასა და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან პროაქტიულ კომუნიკაციას უზრუნველყოფს.

არსებული მდგომარეობით, ელექტრონულ სისტემაში ჩართულია 13 სამინისტრო და მათ დაქვემდებარებაში მყოფი 120-მდე საბიუჯეტო ორგანიზაცია, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, 58 მუნიციპალიტეტი და ყველა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია. სისტემის საშუალებით მონიტორინგი ხორციელდება 2021-2025 წლებში გაცემულ 1,700-მდე რეკომენდაციაზე.

რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში პარლამენტის ჩართულობა. პარლამენტის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სამსახურმა 2024

წელს მოამზადა რეკომენდაციების შესრულების ანალიტიკური ანგარიში, რომელიც იძლევა დეტალურ ინფორმაციას არსებული მდგომარეობის, გამოწვევების, სისტემური ხასიათის საკითხების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და თითოეული მხარჯავი დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესასრულებლად განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობის შესახებ.

### 1.3 სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშები

საჯარო ფინანსების მართვის პროცესში საპარლამენტო კონტროლის ხელშეწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია საბიუჯეტო კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული აუდიტის სამსახურის ანგარიშები. სახელმწიფო აუდიტის სამსახური საბიუჯეტო პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეა და ჩართულია როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე ბიუჯეტის შესრულების კონტროლის ეტაპებზე. კერძოდ, 2024 წელს სამსახურმა მოამზადა და საქართველოს პარლამენტს წარუდგინა:

- მოხსენება „2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე;

- მოხსენება „2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე;
- დასკვნა კანონის პროექტზე „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (კანონპროექტის სამივე წარდგენაზე);
- დასკვნა კანონის პროექტზე „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურის მოხსენებების მიზანია, შეაფასოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე, ამასთანავე, გამოავლინოს საჭარო ფინანსების მართვის პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები და ხელი შეუწყოს აღნიშნული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას რეკომენდაციების საშუალებით. 2024 წელს მომზადებულ მოხსენებებში სამსახურმა შეისწავლა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

- მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და ფისკალური რისკების რეალიზების მდგომარეობა;
- „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების შესრულების მდგომარეობა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზების მდგომარეობა;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესის გამართულობა;
- კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვა;
- სახელმწიფოს ფინანსური აქტივების მართვა;
- სახელმწიფო ვალის მართვა;
- პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და ანგარიშვების პროცესის გამართულობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის შესახებ აუდიტის სამსახურის დასკვნის მიზანია კანონპროექტში ასახული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შეფასება, ფისკალური წესების საპროგნოზო მაჩვენებლებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის შესაბამისობის დადგენა, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სამსახურის დასკვნები ეხმარება პარლამენტს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის პროცესში ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. 2024 წელს მომზადებულ დასკვნებში წარმოდგენილი საკითხებიდან აღსანიშნავია:

კალური წესების საპროგნოზო მაჩვენებლებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის შესაბამისობის დადგენა, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სამსახურის დასკვნები ეხმარება პარლამენტს მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის პროცესში ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. 2024 წელს მომზადებულ დასკვნებში წარმოდგენილი საკითხებიდან აღსანიშნავია:

- ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს მიმოხილვა და კანონპროექტში ასახული მაკროეკონომიკური დაშვებების ანალიზი;
- „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების საპროგნოზო მაჩვენებლების ანალიზი და შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;
- მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკები და მათი გავლენის ანალიზი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებისა და პროგრამებზე გამოყოფილი დაფინანსების მიზანშეწონილობის ანალიზი;
- სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მაჩვენებლების ანალიზი;
- პროგრამული ბიუჯეტის გამართულობა და შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებსა და მოხსენებებში გასულ წლებში გაცემული რეკომენდაციების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბიუჯეტო დოკუმენტების ხარისხი, შინაარსი და მათი ანგარიშვების პროცესი, გაიზარდა საჭარო ფინანსების გამჭვირვალობა და დარეგულირდა არაერთი საკითხი, მათ შორის საკანონმდებლო დონეზე.



A decorative header consisting of ten vertical bars of equal height and width, arranged in a row. The first nine bars are light gray, and the tenth bar on the right is a vibrant green.

2.


ძირითად პარტნიორობთან  
თანამშრომლობის გაძლიერება

## 2.1 თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს პარლამენტის მიერ საჯარო ფინანსების მართვის ზედამხედველობის პროცესში. პარლამენტი აუდიტის სამსახურის ძირითადი პარტნიორი და აუდიტის ანგარიშების მთავარი მომხმარებელია. შესაბამისად, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში საზედამხედველო როლის გაძლიერებისა და აუდიტის რეკომენდაციების შესრულების პროცესის მხარდაჭერის მიზნით, პარლამენტსა და მის დარგობრივ კომიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობა სამსახურის პრიორიტეტია.

პარლამენტსა და აუდიტის სამსახურს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პლატფორმაა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული აუდიტის ჯგუფი, რომელიც განიხილავს კონკრეტული აუდიტების შედეგებსა და რეკომენდაციებს. 2018-2024 წლებში ჯგუფმა საერთო ჯამში განიხილა – 135 აუდიტის ანგარიში, მათ შორის, 2024 წელს – 18 ანგარიში (იხ. დანართი 2).

**დიაგრამა 15. 2018-2024 წლებში პარლამენტის აუდიტის ჯგუფის მიერ განიხილული ანგარიშების რაოდენობა.**



აუდიტის ანგარიშების განხილვასთან ერთად, პარლამენტს მნიშვნელოვანი როლი აქვს სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესში. აუდიტის სამსახურის პარალელურად, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო

კომიტეტიც აქტიურად ახორციელებს მის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. ამ პროცესის ეფექტიანობის ხელშეწყობისთვის აუდიტის სამსახური იყენებს არაერთ ინსტრუმენტს. კერძოდ, 2024 წელს მომზადდა და კომიტეტს წარედგინა გასულ წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის ამსახველი ანგარიში. ამასთანავე, პარლამენტის საზედამხედველო როლის გაძლიერებისა და რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესში უფრო აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, აუდიტის სამსახურმა პრაქტიკაში დანერგა აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა. აღნიშნული სისტემა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს საშუალებას აძლევს, მუდმივად განახლებად რეჟიმში მიიღოს ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე გაცემული თითოეული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს შესაბამისი რეაგირება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის პრიორიტეტია პარლამენტის წევრებისა და აპარატის მუდმივი ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება სამსახურის საქმიანობის, სტრატეგიული მიმართულებებისა და ძირითადი შედეგების შესახებ. შესაბამისად, აუდიტის სამსახური აქტიურად მონაწილეობს როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ შეხვედრებში, ინფორმაციის გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

## 2.2 თანამშრომლობა საქართველოს მოსახლეობასთან და საჯარო უწყებებთან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წლის განმავლობაში გამართა არაერთი ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრა საჯარო უწყებებთან, სადაც განხილულ იქნა აუდიტების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. ორგანიზაციების ხელმძღვანელობას მიენოდა ინფორმაცია არსებული გამოწვევებისა და ძირითადი მიგნებების/რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც მათი მხრიდან საჭიროებს დამატებით ყურადღებას. ასევე, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის (ARIS) დანერგვის პროცესში, სამუშაო შეხ-



ვედრები გაიმართა სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციასთან, სადაც განხილულ იქნა სისტემის ფუნქციონალი და მისი მოხმარების წესი.

2024 წელს სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა უწყებათაშორის საბჭოების საქმიანობაში. PFM საბჭოს ფარგლებში მომზადდა 2024 წლის სამოქმედო გეგმა და მისი კვარტალური შესრულების ანგარიშები. ასევე, სამსახურის მიერ მომზადდა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარედგინა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2024 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეასრულა აღნიშნული სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ყველა მიზანი.

აღსანიშნავია აუდიტის სამსახურის წვლილი მუნიციპალიტეტებში ეფექტიანობის ამალგების კუთხით. სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით ტარდება სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგკურსები, რომლებიც მორგებულია მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეების მოთხოვნებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე. აღნიშნული სასწავლო კურსები 2024 წელს გაიარა მუნიციპალიტეტების 220-მა საჯარო მოხელემ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2024 წელს ქვემო ქართლის, აჭარის, გურიისა და კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ჩაატარა 3 გასვლითი შეხვედრა, სადაც მერიებისა და საკრებულოების წარმომადგენლებს სამუშაო რეჟიმში გააცნო სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი სისტემური ხასიათის მიგნებები, გაცემული რეკომენდაციები, აუდიტის რეკომენდაციების შესრულების ელექტრონული სისტემის (ARIS) თავისებურებები და სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენინგკურსების კატალოგი. შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა აუდიტის რეკომენდაციების პოტენციური შესრულების გზები და ამ კუთხით, მხარეებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

## 2.3 თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან

აუდიტების ფარგლებში გამოვლენილი დარღვევები, რომლებიც შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს, გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს, კანონმდებლობით დადგენილი შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად. შესაბამისად, აუდიტის სამსახურისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო და ეფექტიანი კომუნიკაცია, როგორც რისკის შემცველი მასალების გადაგზავნის, ასევე გადაგზავნილ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიღების კუთხით.

2024 წელს გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა 14 აუდიტის ანგარიში/კონკრეტული ინფორმაცია, მათ შორის, 12 შემთხვევა ეხებოდა მუნიციპალიტეტებს (იხ. დანართი 3). პროკურატურისთვის მიწოდებულ საკითხებზე მონიტორინგისა და შედეგების გამჭვირვალობის კუთხით აღსანიშნავია, რომ პროკურატურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში<sup>13</sup> ცალკე ქვეთავია წარმოდგენილი აუდიტის სამსახურის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

## 2.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მუდმივად ზრუნავს თანამედროვე მიდგომების შემუშავებაზე, რომლებიც გააძლიერებს მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების როლსა და ჩართულობას საჯარო ფინანსების მართვის პროცესში, ასევე გაზრდის მათი ინფორმირებულობის ხარისხს სამსახურის საქმიანობისა და ძირითადი შედეგების შესახებ.

მედიასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მოქალაქეებთან ეფექტიანი ურთიერთობისთვის აუდიტის სამსახური იყენებს სხვადასხვა კომუნიკაციის არხსა და ინსტრუმენტს.

<sup>13</sup> საქართველოს პროკურატურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.

სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი  
(WWW.SAO.GE)

50 ათასამდე უნიკალური მომხმარებელი; 500 ათასზე მეტი ნახვა; დოკუმენტების 43 ათასამდე ნახვა.

პოპულარული აუდიტის ბლოგი  
(WWW.BLOG.SAO.GE)


2024 წელს ბლოგზე გამოქვეყნდა 7 პოსტი.

სოციალური ქსელი


2024 წლის ბოლოს სამსახურის ფეისბუქის გვერდის მომხმარებელთა რაოდენობამ 55 ათასს გადააჭარბა.

საზოგადოებასთან პროაქტიული კომუნიკაციის პროცესში, სამსახური უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებას წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმის ფორმირებისას. აუდიტის სამსახური მუდმივად იღებს მომართვებს სხვადასხვა საკითხის შესწავლისა და აუდიტის ჩატარების შესახებ მოქალაქეების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების, საკანონმდებლო ორგანოსა თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან.

დიაგრამა 16. 2018-2024 წლებში სამსახურის მიერ მიღებული მომართვების აუდიტის ჩატარების შესახებ, კატეგორიების მიხედვით.



დიაგრამა 17. 2018-2024 წლებში სამსახურის მიერ მიღებული მომართვების გათვალისწინების მაჩვენებელი (%) წლების მიხედვით.




საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ისევე როგორც მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა ეფექტიანი თანამშრომლობა მედიასთან. აუდიტის სამსახური აქტიურად მუშაობს მედიის წარმომადგენლებთან აუდიტის ანგარიშების, სამსახურის საქმიანობისა და ძირითადი პროდუქტების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული მიწოდების გზით და იყენებს კომუნიკაციის ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა, სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, ეფექტიანობის აუდიტის ბლოგი, ბიუჯეტის მონიტორი, Facebook გვერდი, LinkedIn და Youtube. მეორე მხრივ, აუდიტის სამსახური აქტიურად აანალიზებს მედიის სხვადასხვა საშუალების გამოხმაურებასა და ინტერესს სამსახურთან მიმართებით და იყენებს აღნიშნულ ინფორმაციას საქმიანობის განხორციელების პროცესში.


მედიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ცნობიერების ამაღლებისა და სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით, 2024 წელს მედიის წარმომადგენლებისთვის სამსახურმა ჩაატარა მედიასემინარი, სადაც განხილულ იქნა სამსახურის საქმიანობის ცალკეული მიმართულებები, აქტუალური თემები და შედეგები.

აუდიტის სამსახურის მიერ მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევა ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. სამსახური მუდმივად ცდილობს განავითაროს თანამედროვე მიდგომები, რაც გაზრდის საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხს და გააძლიერებს მის როლს საჯარო ფინანსების მართვის პროცესში.

დიაგრამა 18. 2024 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საზოგადოებასთან კომუნიკაციის პლატფორმებზე განთავსებული სიახლეების/პოსტების სტატისტიკა.



დიაგრამა 19. 2024 წელს დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ 766 ერთეული მედიაგამოხმაურება.



## 2.5 საქრთველოს თანამშრომლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან სხვადასხვა პროექტის/პროგრამის თუ პლატფორმის ფარგლებში.

საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვებასთან ერთად, 2024 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური გახდა ევროკავშირის კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ქსელის (EU Network) წევრი. აღნიშნულ ფორმატში თანამშრომლობის მიზანია კანდიდატი ქვეყნების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება და ინტეგრირება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა 2024 წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა თებერვალში გამართულ ქსელისა და საკონტაქტო კომიტეტის<sup>14</sup> შეკავშირე ოფიცრების ყოველწლიურ შეხვედრაში. ქსელში გაწევრიანების კვალ-

დაკვალ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე გაწევრიანდა აუდიტორული საქმიანობის ერთობლივ სამუშაო ჯგუფში, რომლის ძირითადი მიზანია ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა.

სამსახური აქტიურად ჩაერთო ქსელის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და აქტივობებში. კერძოდ, 2024 წელს აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქსელის ფარგლებში EU/OECD SIGMA-ს ორგანიზებით ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაში თემაზე „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების აუდიტი“ და შვედეთის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხარდაჭერით გამართულ სამუშაო შეხვედრაში თემაზე „თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტების ჩატარება და მათი ხარისხის კონტროლი“; ასევე: სამსახურის 3 აუდიტორი ჩაერთო შვედეთის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ქსელის წევრი ქვეყნებისთვის შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ეფექტიანობის აუდიტი გამოცდილი აუდიტორებისათვის“, ხოლო დამატებით, კიდევ 3 აუდიტორი პროგრამაში

<sup>14</sup> საკონტაქტო კომიტეტი დაკომპლექტებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

– „ეფექტიანობის აუდიტი დამწყები აუდიტორები-სათვის“. პროგრამები მოიცავს ერთწლიან ონლაინ სწავლებისა და სამუშაო შეხვედრების ციკლს.

რაც შეეხება საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, 2024 წელს განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია:

- **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „საჯარო მმართველობის პროგრამა (NGP)“ და „ადგილობრივი მმართველობის პროგრამა“ (LGP)** – პროექტების ფარგლებში ხორციელდებოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხარდაჭერა რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, IT აუდიტის გაძლიერება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობით; სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების გაძლიერება და ISO 27001 საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა; თანამშრომლობა აშშ-ის მთავრობის ანგარიშვალდებულების სამსახურის აუდიტის დახელოვნების ცენტრთან; თანამშრომელთა პროფესიული განვითარება საერთაშორისო სერტიფიცირებებით; სამსახურის თანამშრომლობის გაღრმავება ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან;
- **ევროკავშირის (EU) „ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების“ პროგრამის ტექნიკური დახმარების პროექტი** – პროექტის განმახორციელებელი იყო მსოფლიო ბანკი (WB). პროექტის მხარდაჭერა მიმართული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე IPSAS სტანდარტებისა და IT აუდიტის მიმართულებებით. მსოფლიო ბანკის ექსპერტის დახმარებით სამსახურის აუდიტორებმა შეიმუშავეს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, გააკეთეს არსებითი რისკების იდენტიფიცირება და შეფასება;
- **ევროკავშირის (EU) „საქართველოში უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ პროექტი (EU SAFE)** – პროექტის მხარდაჭერით აუდიტის სამსახურის დელოგაცია სამუშაო ვიზიტით ეწვია შვედეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციას. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გაზიარებულ იქნა შვედეთის გამოცდილება სამართალდამცავ ორგანოებში აუდიტების ჩატარებისა და

აუდიტის თემების შერჩევის, აუდიტის დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე აუდიტის მიდგომებისა და პროცედურების, კომუნიკაციისა და სფეროსთან დაკავშირებული სხვა სპეციფიკური საკითხების შესახებ;

- **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტი „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“** – პროექტის მხარდაჭერით აუდიტის სამსახურმა 2024 წელს საქართველოში უმასპინძლა ევროპის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების გაერთიანების (EUROSAI) მუნიციპალური აუდიტების სამუშაო ჯგუფის წლიურ შეხვედრას;
- **გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)** – 2024 წელს დაიწყო თანამშრომლობის ახალი ფაზა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის, ტრენინგები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანებების (INTOSAI, EUROSAI და ASOSAI) წევრი, წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული და მონაწილეობდა აღნიშნული ორგანიზაციების ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების/ქვეკომიტეტების საქმიანობაში, INTOSAI-ის განვითარების ინიციატივის (IDI) პროექტებსა და ვებინარებში. 2024 წელს სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 50-მდე საერთაშორისო კონფერენციასა და ვებინარში, რომელთა შორის აღსანიშნავია UN/INTOSAI-ის სიმპოზიუმი; სახელმწიფო ვალის, IT აუდიტის, ადგილობრივი თვითმმართველობების აუდიტისა და კატასტროფებსა და უბედურ შემთხვევებზე მიმართული სახსრების აუდიტის სამუშაო ჯგუფების; ასევე – შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის ქვეკომიტეტების შეხვედრები.

2024 წელი გამორჩეული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით, იმ თვალსაზრისით, რომ სამსახურმა უმასპინძლა 3 მაღალი რანგის მასშტაბურ საერთაშორისო ღონისძიებას, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი აუდიტორული, საერთაშორისო საფინანსო და სხვა ორგანიზაციების პირველმა პირებმა მთელი მსოფლიოდან, კერძოდ:



- **INTOSAI-ის განვითარების ინიციატივის (IDI) გლობალური სამიტი**<sup>15</sup> – სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოში უმასპინძლა IDI-ის რიგით მეორე გლობალურ სამიტს თემაზე: „უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების აუდიტების წვლილი დიჯიტალიზაციასა და მდგრადობაში“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტი ქვეყნის 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა, მთელი მსოფლიოდან,<sup>16</sup> მათ შორის, 12 ქვეყნის გენერალურმა აუდიტორმა. გარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციებისა, კონფერენციაში მონაწილეობდა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი;
- **INTOSAI-ის ეფექტიანობის აუდიტის ქვეკომიტეტის (PAS) წლიური შეხვედრა**<sup>17</sup> – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მასპინძლობით გაიმართა INTOSAI-ის ეფექტიანობის აუდიტის ქვეკომიტეტის მე-15 წლიური შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 30-მდე სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის 50-მდე წარმომადგენელმა. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მრავალი წელია ქვეკომიტეტის წევრია და აქტიურადაა ჩართული მის საქმიანობაში როგორც საჯარო აუდიტის მეთოდოლოგიური ბაზის განახლების, ასევე პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების კუთხით;
- **EUROSAI-ის მუნიციპალიტეტების აუდიტის სამუშაო ჯგუფის (WGMA) წლიური შეხვედრა**<sup>18</sup> – სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უმასპინძლა EUROSAI-ის მუნიციპალიტეტების აუდიტის სამუშაო ჯგუფის რიგით მერვე წლიურ შეხვედრას და მეშვიდე სემინარს თემაზე: „ინფრასტრუქტურული პროექტების აუდიტი მუნიციპალიტეტებში“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ევროპის 25 ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის 60-მდე წარმომადგენელმა, მათ შორის, 6 ქვეყნის გენერალურმა აუდიტორმა და გენერალური აუდიტორის მოადგილემ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან საჯარო აუდიტის უახლესი მიდგომების გაზიარების, პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. სამსახურის ძირითადი პარტნიორები არიან აშშ-ის, ნიდერლანდების, ლატვიის, გერმანიის, პოლონეთის, შვედეთის, ფინეთის, თურქეთის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციები.

სხვა ქვეყნის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით აღსანიშნავია IDI-ს ახალი ინიციატივა – „უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების გლობალური ინიციატივა“ (Global SAI Accountability Initiative – GSAI), რომელსაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2024 წელს შეუერთდა. პროექტი ემსახურება შერჩეული 8 ქვეყნის აუდიტის სამსახურების ინსტიტუციურ განვითარებას პარტნიორი ქვეყნების აუდიტის სამსახურების მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ტაქტიკური საანგარიშო პალატის მენტორი და პარტნიორი ორგანიზაცია გახდა. 2025-2028 წლებში სამსახური კოლეგა ორგანიზაციას დაეხმარება და საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს აუდიტის სტანდარტების დანერგვის, აუდიტის მეთოდოლოგიების შემუშავების, საპილოტე აუდიტების ჩატარების, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის სისტემების დანერგვის, ასევე რეკომენდაციების მონიტორინგის მიმართულებებით.

უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ჟურნალებში აუდიტის საინტერესო მიგნებებისა და საკუთარი გამოცდილების შესახებ სტატიების გამოქვეყნებით, აუდიტის სამსახურს თავისი წვლილი შეაქვს უკეთესი საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებასა და ჩამოყალიბებაში. 2024 წელს გამოქვეყნდა სამსახურის 3 პუბლიკაცია INTOSAI-ის საჯარო აუდიტის საერთაშორისო ჟურნალში.<sup>19</sup>

<sup>15</sup> IDI-ის გლობალური სამიტი.

<sup>16</sup> ევროპა, აზია, სამხრეთ ამერიკა, ჩრდილოეთ ამერიკა, აფრიკა, ოკეანეთი.

<sup>17</sup> INTOSAI-ის ეფექტიანობის აუდიტის ქვეკომიტეტის წლიური კონფერენცია.

<sup>18</sup> EUROSAI-ის მუნიციპალური აუდიტების სამუშაო ჯგუფის წლიური კონფერენცია.

<sup>19</sup> სტატია აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის შესახებ: „საჯარო სექტორში დისტანციური მუშაობისათვის ეფექტიანი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“; სტატია: „სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ეთიკისა და კეთილსინდისიერების საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვასთან დაკავშირებით“.

A decorative header consisting of ten vertical bars of equal height. The first nine bars are light gray, and the tenth bar on the right is a solid blue color.

# 3.

შიდა მმართველობის სისტემის  
გამლიერებით ეფექტიანობის ამაღლება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ორიენტირებულია შიდა მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლებაზე, საზოგადოებისთვის მეტი ღირებულების შექმნასა და საჯარო სექტორის სანიმუშო ორგანიზაციად ჩამოყალიბებაზე. სტრატეგიის მიხედვით, სამსახური აგრძელებს არსებული გამოწვევების საპასუხოდ შიდა ორგანიზაციული გარემოს გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება მმართველობითი სისტემის დახვეწაში, ეთიკური ღირებულებების განმტკიცებაში, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასა და სტრატეგიული/ოპერაციული დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და მათ ინტეგრირებას აუდიტის პროცესსა და სამსახურის ოპერაციულ საქმიანობაში. ამასთანავე, თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში არსებული გამოწვევების პირობებში, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაბამისი სისტემების დანერგვა. სამსახური აცნობიერებს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვას, ასევე მათ განკარგვას.

ინფორმაციული სისტემების გაუმჯობესებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურში ფუნქციონირებს ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია ამ მიმართულებით პოლიტიკის განხორციელებასა და განახლებაზე; ასევე სამსახურს ჰყავს ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი, რომელიც პერიოდულად აფასებს სამსახურის IT გარემოს უსაფრთხოებას სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით. ამ შეფასებების საფუძველზე შემუშავებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა.

ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვის კუთხით არსებული რისკების ეფექტიანი მართვის მიზ-

ნით, აუდიტის სამსახური აქტიურად განაგრძობს მუშაობას IT უსაფრთხოების პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვასა და გაუმჯობესებაზე, რათა მაქსიმალურად დაუახლოვდეს უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტს. ამ კუთხით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური აგრძელებს მუშაობას ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის – ISO 27001-ის დანერგვაზე. 2024 წელს BDO-მ განახორციელა სამსახურში არსებული IT პროცესებისა და ინფრასტრუქტურის შეფასება, მომზადდა Gap ანალიზი, იდენტიფიცირდა სამსახურის საჭიროებები, რის საფუძველზეც შემუშავდა სამოქმედო გეგმა; ასევე შეიქმნა როგორც – ახალი, ასევე განახლდა არსებული ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტები, განხორციელდა სხვადასხვა IT სისტემის კონფიგურაცია.

2024 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციას შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა, რომლებიც ემსახურებოდა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების როლთან დაკავშირებით, გენდერული თანასწორობისა და გენდერული ბიუჯეტირების საკითხებში.



# 4.


თანამშრომელთა პროფესიული  
განვითარების ხელშეწყობა

სამსახურის სტრატეგიული მიზნების დროული და ეფექტიანი მიღწევის ძირითადი წინაპირობაა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა და მათი შენარჩუნება მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობითა და მოტივაციის ამაღლებით. ადამიანური რესურსი სამსახურის ძირითადი აქტივია. შესაბამისად, აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული მრავალი აქტივობა და დონორებისგან მიღებული მხარდაჭერა მიმართულია


ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

2024 წელს აუდიტის სამსახურში დასაქმებული იყო 307 თანამშრომელი (პროფესიული საჯარო მოხელეები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები). ორგანიზაციის თანამშრომელთა 74%-ს პროფესიული შტატი შეადგენს, ხოლო 26% – დამხმარე პერსონალია. აღსანიშნავია, რომ სამსახურში დაცულია გენდერული ბალანსი.


გენდერული განაწილება




პროფესიული და დამხმარე შტატი




დასაქმებულთა ასაკობრივი განაწილება




დასაქმებულთა სამუშაო გამოცდილება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში



დასაქმებულთა განათლების სფერო



დასაქმებულთა განათლების დონე




აუდიტის სამსახურში დანერგილია საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა, რომლის საშუალებით განისაზღვრება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებები, ასევე მათი პროფესიული კვალიფიკაციის გამოყენების პერსპექტივები და წახალისების წინაპირობები.

თანამშრომლების როგორც პროფესიული, ასევე სხვა უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამსახურის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგკურსებსა და პროფესიულ სამუშაო შეხვედრებში. 2024 წელს რამდენიმე მიმართულებით ტრენინგი გაიარა 250-მდე თანამშრომელმა. აღნიშნული სასწავლო კურსები შეეხებოდა როგორც აუდიტორულ, ასევე არა-აუდიტორულ და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს. 2024 წელს სამსახურის 23-მა აუდიტორმა მოიპოვა პროფესიული სერტიფიკატი. აღსანიშნავია, რომ სამსახურის თანამშრომლების, დაახლოებით, 50% ფლობს პროფესიული განვითარების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

აუდიტის სამსახური 2021 წლიდან ჩართულია **IDI-ის პროფესიული განათლების პროგრამაში (Professional Education for SAI Auditors – PESA)**, რომლის მიზანია აუდიტორთა კვალიფიკაციის ამაღლება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სწავლებით ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მიმართულებით. პროგრამა ითვალისწინებს თითოეული მონაწილისთვის ინდივიდუალური სასწავლო პორტფელის შემუშავებასა და აუდიტორთა პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას. 2024 წელს PESA-ს საერთაშორისო სერტიფიკატი მოიპოვა ოთხმა აუდიტორმა. არსებული მდგომარეობით, PESA-ს სერტიფიკატს ფლობს სამსახურის 14 აუდიტორი და 5 მენტორი. პროგრამის 2024-2025 წლების ნაკადში ჩაერთო სამსახურის კიდევ 30 აუდიტორი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები ასევე აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისოდ აღიარებულ სასერტიფიკაციო პროგრამებში, როგორებიცაა, სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „საჯარო სექტორის აუდიტორთა სასერტიფიკაციო პროგრამა“, ACCA, CFA, CFM, CISA და სხვ.

დიაგრამა 20. 2024 წელს გადამზადებულ თანამშრომელთა განაწილება მიმართულებების მიხედვით.



აუდიტის სამსახურისა და ზოგადად, საჯარო სექტორის ადამიანური რესურსების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტი.<sup>20</sup> ინსტიტუტის პირველადი ფუნქციაა აუდიტის სამსახურისა და ინსტიტუტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მოსამსახურეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, მათი ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, შესაბამისი სასწავლო კურსების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება.


2024 წელს ინსტიტუტმა ჩაატარა 41 ტრენინგ-კურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1,660-მა მსმენელმა. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა გაიარა 33-მა პირმა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური განვითარების პროგრამის მიმართულებით, ტრენინგკურსებში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტების 220-მდე წარმომადგენელი.

2024 წელს აკრედიტებული პროგრამების კურსი განხორციელდა 12 ჯგუფისათვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 192-მა ადამიანმა.

2024 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემის (ISO 9001:2015) სერტიფიკატი ხელახლა მოიპოვა, ასევე შემუშავდა საჯარო აუდიტის ინსტიტუტის 2024-2028 წლების სტრატეგია.

საჯარო აუდიტის ინსტიტუტსა და აუდიტორულ კომპანია „კრესტონ ჯორჯიას“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას პროფესიული განათლების, პერსონალის განვითარების, აუდიტის სფეროში პროფესიული კადრების დაინტერესებისა და მოზიდვის ხელშეწყობა აქტივობებში, ასევე, გამოცდილების და ცოდნის გაზიარების ერთობლივ ღონისძიებებში.

<sup>20</sup> <http://www.sai.ge/ka/>




# 5.

სამსახურის ფინანსები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტი 23.3 მლნ ლარით განისაზღვრა. ფაქტობრივად დახარჯულმა თანხამ 22.6 მლნ ლარი და გეგმის 97% შეადგინა. სამსახურის ძირითადი ხარჯია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, რაზეც წლის განმავლობაში 19 მლნ ლარი მიიმართა.<sup>21</sup>

**დიაგრამა 21. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წლის ბიუჯეტის სტრუქტურა (ფაქტი).**



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსურ აუდიტს ატარებს საქართველოს პარლამენტის მიერ შერჩეული მსოფლიოს 4 უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიიდან ერთ-ერთი. 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველომ“ (PwC). სამსახურმა მიიღო უპირობო დასკვნა, რაც ნიშნავს, რომ სამსახურის ფინანსური ანგარიშგება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სამსახურის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი აუდიტის დასკვნა იხ. დანართ 5-ში.

<sup>21</sup> მოიცავს შტატიტ გათვალისწინებულ და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა ანაზღაურებას.



6.

მომავლის ხედვა  
და არსებული გამოწვევები

შედგგზე ორიენტირებული და ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუდიტის სამსახური მუდმივად აანალიზებს ორგანიზაციის წინაშე არსებულ შიდა და გარე გამოწვევებს, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მათთან გამკლავების გზების მოძიებასა და განვითარების შესაძლებლობად გარდაქმნას. არსებული მდგომარეობით სამსახურის წინაშე მდგარი გამოწვევებია:

### სახელმწიფო საწარმოების დაფარვა

აუდიტის სამსახურის მანდატი ფართოა და იგი მოიცავს მხარჯავ დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საბიუჯეტო ორგანიზაციებს საქართველოს ორ ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე 69 მუნიციპალიტეტსა და 300-მდე სახელმწიფო საწარმოს. სამსახურისთვის გამოწვევად რჩება სახელმწიფო საწარმოების დაფარვისთვის საჭირო რესურსის გამოყოფა ნაერთი ბიუჯეტისა და სექტორული დაფარვის მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნების პარალელურად.

### რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის, უმთავრესი ფუნქციაა საჯარო მმართველობის გაუმჯობესება და მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნა. აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სამსახური გაცემს რეკომენდაციებს, რაც მიზნად ისახავს, გაუმჯობესდეს საჯარო ფინანსების მართვა საერთაშორისო სტანდარტებთან/უკეთეს პრაქტიკებთან შესაბამისობის, კანონიერებისა და ეფექტიანობის კუთხით გამოვლენილ ნაკლოვანებებზე საპასუხო ქმედებების განხორციელებით. აუდიტორული საქმიანობის სარგებელი გამოიხატება შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობაში, რაც მთავარ გამოწვევად რჩება. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (ARIS). დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით, პარლამენტის აღნიშნულ პროცესში აქტიური ჩართვა, ხელს შეუწყობს რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესებას.

### თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემები

ციფრული მმართველობა და საჯარო სერვისების ელექტრონიზაცია თანამედროვე საჯარო ფინანსების მართვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. გასულ წლებში არსებითად გაფართოვდა საჯარო სექტორის ინფორმაციული ინფრასტრუქტურა და დაინერგა მრავალი ახალი ელექტრონული სისტემა. დადებით მხარეებთან ერთად, ელექტრონული მმართველობის სისტემების განვითარება დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, როგორებიცაა, კიბერუსაფრთხოება და მონაცემთა ბაზების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტიანობა. აღნიშნულის პარალელურად, კიდევ უფრო იზრდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში IT აუდიტის მიმართულების განვითარების საჭიროება და მისი გამოყენება მთავრობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური (ICT) ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის.


### კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება

აუდიტის სამსახურის უმთავრესი ინტელექტუალური რესურსი პროფესიული კადრებია. აუდიტის სფეროში არსებული მაღალი კონკურენციის პირობებში, სამსახურისთვის გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსების გადინების მიზნობრივი მაჩვენებლის (5%) შენარჩუნება და კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით მწვავედ დგას სამსახურის სტრატეგიით განსაზღვრული ახალი მიმართულებების გაძლიერებისა და დაფარვის მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის/შენარჩუნების კუთხით, ასევე IT აუდიტორების მიმართულებით.

## ინფორმაციული ტექნოლოგიები და ინფორმაციული უსაფრთხოება

მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობა მოითხოვს დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს. ამასთანავე, მომეტებული კიბერსაფრთხოების ფონზე შესაძლებელია გაზრდილი ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების მნიშვნელობა. გასულ პერიოდში აუდიტის სამსახურმა დანერგა კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე

საინფორმაციო ტექნოლოგიურ გამოწვევებს და უზრუნველყოფს სამსახურის, როგორც საჯარო სექტორში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით სანიმუშო ორგანიზაციის, გამართულ ფუნქციონირებას. მიუხედავად ამისა, სწრაფად ცვალებადი ტექნოლოგიური გარემო მოითხოვს ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და IT აუდიტის შესაძლებლობების გაძლიერებაზე მუდმივ ზრუნვას, რაც ადამიანურ და ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული.



## დენერტიები

დანართი 1. 2024 წელს ჩატარებული აუდიტები

| 13 ფინანსური აუდიტი     |                                                                                                                                                                                                                                                                   |
|-------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1                       | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                                                                           |
| 2                       | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                                               |
| 3                       | საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                                                                |
| 4                       | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                                                          |
| 5                       | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                                                                |
| 6                       | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                                     |
| 7                       | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                                      |
| 8                       | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                               |
| 9                       | საგადასახადო შემოსავლების ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                                                                        |
| 10                      | აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი                                                                                            |
| 11                      | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი                                                                                                       |
| 12                      | ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                       |
| 13                      | ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი                                                                                                                                                                      |
| 29 შესაბამისობის აუდიტი |                                                                                                                                                                                                                                                                   |
| 14                      | უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხარჯვითი ოპერაციებისა და ქონების მართვის შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                    |
| 15                      | სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                                                           |
| 16                      | ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                                               |
| 17                      | სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                                                       |
| 18                      | სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                                         |
| 19                      | სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                                                             |
| 20                      | სსიპ - სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის - „დეტას“ აქტივების მართვისა და შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                              |
| 21                      | სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                                              |
| 22                      | სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო)“ შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                               |
| 23                      | საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალური და ადმინისტრაციული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                           |
| 24                      | შპს „ენგურჰესის“ შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                                                                             |
| 25                      | საჯარო უწყებებში მივლინებების მართვის შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                                                                                                        |
| 26                      | აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის - „მოსახლეობის სოციალური დაცვა“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი |
| 27                      | სსიპ - ეკონომიკური პროგრამების სააგენტოში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი                                                                                                                            |
| 28                      | შპს „სამედიცინო ცენტრ „დიომედში“ შემოსავლების, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის, მიღება-ხარჯვისა და გამოყენების შესაბამისობის აუდიტი                                                                                                       |



|                               |                                                                                                                                  |
|-------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 29                            | ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                                          |
| 30                            | შუახევის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                                       |
| 31                            | ხულოს მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                                          |
| 32                            | აბაშის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                                         |
| 33                            | ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                                       |
| 34                            | კასპის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                                         |
| 35                            | ონის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                      |
| 36                            | ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                  |
| 37                            | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                 |
| 38                            | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                 |
| 39                            | ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლებისა და 2024 წლის 6 თვის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                   |
| 40                            | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                                     |
| 41                            | ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი                                                       |
| 42                            | მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტი                                                                |
| <b>16 ეფექტიანობის აუდიტი</b> |                                                                                                                                  |
| 43                            | განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების სოციალური ინტეგრაციის ეფექტიანობის აუდიტი                                                   |
| 44                            | პანდემიის შემდგომ პერიოდში ინფექციების მართვის ეფექტიანობის აუდიტი                                                               |
| 45                            | ციფრული ჯანდაცვის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                            |
| 46                            | სამედიცინო დაწესებულებების ზედამხედველობის ეფექტიანობის აუდიტი                                                                   |
| 47                            | შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტის (SRAMP) ეფექტიანობის აუდიტი                                               |
| 48                            | მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გეოლოგიური მონაცემების ადრეული გაფრთხილებებისთვის გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი                |
| 49                            | სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს სააღსრულებო პროცესის ეფექტიანობის აუდიტი                                                       |
| 50                            | სეტყვასაწინააღმდეგო სისტემების ეფექტიანობის აუდიტი                                                                               |
| 51                            | სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                |
| 52                            | შრომის უსაფრთხო პირობების ხელშეწყობის ეფექტიანობის აუდიტი                                                                        |
| 53                            | ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეფექტიანობის აუდიტი                                               |
| 54                            | „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის მართვის (შემდგომი რეაგირება) ეფექტიანობის აუდიტი                                            |
| 55                            | „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების აღდგენა-შენარჩუნების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მართვის ეფექტიანობის აუდიტი          |
| 56                            | ფერმათა/ფერმერთა რეესტრის ფორმირებისა და ადმინისტრირების პროცესის ეფექტიანობის აუდიტი                                            |
| 57                            | მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი                                 |
| 58                            | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ეფექტიანობის აუდიტი |

## დანართი 2. 2024 წელს კარლამუნის აუდიტის ჯგუფის მიერ განხილული აუდიტები

|    |                                                                                                                                                    |
|----|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1  | აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განვითარების და მართვის ეფექტიანობის აუდიტი                                                                     |
| 2  | სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტი                                                                                  |
| 3  | ზოგადი განათლების მართვის მოდელის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                              |
| 4  | სსიპ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი                          |
| 5  | ინტერნეტიზაციის ხელშისაწვდომობის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                               |
| 6  | დევენილთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შესაბამისობის აუდიტი                                                                                  |
| 7  | სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტების უვნებლობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტი |
| 8  | სამხედრო განათლების სისტემის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                                   |
| 9  | შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი                                                                             |
| 10 | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური აუდიტი                                               |
| 11 | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                   |
| 12 | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                  |
| 13 | ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                         |
| 14 | განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                            |
| 15 | იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი                                                                                                             |
| 16 | საქართველოს პროკურატურის ფინანსური აუდიტი                                                                                                          |
| 17 | სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის – „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტი                  |
| 18 | ფსიქიკური ჯანმრთელობის ეფექტიანობის აუდიტი                                                                                                         |



## დანართი 3. სეპარტულდამსავ ორგანოებში 2024 წელს გადგზავნილი ანგარიშები/მასალები

|    |                                                                                                                                                                                   |
|----|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 1  | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 - 2020 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში და მასალები           |
| 2  | გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში                                                                                             |
| 3  | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში                                                                                            |
| 4  | გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში                                                                                             |
| 5  | ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში                                                                                              |
| 6  | დმანისის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში                                                                                              |
| 7  | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში                                                                                           |
| 8  | ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში                                                                                              |
| 9  | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში                                                                                           |
| 10 | ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში                                                                                             |
| 11 | მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის თაობაზე ინფორმაცია (ხაზინის ამონაწერები)                                                      |
| 12 | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მასალები |
| სუბსიდიები                    |           | -                                 | -                                | -                     | -                |
| გრანტები                      |           | 6,000                             | 6,000                            | 4,407                 | 73%              |
| სოციალური დახმარება           |           | 300,000                           | 320,000                          | 319,041               | 100%             |
| სხვა ხარჯები                  |           | 547,000                           | 547,000                          | 470,577               | 86%              |
| არაფინანსური აქტივების ზრდა   |           | 1,436,000                         | 1,436,000                        | 1,348,063             | 94%              |
| ფინანსური აქტივების ზრდა      |           | -                                 | -                                | -                     | -                |
| ვალდებულებების კლება          |           | -                                 | -                                | -                     | -                |
| სულ ბიუჯეტის გადასახდელები    |           | 23,241,500                        | 23,241,500                       | 22,613,148            | -                |
| ბიუჯეტის ნაშთი                | 29        |                                   |                                  |                       |                  |

ხელმძღვანელობის სახელით:

  
 იოტნე ყავლაშვილი  
 გენერალური აუდიტორი  
 6 მაისი 2025წ. თბილისი, საქართველო

  
 ლალი შალვაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი

**1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა**

1918 წელს შეიქმნა სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუტი, რომელიც ფუნქციონირებდა 1921 წლის ჩათვლით, საბჭოთა ოკუპაციამდე. 1991 წელს, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, შეიქმნა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ეროვნული სისტემა და დაარსდა საქართველოს კონტროლის პალატა. 2008 წლიდან დაიწყო უწყების ინსტიტუციური გარდაქმნა, რის შედეგადაც 2012 წლის ივლისიდან ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მართვის მოდელი წარმოადგენს ვესტმინსტერულ მოდელს. სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი, რომელსაც ირჩევს პარლამენტი 5 წლის ვადით. აუდიტის სამსახური ხელს უწყობს საპარლამენტო ზედამხედველობისა და მთავრობის საქმიანობის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს გამჭვირვალებასა და საჯარო ფინანსების ეფექტურ გამოყენებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAIs) მიხედვით შეიმუშავა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგიები. 2018 წლიდან დაიწყო სისტემური (ჰორიზონტალური) აუდიტების ჩატარება საჯარო სექტორში არსებული სისტემური რისკების გამოვლენისათვის. აუდიტის ახალ მიმართულებად განისაზღვრა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა (მსოფლიო ბანკი - World Bank (WB)) და დონორების (United States Agency for International Development (USAID)) მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტი. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გამოცხადებული ნდობა მიუთითებს აუდიტის სამსახურის წარმატებასა და აუდიტორული საქმიანობის მაღალ ხარისხზე.

აგრეთვე სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ეფექტიანობის აუდიტის წილი მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნა აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა. შედეგად, აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას. მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, უკანასკნელ პერიოდში სამსახური ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ლიდერ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციად და პარალელურ რეჟიმში, ატარებს ერთობლივ აუდიტს ევროკავშირის ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორებიცაა: პოლონეთი, ავსტრია, ესპანეთი, ნიდერლანდები, შვეიცარია, ესტონეთი, უნგრეთი და ა.შ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაინერგა თანამედროვე მიდგომები რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიმართულებით. კერძოდ, სამსახურმა შექმნა რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა (<https://aris.sao.ge>), რომელიც უზრუნველყოფს აუდიტის ობიექტებთან პროაქტიულ კომუნიკაციას, პროცესების ავტომატიზაციასა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის დანერგვას. სისტემაში ასახულია რეკომენდაციებთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია და ხელს უწყობს გაცემული რეკომენდაციების პრაქტიკაში დროულ დანერგვას.

## 1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

პარლამენტის საზედამხედველო როლის გაძლიერებისა და აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მიზნით, მნიშვნელოვნად გააქტიურდა თანამშრომლობა პარლამენტთან - აუდიტის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფის ფორმატში. 2024 წელს სამუშაო ჯგუფმა განიხილა 18 აუდიტის ანგარიში, მათ შორის საანგარიშგებო პერიოდში სახელმწიფოს ცენტრალურ დონეზე ჩატარებული ყველა ფინანსური, 3 შესაბამისობისა და 7 ეფექტიანობის აუდიტი (2023 წელს: 23 აუდიტის ანგარიში, მათ შორის სახელმწიფოს ცენტრალურ დონეზე ჩატარებული ყველა ფინანსური, 6 შესაბამისობისა და 6 ეფექტიანობის აუდიტი).

თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, სამსახურის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უსაფრთხო საინფორმაციო ტექნოლოგიური გარემოს ჩამოყალიბებით, აუდიტის სამსახურმა დაწერა კონტროლის ისეთი სისტემები, რომლებიც პასუხობენ საერთაშორისო სტანდარტებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციურ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სხვა ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტებთან (აშშ, შვედეთი, გერმანია, ჰოლანდია, ლატვია, პოლონეთი, ლიეტუვა, სლოვენია და სხვა), საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან განხორციელებულმა თანამშრომლობამ. დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, როგორებიცაა: EU (European Union), GIZ (Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit), WB, USAID სხვადასხვა დროს წარმატებით განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავდა სამსახურის როგორც აუდიტორული, ასევე არააუდიტორული საქმიანობის მიმართულებების გაძლიერებას. საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და უკეთესი პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სამსახური უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაციისა (INTOSAI) და მისი რეგიონული გაერთიანებების (EUROSAI, ASOSAI) აქტიური წევრია. INTOSAI, EUROSAI და ASOSAI წარმოადგენენ ავტონომიურ, დამოუკიდებელ და აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო აუდიტის მიმართულებით დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონულ დონეზე.

2022 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასდა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩოს - SAI-PMF<sup>1</sup> მეთოდოლოგიის საშუალებით. საქმიანობა შეაფასა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა OECD-ისა და ევროკავშირის SIGMA-ს პროექტის მხარდაჭერით. შეფასების შედეგების გათვალისწინებითა და ახალი გენერალური აუდიტორის ხედვით, სამსახურმა შეიმუშავა 2023-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის სტრატეგიულ მიზნებში ასახულია ხუთწლიან პერიოდში მისაღწევი შედეგები და მათი მიღწევის გზები.

---

<sup>1</sup> <https://www.idi.no/work-streams/well-governed-sais/sai-pmf>

## **1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)**

სამსახურის განვითარების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია 2023-2027 წლების სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც ასახავს სამსახურის მისიას, ხედვას, ძირითად ღირებულებებს და ეყრდნობა ხუთ სტრატეგიულ მიზანს: (1) დამოუკიდებლობისა და მანდატის გაძლიერება (2) მაღალხარისხიანი აუდიტორული საქმიანობით საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გაუმჯობესება (3) ძირითად პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება (4) შიდა მმართველობის სისტემის გაძლიერებით ეფექტიანობის ამაღლება (5) თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. 2018-2024 წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სამსახურის დამოუკიდებლობისა და მანდატის განმტკიცების მიმართულებით. 2018 წლიდან ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონმა შეიძინა ორგანული კანონის სტატუსი.

ასევე, სამსახურს მიენიჭა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლება. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური კონტროლის განხორციელება მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიის მიერ.

აუდიტორული საქმიანობის კუთხით, აღსანიშნავია:

- განახლდა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგია, რითაც ისინი კიდევ უფრო დაუახლოვდა უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებს (ISSAIs);
- სრულად დაინერგა აუდიტის მართვის სისტემა (AMS);
- შემუშავდა და დაინერგა აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმომხილველთა სისტემა;
- ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი გაიზარდა 2018 წელს 81%-დან 2024 წელს 91%-მდე;
- დაინერგა აუდიტის ახალი მიმართულება - უწყებათაშორისი შესაბამისობის აუდიტი, რომლის ხელს უწყობს სფეროში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზების აღმოჩენასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;
- ეფექტიანობის აუდიტების წილი მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში გაიზარდა 2018 წელს 13%-დან 2024 წელს 27%-მდე;
- ჩატარდა USAID-ისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტები;
- დაინერგა საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული თანამშრომელთა შეფასების სისტემა, შემუშავდა თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული და კარიერული განვითარების გეგმა;
- შეიქმნა ეთიკის კომისია, განახლდა ეთიკის კოდექსი და შემუშავდა ეთიკის სახელმძღვანელო;
- შემუშავდა არაერთი პოლიტიკა სამსახურის ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების კუთხით.

## **საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რომელიც წარმოადგენს ანგარიშგების ვალუტას და ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ ტრანზაქციებს.

**სახელმწიფო აუდიტის სამსახური**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები**  
**2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
**(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)**

**1. ორგანიზაცია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)**

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

| ვალუტა        | საანგარიშგებო წელი | საანგარიშგებო წლის წინა წელი |
|---------------|--------------------|------------------------------|
| 1 დოლარი/ლარი | 2.8068             | 2.6894                       |
| 1 ევრო/ლარი   | 2.9306             | 2.9753                       |

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლითა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მიხედვით:

69.1. საჯარო მმართველობის ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების ხელშესაწყობად საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

69.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია.

69.6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი ადგენს:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის ეფექტიანობას და ანგარიშვალდებულებას, საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, აგრეთვე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას“.

კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ ამოცანების შესასრულებლად გენერალური აუდიტორი განსაზღვრავს სამსახურის სტრუქტურას, განვითარების სტრატეგიას და ამტკიცებს წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმას.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ორგანიზაცია სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ საქმიანობაზე (ერთობლივად „ჯგუფი“).

## **2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ - ინსტრუქციისა და 2021 წლის 4 თებერვლის N 24 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ - ინსტრუქციის (ერთობლივად „ინსტრუქცია“) შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური ანგარიშგების ახალი ფორმები, წინა (შესადარის) პერიოდთან შედარებით, ითვალისწინებს მონაცემების უფრო მეტად აგრეგირებას ან დეზაგრეგირებას, ამის შესახებ დეტალური განმარტებები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ნაწილში, კერძოდ, ანგარიშგების ფორმებში შეტანილი ცვლილებების შედეგების განმარტებაში.

**ცვლილება ანგარიშგების ფორმებში.** საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 31 დეკემბრის N437 ბრძანებით შესულია ცვლილება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებაში. ბრძანების საფუძველზე, შეიცვალა ფინანსური ანგარიშგების ფორმები, კერძოდ კი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები. განახლებული ფორმები უკეთ ასახავს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრებით გაწეულ ხარჯებსა და მიღებულ შემოსავლებს, ასევე უფრო დეტალურად შლის ანგარიშგების სხვადასხვა მუხლებს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომხმარებლისთვის უკეთ წაკითხვადია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ფინანსური შედეგების ანგარიშგება, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება და ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება უცვლელი დარჩა.

**ცვლილება ინფორმაციის წარდგენაში.** 2024 წლის 31 დეკემბრისათვის ჯგუფმა შეცვალა ფინანსური ინფორმაციის წარდგენის წესი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, კერძოდ, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების ფორმაში შეიცვალა მიდგომა „ფულადი სახსრები და ექვივალენტები“-ს მიმართ და 2024 სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტს კომერციულ ბანკში არსებული სადეპოზიტო ანგარიში კლასიფიცირდა როგორც „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები“.

აღნიშნული ცვლილება გამოიწვია ჯგუფის ზედამხედველი ორგანოს, სახელმწიფო ხაზინის მეთოგოლოგიის ჯგუფის რეკომენდაციამ, საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშგების ფორმების დაახლოების მიზნებიდან გამომდინარე. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ცვლილება უზრუნველყოფს უფრო საიმედო და რელევანტურ ინფორმაციას. შესადარისი პერიოდის წარდგენა არ არის მიჩნეული შეცდომად, თუმცა თანმიმდევრულობის პრინციპიდან გამომდინარე, ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტიულად და შესადარისი პერიოდის ნაშთი წარმოდგენილია ახალი კლასიფიკაციით გადაანგარიშებული ნაშთების ველში.

## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

|     | დასახელება                                          | შენიშვნა | წელი          |               | 2023 წლის ანგარიშგების მონაცემები                       |         |
|-----|-----------------------------------------------------|----------|---------------|---------------|---------------------------------------------------------|---------|
|     |                                                     |          | 2024 წ<br>სულ | 2023 წ<br>სულ |                                                         |         |
| 003 | „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები“ | N3       | 856,120       | 704,383       | 001 „ფულადი სახსრები და ექვივალენტები“                  | 650,000 |
|     |                                                     |          |               |               | 003 „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები“ | 54,383  |

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითადად ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებს: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N 108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“.

აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის და სახელმწიფო სექტორის საქმიანობის მარეგულირებელი და აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ორგანიზაცია არის მოქმედი და საქმიანობას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, გენერალური აუდიტორი არჩეულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წლის სექტემბერში 5 წლის ვადით და სარგებლობს დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტით.

სამსახურის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2024 წელს, 2026 წლის საბიუჯეტო განაცხადი წარედგინება პარლამენტს 2025 წლის 1 მაისამდე, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ჯგუფის 2026 წლის ბიუჯეტის შემცირება 2025 წლის დამტკიცებულ ოდენობასთან შედარებით არ იგეგმება. გამომდინარე აქედან, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება მართებულია.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას, გარდა ორგანიზაციის ადმინისტრაციული შენობებისა (თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი) და მიწისა, რომლებიც 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის მიზნებისთვის ერთჯერადად შეფასდა სამართლიანი ღირებულებით.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)**

პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, ორგანიზაცია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის.

#### **კონსოლიდაციის პრინციპები**

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლებისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატის და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ ანგარიშგებებს.

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შიდა ოპერაციებით წარმოშობილი ტრანზაქციები ელიმინირებულია.

#### **მატერიალური მარაგები და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები**

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შეძენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მოკლევადიან აქტივებში აისახება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სტრატეგიული მარაგები, ნედლეული და მასალები, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია, გასაყიდად შემენილი საქონელი და სხვ. ასევე მცირეფასიანი აქტივები - მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა - რომლებიც არ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითადი აქტივების აღიარების კრიტერიუმს (500 ლარზე ნაკლები ღირებულებისაა და გამოიყენება ერთ წელზე მეტი ვადით).

მარაგები თავდაპირველი აღიარებისას აისახება თვითღირებულებით.

როდესაც მატერიალური მარაგები შემენილია არაგაცვლითი ოპერაციის გზით, მათი შეფასება ხდება შემენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მარაგები აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თუ მარაგები განკუთვნილია უსასყიდლოდ ან ნომინალური ღირებულებით გასანაწილებლად ან ასეთი მარაგების/საქონლის წარმოებისათვის, მარაგების ეს კლასი აისახება თვითღირებულებასა და მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებას შორის უმცირესით.

მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება არის ის ღირებულება, რომელსაც ერთეული გაიღებდა აქტივების მოსაპოვებლად ანგარიშგების თარიღისათვის.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი ოპერირების რეჟიმში შეფასებით დადგენილი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისათვის, გაყიდვის, გაცვლის და განაწილებისათვის შეფასებით დადგენილი საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულებისა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენისას, ასევე, არაგაცვლითი ოპერაციის შემთხვევაში მიღებული ისეთი მატერიალური მარაგების შეფასებისას, რომელთაც ღირებულება არ გააჩნიათ, მატერიალური მარაგების სამართლიანი ღირებულება დგინდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)**

მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების მოხმარება აღირიცხება ხარჯად, როდესაც ისინი გადადიან მოხმარების ეტაპზე ჯგუფის ჩვეულებრივი ოპერაციების მიმდინარეობისას. მარაგების ღირებულება გამოითვლება ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიური იდენტიფიკაციის მეთოდით.

#### **გადახდილი ავანსი**

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ. სხვა შემთხვევაში გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივად. აქტივების (ძირითადი მატერიალური/არამატერიალური, მცირეფასიანი აქტივები და მარაგები) შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის მათ საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ მათზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ნამეტში/დეფიციტში) მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები/მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამისი წლის ნამეტში/დეფიციტში.

#### **ძირითადი აქტივები**

ძირითადი აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხულია და შეფასებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ორგანიზაციაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდის ნამეტში ან დეფიციტში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი აქტივების თვითღირებულება წარმოადგენს აღიარების თარიღისთვის ფულადი სახსრებით გადასახდელი ფასის ეკვივალენტს (შესყიდვის ფასს, ასევე ყველა იმ დანახარჯს, რაც დაკავშირებულია შეძენასთან, საკუთრების უფლების მოპოვებასთან და ექსპლუატაციაში შესვლასთან), ან არაგაცვლითი ოპერაციისას მითითებული ძირითადი აქტივების შემთხვევაში, აღიარების თარიღისთვის დადგენილ მის სამართლიან (რეალურ) ღირებულებას. ამასთან, თუ გადახდა გადავადებულია და გადავადების პირობები სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ სხვაობა ფულადი სახსრების გადასახდელი ფასის ეკვივალენტსა და მთლიანად გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში.

ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის და მისი აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვისთვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ - ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია). ძირითადი აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებულია წრფივი მეთოდი, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვისათვის გამოყენებული ცვეთადი თანხა განისაზღვრება როგორც ძირითადი აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასება განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას (გარდა ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების მინიმალური ვადებისა, რაც განსაზღვრულია ზემოაღნიშნულ ინსტრუქციაში). ჯგუფის ხელმძღვანელობა აფასებს ნარჩენ მოხმარების ვადებს აქტივების მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით, რა დროსაც გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: აქტივების მოსალოდნელი მოხმარება, ფიზიკური მოხმარება, ცვეთა და ა.შ.

ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები:

| აქტივების ჯგუფი                     | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-------------------------------------|-------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები                   | 100                                 |
| სხვა ნაგებობები                     | 20-26                               |
| ავტო                                | 10-15                               |
| საოფისი ინვენტარი და ტექნიკა        | 2-20                                |
| კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაცია | 5-10                                |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 8-10                                |

თითოეული პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება ნამეტში ან დეფიციტში, თუ ის ჩართული არ არის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითად აქტივებს ცვეთა ერიცხება სისტემატურ საფუძველზე, ერთეულის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული მიზნებისა და დანიშნულების მისაღწევად, სამუშაო მდგომარეობაში მოყვანიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობის, ხელშეკრულების ან/და მოცემული აქტივის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად აღნიშნული სხვაგვარადაა განსაზღვრული.

ცვეთის დარიცხვისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის წელს აქტივის ცვეთა ერიცხება წლის განმავლობაში ერთეულში მუშა მდგომარეობაში ყოფნის ვადის პროპორციულად, ხოლო აღიარების შეწყვეტის წელს – წლის განმავლობაში ერთეულში ყოფნის ვადის პროპორციულად - თვეების მიხედვით.

ცვეთის პროპორციული დარიცხვისათვის გამოიყენება თვეების მიხედვით დარიცხვის მეთოდი. არასრული თვეების შემთხვევაში გამოიყენება დამრგვალება შემდეგი წესით: 15 რიცხვამდე შემოსულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ შემოსვლის თვიდან, ხოლო 15 რიცხვიდან შემოსულებს - მომდევნო თვიდან.

ცვეთადი აქტივის ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები ერთეულის აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება სხვა-სხვა მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

ძირითადი აქტივების აღიარება წყდება გაყიდვის/გადაცემის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი აქტივის ობიექტის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას ჩაირთვება ნამეტის ან დეფიციტის ნაწილში.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)**

#### **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის გაანგარიშებისთვის და მისი აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვისთვის გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ - ინსტრუქცია.

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარების შემდგომ აისახება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ყოველი წლის ბოლოს არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით ასახვას ფინანსურ ანგარიშგებაში. არაგაცვლითი ოპერაციებით არამატერიალური აქტივების საჯარო სექტორის ერთეულიდან მიღებისას, არამატერიალური აქტივები ფასდება გადმომცემი ერთეულის მიერ ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული თვითღირებულების ოდენობით ან ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული სხვა თანხით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება. ყველა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება ადასტურებს თუ არა მოვლენები და პირობები, რომ მოცემულ აქტივს კვლავ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია. თუკი ასეთი რამ არ დასტურდება, აქტივის განუსაზღვრელი მომსახურების ვადის შეცვლა განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით ერთეულის აღრიცხვა-ანგარიშგებაში აისახება სსბასს-ების მოთხოვნების შესაბამისად, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია დაერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად, თუ სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შესაძლებელია. თუ ახალ ამორტიზირებად აქტივთან დაკავშირებით ერთეულს არ შეუძლია სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა, ასეთი აქტივებისათვის სასარგებლო მომსახურების ვადად განისაზღვრება 10 წელი. ექსპლუატაციაში მყოფი ამორტიზირებადი აქტივების მიღების შემთხვევაში, თუ ერთეულს არ შეუძლია სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა, სასარგებლო მომსახურების ვადად შეიძლება განისაზღვროს 10 წელზე ნაკლები.

ცვეთის პროპორციული დარიცხვისათვის გამოიყენება თვეების მიხედვით დარიცხვის მეთოდი. არასრული თვეების შემთხვევაში გამოიყენება დამრგვალება შემდეგი წესით: 15 რიცხვამდე შემოსულ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ შემოსვლის თვიდან, ხოლო 15 რიცხვიდან შემოსულებს - მომდევნო თვიდან.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვისათვის გამოყენებული ამორტიზირებადი თანხა განისაზღვრება როგორც არამატერიალური აქტივის თვითღირებულებას ან ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულ სხვა თანხას გამოკლებული ნარჩენი (სალიკვიდაციო) ღირებულება.

#### **ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც ჯგუფი გახდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება შეძენას ან ფინანსური აქტივისა და ვალდებულებების (არ გულისხმობს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით აღიარებას ნამეტში/დეფიციტში) გამოშვებას, შესაბამისად ამცირებს ან ზრდის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალურ ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას.

#### **ფინანსური აქტივები**

ორგანიზაციის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფულადი სახსრები, სხვა მოთხოვნები და სხვა ფინანსური აქტივები.

საბიუჯეტო სახსრების ფინანსური აქტივების კონტროლს და მის განკარგვას ახორციელებს სახელმწიფო ხაზინა, რის გამოც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე არსებული ორგანიზაციები წარუდგენენ მოთხოვნას (დებიტორული დავალიანება ხაზინის მიმართ) სახელმწიფო ხაზინას დაფინანსების თაობაზე.

#### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს: ფულად სახსრებს სალაროში; მიმდინარე ანგარიშებს ბანკში და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს.

ფულადი სახსრები სალაროში მოიცავს: ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში და ნაღდ ფულს უცხოურ ვალუტაში.

მიმდინარე ანგარიში ბანკში მოიცავს: ხაზინის ერთიან ანგარიშს ეროვნულ ბანკში, ხაზინის სავალუტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში, ხაზინის ანგარიშებს კომერციულ ბანკებში და საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშებს კომერციულ ბანკებში.

ხაზინის ერთიანი ანგარიში ეროვნულ ბანკში მოიცავს: სახელმწიფო ბიუჯეტის ფულად სახსრებს, დეპოზიტებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში, დეპოზიტებს ხაზინაში უცხოურ ვალუტაში და სხვა ანგარიშებს ხაზინაში.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშები კომერციულ ბანკებში მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში ეროვნულ ვალუტაში; საბიუჯეტო ორგანიზაციის ანგარიშს კომერციულ ბანკში უცხოურ ვალუტაში და საბიუჯეტო ორგანიზაციის სხვა ანგარიშს კომერციულ ბანკში.

#### **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა ამოიწურება ან გაუქმდება.

#### **ფინანსური ვალდებულებები**

ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს სხვა კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები გათავისუფლებულია, გააუქმებულია, ან იწურება. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ საფასურს შორის აღიარდება ნამეტში/დეფიციტში.

#### წმინდა აქტივები/კაპიტალი

წმინდა აქტივები/კაპიტალი მოიცავს: კაპიტალში შენატანის, გაუნაწილებელი ნამეტის/დეფიციტის, პერიოდის ნამეტის/დეფიციტის თანხების ანგარიშებს და რეზერვებს.

კაპიტალში შენატანი მოიცავს კაპიტალად კლასიფიცირებულ არაფინანსურ და ფინანსურ აქტივებს.

გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი მოიცავს გაუნაწილებელ ნამეტს/დეფიციტს, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

საანგარიშგებო პერიოდის ნამეტი/დეფიციტი მოიცავს პერიოდის ნამეტს/დეფიციტს, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო (საკუთარი) სახსრებით საქმიანობისათვის.

რეზერვები მოიცავს ინვესტირებულ ერთეულში გადაფასების ან კურსთაშორის სხვაობის შედეგად კაპიტალის ზრდის/კლების მონაცემებს.

#### ბიუჯეტიდან დაფინანსება

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ანგარიშზე აღირიცხება ჯგუფის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები (საბიუჯეტო სახსრები, კრედიტები და გრანტები). საბიუჯეტო დაფინანსების ანგარიშები გადაიხურება გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ასიგნებების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯების შესაბამისი მოცულობით. ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში მიღებული დაფინანსება ორგანიზაციების მიერ აღირიცხება საკასო მეთოდით. მესამე პირის მიერ განხორციელებული გადახდები, ორგანიზაციის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებში და ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება.

#### თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება

თანამდებობრივი სარგო, ანაზღაურებადი შვებულება, წოდებრივი (საკლასო) დანამატი, სახელფასო დანამატი, ფულადი ჯილდო და სოციალური ანაზღაურება (საავადმყოფო ფურცელი) ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ.

თანამშრომელთა მოკლევადიან ბენეფიტებთან დაკავშირებით აღიარებული ვალდებულებები აისახება შესაბამისი მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი ბენეფიტების არადისკონტირებული ოდენობით.

### **3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)**

#### **სავალუტო ოპერაციები**

სავალუტო ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ტრანზაქციის დღეს მოქმედი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კრედიტორები ან დებიტორები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის აისახება ამ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. საკრედიტო დავალიანების დაფარვით ან პერიოდის განმავლობაში თავდაპირველად ასახულისგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას წარმოშობილი სხვაობები შემოსავალში ან ხარჯში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში.

#### **შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან**

შემოსავლის შეფასება ხდება მისაღები ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის სამართლიანი ღირებულებით, რომელიც არ შეიცავს შეღავათებს, ფასდაკლებებსა და დამატებითი ღირებულების გადასახადს (შემდგომში - დღგ).

მომსახურებიდან შემოსავალი აღიარდება ეტაპობრივად, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა და მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა მოხდა მომსახურების მიწოდება.

მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით. შემოსავლის თანხის ოდენობა მისაღები ფულადი სახსრების ტოლია. იმ შემთხვევაში, როცა ფულის შემოსვლა ერთეულში ყოვნდება, ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით მისაღები თანხების დისკონტირება არ ხდება.

#### **მიზნობრივი გრანტები**

მიზნობრივი გრანტის დაფინანსების აღრიცხვა ხდება საერთაშორისო და უცხო ქვეყნის ორგანიზაციასთან გაფორმებული შეთანხმების პირობების შესაბამისად. პირობითი შეთანხმების შემთხვევაში მიღებული მიზნობრივი გრანტები, აღირიცხება, როგორც მოთხოვნა დონორის მიმართ მისაღებ თანხაზე და ვალდებულება დონორის მიმართ, შეთანხმებით დადგენილი მოვალეობის შესრულების დადასტურების შემდგომ შემოსავლად აღიარდება თანხა საკასო ხარჯის მოცულობით, ხოლო უპირობო და შეზღუდვით გაფორმებული შეთანხმების შემთხვევაში გრანტი მიღებისთანავე აღიარდება, როგორც შემოსავლები გრანტებით.

#### **კრიტიკული სააღრიცხვო დაშვებები**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს.

შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს, რომელთა გამოყენება მართებულად მიიჩნევა. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირებას ეფექტი აქვს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

**სახელმწიფო აუდიტის სამსახური**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები**

**2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

**(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)**

სააღრიცხვო პოლიტიკებში გამოყენებული კრიტიკული შეფასებები და გაურკვევლობის შეფასების ძირითადი წყაროები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განმარტებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტების მომცველ განმარტებებში, რომლებთანაც ისინი არის დაკავშირებული.

ორგანიზაციის მიერ რეგიონში ოფისების გახსნის დროს, ჯგუფის ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო პოტენციური ობიექტების სიდიდე, თანამშრომელთა რაოდენობა და გეოგრაფიული სიახლოვე. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ რეგიონში არსებული აქტივები შესაბამისობაშია ორგანიზაციის მიმდინარე მოთხოვნებთან და სამომავლო, სტრატეგიულ გეგმებთან და შესაბამისად ადგილი არ აქვს აქტივების მიერ მიწოდებული მომსახურების მოთხოვნის ან საჭიროების მნიშვნელოვან, გრძელვადიან ვარდნას და მითუმეტეს აქტივების მიერ მოწოდებული მომსახურების მოთხოვნის ან საჭიროების სრულ ან თითქმის სრულ შეწყვეტას, რაც შესაძლოა აღნიშნული აქტივების გაუფასურების ერთ-ერთი ინდიკატორი გამხდარიყო.

**4. ფულადი სახსრები და ეკვივალენტები**

| დასახელება                                          | საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი 31.12.2024 | წინა საანგარიშგებო პერიოდის გადამანგარიშებული ნაშთი 01.01.2024 | წინა საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი 31.12.2023 |
|-----------------------------------------------------|-------------------------------------------------|----------------------------------------------------------------|------------------------------------------------------|
| <b>ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში</b>             |                                                 |                                                                |                                                      |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში, მათ შორის:                | -                                               | -                                                              | -                                                    |
| სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ეროვნულ ვალუტაში       | -                                               | -                                                              | -                                                    |
| ავტონომიური რესპუბლიკების სახსრები ეროვნულ ვალუტაში | -                                               | -                                                              | -                                                    |
| მუნიციპალიტეტების სახსრები ეროვნულ ვალუტაში         | -                                               | -                                                              | -                                                    |
| სხვა ანგარიშები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში           | -                                               | -                                                              | -                                                    |
| სარეზერვო ქვანგარიში                                | -                                               | -                                                              | -                                                    |
| ფულადი სახსრები საღაროში ეროვნულ ვალუტაში           | -                                               | -                                                              | -                                                    |
| კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთები ეროვნულ ვალუტაში  | -                                               | -                                                              | 650,000                                              |
| <b>სულ ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში</b>         | -                                               | -                                                              | <b>650,000</b>                                       |
| <b>ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში</b>              |                                                 |                                                                |                                                      |
| ხაზინის სავალუტო ანგარიში                           | -                                               | -                                                              | -                                                    |
| ფულადი სახსრები საღაროში უცხოურ ვალუტაში            | -                                               | -                                                              | -                                                    |
| კომერციულ ბანკებში ფულადი ნაშთები უცხოურ ვალუტაში   | -                                               | -                                                              | -                                                    |
| <b>სულ ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში</b>          | -                                               | -                                                              | -                                                    |
| <b>სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები</b>         | -                                               | -                                                              | <b>650,000*</b>                                      |

\*დეტალური ინფორმაცია იხ. მე-2 თავის „ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები“ „ცვლილება ინფორმაციის წარდგენაში“ - აბზაცში.

#### 5. მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტს კომერციულ ბანკში სარგებლის მიღების მიზნით გააჩნია (მათ შორის 2024 და 2023 წლებში) მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიში. ინსტიტუტმა შემოსავლების ოპტიმიზაციის მიზნით ჩაატარა ბაზრის კვლევა ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ ყველა ბანკში. საუკეთესო პირობა კვლავ წარმოადგინა სს "ლიბერთი ბანკმა", შესაბამისად ინსტიტუტს საკუთარი სახსრები ისევ სს „ლიბერთი ბანკი“-ის ანგარიშზე აქვს განთავსებული. სს „ლიბერთი ბანკს“ Fitch Ratings - ის მიერ წინა პერიოდებში მინიჭებული ქონდა „B+“ საკრედიტო რეიტინგი, რასაც ინარჩუნებს როგორც საანგარიშგებო (2024 წელი), ისე შემდგომ პერიოდში. ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ ნებისმიერ თანხას ერიცხება წლიური 8 % (წინა პერიოდში 9,4 %) და მიზნულია რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებაზე. ამ უკანასკნელი ცვლილების თავიდან აცილების მიზნით, 2024 წლიდან ინსტიტუტის თავისუფალი სახსრები მთლიანად გადავიდა ვადიან ანაზღაურებზე (3-6 თვე), სადაც განთავსებულ სახსრებზე 2024-25 წლებში, სარგებლის სახით დარიცხული პროცენტი მერყეობდა 10%-დან 10,5%-მდე, ხოლო ვადაზე ადრე დარღვევის შემთხვევაში წლიური 7%, რაც ქართულ საბანკო სივრცეში მაღალ სარგებლად ითვლება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებები  
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(მონაცემები წარმოდგენილია ლარში)

შენიშვნა N3 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალდებულებები

| დასახელება                                                              | სახაზით<br>ოპერაციებთან<br>დაკავშირებული<br>დებიტორული<br>დავალდებულებები | საგადასახადო<br>დებიტორული<br>დავალდებულებები | დებიტორული<br>დავალდებულებები<br>ი საკენსო<br>სქემაში<br>შენატანებით | დებიტორული<br>დავალდებულებები<br>ი დარიცხული<br>პროცენტებით | მისაღები<br>დივიდენ<br>დები | საქონლისა და<br>მიმსახურების<br>გაყიდვებიდან<br>დებიტორული<br>დავალდებულებები | მოთხოვნები<br>თანამშრომლის<br>ბისა და<br>ანგარიშგებულ<br>ეზულის<br>პირების<br>მიმართ | მოკლევადიანი<br>ი (მიმდინარე)<br>მოთხოვნები<br>არაფინანსური<br>აქტივების<br>გასვლით | სხვა<br>მოთხოვნები | სულ     |
|-------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------|----------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|-----------------------------|-------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------|--------------------|---------|
| მიმდინარე დირექტორები 1                                                 |                                                                           |                                               |                                                                      |                                                             |                             |                                                                               |                                                                                      |                                                                                     |                    |         |
| საანგარიშგებო პერიოდის<br>საწყისი წამით 31.12.2023                      | 50,340                                                                    | 4,043                                         |                                                                      |                                                             |                             |                                                                               |                                                                                      |                                                                                     |                    | 54,383  |
| საანგარიშგებო პერიოდის<br>გადასრულებული საწყისი<br>წამით 01.01.2024     | 700,340*                                                                  | 4,043                                         |                                                                      |                                                             |                             |                                                                               |                                                                                      |                                                                                     |                    | 704,383 |
| საანგარიშგებო პერიოდის<br>საბოლოო წამით 31.12.2024                      | 853,769                                                                   | 2,351                                         |                                                                      |                                                             |                             |                                                                               |                                                                                      |                                                                                     |                    | 856,120 |
